ეროვნული უნივერსიტეტი

28 მარტი, ორშაბათი, 2011 წ. №4 (2115)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

ჩვენც გვინდა გვქონდეს თბილი სახლი...

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელშეწყობისა და სათანადო გრანტის მიღების შემთხვევაში რომელმა სამეცნიერო მიგნებამ შეიძლება მოგვცეს უფრო კომფორტულად და უსაფრთხოდ ცხოვრების საშუალება და, ამავე დროს, დიდი მოგებაც მოუტანოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს? — ამ ინტერესის კვალს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფის მიღწევებამდე მივყავართ, რასაც პრაქტიკაში დანერგვამდე ორიოდ ნაბიჯიღა აკლია. სათანადო პირობების შექმნის შემთხვევაში შესაძლებელია უნივერსიტეტის ბაზაზე გაიხსნას მცირე საწარმო, რომელიც ეკოლოგიურად უსაფრთხო სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალის დამზადებას შეუდგება. ეს იდეა დღეს აქტუალურია მით უფრო, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე პრეზიდენტის დონეზეც კი აუკრძალავთ ისეთი მასალების ხმარება, რომლისგანაც ჩვენი ბინის კედლები შეიძლება იყოს ნაშენი ან ავეჯი დამზადებული. ალტერნატივას თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მაკრომოლეკულების ქიმიის მიმართულების ლაბორატორიაში მომუშავე მეცნიერები გვთავაზობენ.

მე-4 გვერდზე

შემოერთებული ინსტიტუტების მოლოდინი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს 13 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი შემოუერთდა. რა პერსპექტივები არსებობს მათი საუნივერსიტეტო სივრცეში წარმატებული ინტეგრაციისთვის? რას მოუტანს უნივერსიტეტს ახალი სამეცნიერო კადრებით შევსება და რას ელიან უნივერსიტეტისგან შემოერთებული ინსტიტუტები?

მაია ტორაძე

თანამედროვე ტიპის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისადმი მოთხოვნა ძირითადად ორ მიმართულებას ითვალისწინებს — სწავლებას და კვლევას. ამ ორი კომპონენტის საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესში ინტეგრირება და სტუდენტთა სამეცნიერო კვლევებში ჩართვა სწავლების ხარისხის ამაღლებასაც განსაზღვრავს და ახალი სამეცნიერო კადრების ზრდასაც უწყობს ხელს. სწორედ ამით იყო განპირობებული საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ყოფილი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები (დღეისათვის საჯარო სამართლის იურიდიული პირები) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეუერთდნენ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 13 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტით გაიზარდა. მათგან დიდი ნაწილი სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წიაღში წარმოიშვა და დღეს მსოფლიოში აღიარებული მეცნიერებით არის დაკომპლექტებული.

რა შედეგები შეიძლება მოიტანოს სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულების შეერთებამ, რისი მოლოდინი აქვთ ახლად შემოერთებულ ინსტიტუტებს და რა პოზიტიურ შედეგებს მისცემს იგი უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალს, ამის გარკვევას შევეცადეთ ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის, კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტისა და ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის მაგალითზე.

* * *

ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე 1936 წელს აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის მიერ დაარსდა. გარკვეული წლები იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში ფუნქციონირებდა, უკანასკნელი გადაწყვეტილების შემდეგ კი უნივერსიტეტის წიაღს დაუბრუნდა.

ინსტიტუტი ცნობილია უძლიერესი სამეცნიერო პოტენციალით, რასაც ის ფაქტიც მიუთითებს, რომ იგი წლების განმავლობაში ფლობდა საქართველოს წლის საუკეთესო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წოდებას ფიზიკა-მათემატიკის დარგში. მას შემდეგ, რაც ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა გრანტების გაცემა დაიწყო, ამ ინსტიტუტის მეცნიერების მიერ ანალოგიურ ინსტიტუტებს შორის ყველაზე მეტი გრანტია მოპოვებული. დღეისათვის ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტში ეროვნული სამეცნიერო ფონდის 12 და უცხოური სამეცნიერო ფონდების 5 გრანტზე მიმდინარეობს მუშაობა. ამ ინსტიტუტს ჰყავს 6 ჰუმბოლდტის სტიპენდიატი და ბოლო ერთი წლის განმავლობაში მისი 50 მეცნიერ-თანამშრომელი იმყოფებოდა უცხოეთში სამეცნიერო მივლინებით.

მე-3 გვერდზე

თსუ – სწორი არჩევანი
მე-5 გვერდზე

ორი სამაგისტრო ხარისხის ერთად მოპოვების შესაძლებლობა
მე-6 გვერდზე

ნოვატორები დისტანციურ სწავლებაში
მე-8 გვერდზე

სასწორის პინა ხშირად უნივერსიტეტის მხარეს იხრება
მე-9 გვერდზე

რუსთაველის ფონდმა სამეცნიერო გრანტების კონკურსი გამოაცხადა
მე-9 გვერდზე

ორგანოთა ტრანსპლანტაცია მსჯელობის თემად იქცა
მე-10 გვერდზე

სტუდენტური პარლამენტის კანონშემოქმედება
მე-11 გვერდზე

104 წლის შემდეგ გახსნილი ილიას მკვლელობის საიდუმლო
მე-14 გვერდზე

იუსტიციის სასწავლო ცენტრთან თანამშ-რომლობის მემორანდუმი

17 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და იუსტიციის სასწავლო ცენტრს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა და იუსტიციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა ნინო ბერუაშვილმა მოაწერეს.

„მემორანდუმის მიზანია ისეთი ერთობლივი პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება, რომელიც მიმართულია სამართლებრივი (შედარებითი) კვლევების, სამართლის პოპულარიზაციის, საგანმანათლებლო საქმიანობისა და სტუდენტებისა და იურისტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობისკენ“, – აღნიშნა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

მხარეები ერთობლივი ძალისხმევით იურიდიული ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ჩამოაყალიბებენ იურიდიულ კლინიკას, განახორციელებენ მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამებს.

„აღნიშნული კლინიკა სისხლის სამართლის პროცესის პრაქტიკულ სწავლებას ემსახურება. სტუდენტები შეძლებენ გამოიმუშავონ პრაქტიკული უნარ–ჩვევები და მომავალ პროფესიონალებად ჩამოყალიბდნენ“, – განაცხადა იუსტიციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა ნინო ბერუაშვილმა.

იუსტიციის მინისტრის მოადგილე თსუ-ში

10 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი ვაშაძე ეწვია. მინისტრის მოადგილემ სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან იუსტიციის სამინისტროს სერვისების სფეროში განხორციელებული რეფორმების, იუსტიციის სახლების კონცეფციისა და ID ბარათების პროექტის შესახებ ისაუბრა.

„იუსტიციის სამინისტროში არაერთი ფართომასშტაბიანი პროექტი განხორციელდა: დაიწყო ბიომეტრული პასპორტების გაცემა, მოქალაქეებს საშუალება აქვთ მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან, სახლიდან გაუსვლელად, ონლაინ რეჟიმში მიიღონ პასპორტები, განმეორებითი მოწმობები და სხვა დოკუმენტები, დაიწყო მუშაობა ე.წ. საუკუნის – დამისამართების პროექტზე“, – აღნიშნა გიორგი ვაშაძემ.

სამოქალაქო რეესტრი მიმდინარე წელს მუშაობის სრულიად ახალ ეტაპზე გადადის. 2011 წლის ზაფხულიდან საქართველოში ელექტრონული პირადობის მოწმობების გაცემა იწყება. ID ბარათები არსებითად შეცვლის სახელმწიფო და კერძო სექტორის ურთიერთობას მოქალაქეებთან. იუსტიციის სამინისტროში ახალი კონცეფცია მუშავდება – იქმნება იუსტიციის სახლები, სადაც მოქალაქეს ერთ სივრცეში შეეძლება სახელმწიფო სექტორში არსებული სერვისების მიღება. გარდა ამისა, ამავე სახლებში იქნება განთავსებული კერძო სექტორიც.

შეხვედრის შემდეგ დისკუსია გაიმართა, სტუდენტები ძირითადად ID ბარათების უსაფრთხოების სტანდარტებისა და სამოქალაქო რეესტრში დასაქმების თემებით დაინტერესდნენ.

უნივერსიტეტის მოწყობის ახალი გეგმა პარლამენტის განხილვას ელის

16 მარტს საქართველოს მთავრობის სხდომა გაიმართა. დღის წესრიგში 33 საკითხი იყო შეტანილი.

სხდომის დაწყებამდე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა განათლების რეფორმასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა. გთავაზობთ პრემიერ-მინისტრის სიტყვას:

„მოგესალმებით. მთავრობის სხდომის საკითხების განხილვამდე ორი საკითხის შესახებ მინდა მოგახსენოთ. ეს ის საკითხებია, რომელიც დღევანდელი მთავრობის სხდომის დღის წესრიგშია და საზოგადოებას დააინტერესებს. ვგულისხმობ განათლების სფეროსთან დაკავშრებულ საკითხებს. მოგეხსენებათ, განათლების სფეროს რეფორმირება ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. დღეს განვიხილავთ იმ საკითხებს, რომლებიც უნივერსიტეტის მოწყობას ეხება. ბევრი შეხვედრის შემდეგ ჩამოვყალიბდით, თუ რა ძირითადი პრობლემებია ამ მიმართულებით. ის საკითხები, რომლებზეც დღეს გადაწყვეტილებას მივიღებთ, უნივერსიტეტის მართვას ბევრად უფრო ეფექტურს გახდის და ბევრად უფრო დიდ ავტონომიას მიანიჭებს უნივერსიტეტებს.

ამ საკითხით მთავრობის და უნივერსიტეტების რეგულაციაში და ურთიერთობაში ცვლილებები შეგვაქვს, რომლის მიხედვითაც მათ განკარგვაში ქონება გადაეცემათ, მიენიჭებათ უფრო დიდი ავტონომია. სხვა მცირე ცვლილებებიც შევა, რის შესახებაც მინდა დიმამ (შაშკინმა) მოგვიანებით ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებას.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ასევე დღევანდელ დღის წესრიგშია არის აგრარული უნივერსიტეტის რეფორმირება. ჩამოყალიბდა აგ-

რარული განათლების და მეცნიერების ფონდი. ეს არის კერძო ფონდი, რომელთანაც მჭიდრო ურთიერთობა გვექნება. ამ კერძო ფონდიდან მემორანდუმის მიხედვით საქართველოში განხორციელდება საკმაოდ დიდი ინვესტიციები აგრარული უნივერსიტეტის მიმართულებით და აგრარული სწავლების მიმართულებით.

მოგეხსენებათ, სოფლის მეურნეობა ჩვენი პირველი პრიორიტეტია, წელს განსაკუთრებით. სოფლის მეურნეობის პრობლემატიკა რომ გავიარეთ, ერთ-ერთი მთავარი პრობლემა განათლების სფერო აღმოჩნდა აგრარული მიმართულებით და ამან გამოიწვია ის, რომ ძალიან სწრაფი ნაბიჯები გვინდა გადავდგათ აგრარული უნივერსიტეტის რეფორმირების ნაწილში".

ცნობისთვის: კანონპროექტი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე პარლამენტში განსახილველად უკვე შესულია. სწორედ ეს კანონპროექტი ითვალისწინებს უნივერსიტეტის ახლებურად მართვას.

ანონსი

„უნიბურთი 2011“ 3 აპრილს დაიწყება

23 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს საუნივერსიტეტო ფეხბურთის ლიგის პრეზენტაცია და წილისყრა გაიმართა. საუნივერსიტეტო ფეხბურთის ლიგაში მონაწილეობას თბილისის 9 და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი მიიღებს.

„ვიცით რომ ფეხბურთით ბევრი ახალგაზრდაა დაინტერესებული. ჩვენ ვცდილობთ, ორგანიზებული სახე მივცეთ ამ დაინტერესებას და სასწავლებლების წარმომადგენლებს შორის ჯანსაღი სპორტული შეჯიბრი გავმართოთ. უნიბურთის თასის მოპოვებისთვის წელს 10 სასწავლებელი იბრძოლებს, საინტერესო სანახაობა გველის“, – აღნიშნა საუნივერსიტეტო ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტმა პაატა ბურჯალიანმა.

„უნიბურთი 2011“ 3 აპრილს დაიწყება და მინი ფეხბურთის წესების მიხედვით ერთ წრედ ჩატარდება. კენჭისყრის შედეგად გუნდები შემდეგნაირად გადანაწილდნენ:

3 აპრილს, 15:00 საათზე ერთმანეთს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდები შეხვდებიან, 16:00 საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი საქართველოს უნივერსიტეტის გუნდს დაუპირისპირდება, 17:00 საათზე თამაშს კავკასიის უნივერსიტეტის და სამხატვრო აკადემიის გუნდები გამართავენ, 18:00 საათზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს შეერკინება, ტურის შეხვედრებს კი 19:00 საათზე სამედიცინო უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდების თამაში დაასრულებს.

პრეზენტაციას თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარეები დაესწრნენ.

„საუნივერსიტეტო ლიგის იდეა და საფეხბურთო მატჩების სისტემატიურად გამართვა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც უნივერსიტეტი სტუდენტებისთვის სწავლასთან ერთად ჯანსაღი ცხოვრების წესზეც ზრუნავს. სხვა უმაღლესი სასწავლებლების ჩართვა კი კონკურენციას ამაღლებს და სპორტული შეჯიბრი უფრო საინტერესო ხდება“, – განაცხადა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

ორგანიზატორები სექტემბრიდან მასშტაბების გაფართოებას და უნიბურთის თამაშებში საქართველოს ყველა უმაღლესი სასწავლებლის გუნდების ჩართვას გეგმავენ. საუნივერსიტეტო ფეხბურთის ლიგა დასავლეთ და აღმოსავლეთ ზონებად დაიყოფა, თამაშები შემოდგომისა და გაზაფხულის სეზონებზე გაიმართება.

ბრძანება № 31/02-01

01.03.2011

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ლაბორატორიის (გეოფიზიკისა და იონოსფეროს) გამგის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის №490 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 24-ე მუხლის და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ-დამხმარე და სხვა პერსონალის საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის დამტკიცების შესახებ“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2011 წლის 22 თებერვლის №24/02-01 ბრძანების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის რამაზ ბოჭორიშვილის 2011 წლის 22 თებერვლის №3721/02 და 2011 წლის 25 თებერვლის №4098/02 წერილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ლაბორატორიის (გეოფიზიკისა და იონოსფეროს) გამგის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად;

2. კონკურსი გამოცხადდეს 2011 წლის 1 მარტს, დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2011 წლის 1 აპრილიდან 2011 წლის 15 აპრილამდე;

3. კონკურსი ჩატარდეს საბუთების მიღების დასრულებიდან არანაკლებ 1 თვის ვადაში.

4. კონკურსი ცხადდება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ლაბორატორიის (გეოფიზიკისა და იონოსფეროს) გამგის 1 საშტატო ერთეულზე.

5. ლაბორატორიის გამგის თანამდებობაზე ხელფასი განისაზღვრება თვეში 610 (ექვსას ათი) ლარით.

6. ლაბორატორიის გამგის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს:

   ა) განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
   ბ) ავტობიოგრაფია (CV); პირადობის მოწმობის/ პასპორტის ასლი;
   დ) უმაღლესი განათლების, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები;
   ე) სამოქმედო გეგმა ან/და მოტივაცია საკონკურსო თანამდებობის ფარგლებში;
   ვ) სამუშაო გამოცდილება პროფილის შესაბამისად.

7. ლაბორატორიის გამგის თანამდებობაზე შერჩეულ პირს ეზღუდება სხვა ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება;

8. დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ლაბორატორიის (გეოფიზიკისა და იონოსფეროს) გამგის თანამდებობაზე შესარჩევი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

   ა) ალექსანდრე შენგელაია – ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი – კომისიის თავმჯდომარე;
   ბ) არჩილ უგულავა – ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი;
   გ) ნანა შათაშვილი – ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი;
   დ) თამაზ კერესელიძე — ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი;
   ე) ვაჟა ბერეჟიანი — ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი;
   ვ) მერაბ ელიაშვილი — ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი;
   ზ) გურამ ქუთელია — ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - მდივანი;
   თ) ალექსანდრე თევზაძე — ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
   ი) გიორგი ღვედაშვილი – სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

9. დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ლაბორატორიის (გეოფიზიკისა და იონოსფეროს) გამგის შესარჩევი კომისიის მუშაობის წესი

10. საბუთების მიღება იწარმოებს თსუ II კორპუსში 2011 წლის 1 აპრილიდან 2011 წლის 14 აპრილის ჩათვლით ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, თბილისი ი. ჭავჭავაძის გამზ. №3 (II კორპუსი) მე-2 სართული, ოთახი №234.

11. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“ და განთავსდეს თსუ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე;

12. დაევალოს კანცელარიას ბრძანების დაინტერესებული პირისა და დაგზავნის ფურცელში მითითებული სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა.

13. ინფორმაცია კონკურსის შესახებ განთავსდეს www.jobs.ge-ზე.

14. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
დ. ჩომახიძე

შემოერთებული ინსტიტუტების მოლოდინი

პირველი გვერდიდან

ინსტიტუტის მეცნიერები მიიჩნევენ, რომ უნივერსიტეტთან მათ შეერთებას ორმხრივი პოზიტიური შედეგები მოჰყვება, თუ წესდებაში სათანადო ცვლილებები შევა და ინსტიტუტს საუნივერსიტეტო სივრცეში სრულფასოვანი ინტეგრაციის შესაძლებლობა მიეცემა.

ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე თორნიკე ქადეიშვილი მიიჩნევს, რომ ზოგადად, სამეცნიერო ინსტიტუტის მიერთება უნივერსიტეტთან დადებითი მოვლენაა, რადგან ამით მომავალი მეცნიერების აღზრდის შესაძლებლობა ჩნდება.

„ჩვენ მოვუტანთ უნივერსიტეტს სამეცნიერო რეიტინგს, მაგრამ ჩვენი სამეცნიერო პოტენციალი გამოუყენებელი არ უნდა დარჩეს. ჩვენნაირი ინსტიტუტების ფუნქცია არ ყოფილა მხოლოდ მაგიდასთან ჯდომა და სამეცნიერო სტატიების წერა, ჩვენ სამეცნიერო კადრებს ვზრდიდით მათემატიკაში. მას შემდეგ, რაც რეფორმების შედეგად ინსტიტუტს დოქტორანტურა გაუუქმდა, საქართველოში არც ერთი მათემატიკის დოქტორი არ მომზადებულა. ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ ჩვენს ინსტიტუტთან იარსებებს დოქტორანტურა, რისი პრეცედენტიც არსებობს, მაგალითად, გერმანიაში, საფრანგეთსა და იტალიაში. ამ მიერთებების გამო შესაცვლელი იქნება უნივერსიტეტის წესდება და კანონი განათლების შესახებ, სადაც მითითებულია, რომ დოქტორანტის ხელმძღვანელობა შეუძლია მხოლოდ უნივერსიტეტის პროფესორს. ჩვენ ვითვლებით უნივერსიტეტის მეცნიერთანამშრომლებად და არა პროფესორებად. ეს არის ბიუროკრატიული ბარიერი და ამის გამო ჩვენი პოტენციალის გამოუყენებლობა დასანანი იქნება.

ვფიქრობ, უნდა გაიზარდოს მათემატიკის მიმართულებით პროფესორთა რაოდენობაც. უნივერსიტეტში მხოლოდ 6 მათემატიკოსი პროფესორია მაშინ, როცა მათემატიკას 30-მდე განხრა აქვს. როგორ გადაფარავს 6 პროფესორი ყველა მიმართულებას? თავად იმ ფაქტში, რომ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები უნივერსიტეტს შეუერთდნენ, ცუდი არაფერია, პირიქით, ამას ბევრი პოზიტიური შედეგი მოჰყვება, მაგრამ ამ პროცესს თუ ფინანსური უზრუნველყოფაც არ დაემატა, არასამართლიან შედეგს მივიღებთ. ჩემთვის ცნობილია უნივერსიტეტის რექტორატის და ადმინისტრაციის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. ისინი მიიჩნევენ, რომ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მეცნიერ-თანამშრომლების ხელფასების ერთგვარი გათანასწორება უნდა მოხდეს, მაგრამ ეს ერთი და ორი წლის საქმე არაა. თუმცა ისიც სასიამოვნოა, რომ ამ პრობლემისადმი ადეკვატურ დამოკიდებულებას ვგრძნობთ.

აქვე ისიც მინდა ვთქვა, რომ უნივერსიტეტთან შემოერთების შემდეგ დავტოვეთ ტრადიციული შენობა, რის სანაცვლოდაც დაგვპირდნენ, რომ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის ტერიტორიაზე გადაგვყვანდნენ. ჯერჯერობით შეხიზნული ვართ მაღლივი კორპუსის რამდენიმე ოთახში და ბიბლიოთეკითაც ვერ ვსარგებლობთ. გვინდა იმედი გამოვთქვათ, რომ პირობა მალე შესრულდება“, — აღნიშნა ჩვენთან საუბარში თორნიკე ქადეიშვილმა.

* * *

შემოერთებულ ინსტიტუტებს შორისაა კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი, რომელსაც მდიდარი სამეცნიერო ისტორია აქვს და საქართველოში დღეს არსებულ ინსტიტუტებს შორის ერთ-ერთი წარმატებულია.

იგი დაფუძნდა 1929 წელს კონკრეტული სამეცნიერო და საწარმოო მიზნით — მომსახურებოდა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელ კავკასიას და გამოეკვლია რეგიონში არსებული მინერალური რესურსები (წყალი, ოქრო, ტყვია, თუთია, სპილენძი, სამშენებლო და მოსაპირკეთებელი ქვები და სხვ.). ამ ინსტიტუტში შეიქმნა ახალი თაობის სხვადასხვა მასშტაბის გეოლოგიური რუკები, აქვე მიმდინარეობდა გეოლოგიური ექსპედიციების მიერ მოპოვებული მინერალების ნივთიერი შემადგენლობის განსაზღვრა, ასევე ქიმიური და ტექნოლოგიური კვლევები. დღეისთვის ინსტიტუტის მაღალ სამეცნიერო დონეს ევროპასა და ამერიკაშიც აღიარებენ. არაერთი ჯილდო მიუღიათ ბიზნესის ხელშეწყობის და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, რაც აქ დასაქმებულ მეცნიერ-მუშაკთა მაღალ კვალიფიკაციაზე მიუთითებს.

მინერალური ნედლეულის ინსტიტუტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სამუშაო ფართი გამოუყო და რემონტის გაკეთებაშიც დაეხმარა. მიუხედავად იმისა, რომ სულ რამდენიმე დღეა, რაც ინვენტარის გადატანა დასრულდა, ინსტიტუტის ანალიტიკურ ცენტრში უკვე სრული დატვირთვით მუშაობენ უცხოურ დაკვეთაზე. ამ დაკვეთით მინერალოგიის ინსტიტუტს ირანის ერთ-ერთმა ორგანიზაციამ მიმართა. მან უარი თქვა კანადის საერთაშორისო სერტიფიცირებული ლაბორატორიის ანალიზებზე, რადგანაც ქართველი მეცნიერების მიერ გაკეთებული ანალიზი უფრო სანდოდ მოეჩვენა. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, თუ რა პოტენციალი აქვს ამ ინსტიტუტს და რა მოგების მოტანა შეუძლია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის.

კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის დირექტორის, რევაზ კვატაშიძის თქმით, ამ ინსტიტუტის უნივერსიტეტთან შეერთებას არა მხოლოდ სამეცნიერო, არამედ ფინანსური მოგებაც მოჰყვება.

„ჩვენ არა მარტო ანალიტიკურ და გეოლოგიურ კვლევებს, არამედ ტექნოლოგიურ კვლევებსაც ვახორციელებთ. უნივერსიტეტში ამგვარი ტექნოლოგიური კვლევები არ მიმდინარეობდა და ამის გამოცდილება არ აქვს. ჩვენი ინსტიტუტი იმდენად ძლიერია, რომ თუ ხელშეწყობა იქნება, საბაზრო ეკონომიკის პირობებში სერიოზულ კონკურენციას გაუწევს ნებისმიერ ანალოგიურ ინსტიტუტს. გარდა ამისა, აქ დასაქმებულია მაღალი კვალიფიკაციის მეცნიერ-თანამშრომლები, რომელთაც შეუძლიათ დიდი დახმარება გაუწიონ უნივერსიტეტს კვალიფიციური კადრების მომზადებაში. ჩვენ გვაქვს ამის პოტენციალი და გამოცდილება. ბოლო პერიოდში 19 ახალგაზრდა გადიოდა აქ სტაჟირებას და არასაბიუჯეტო შემოსავლებიდან მათთვის სტიპენდიაც კი გვქონდა დანიშნული. ჩვენს ინსტიტუტს შეუძლია თსუ-ის გეოლოგიის მიმართულებას დაეხმაროს სასწავლო პროგრამის შედგენაში და მათთან ერთად განსაზღვროს, თუ რა კვალიფიკაციის კადრი უნდა მომზადდეს, რა ცოდნა უნდა ჰქონდეს კურსდამთავრებულს და ა.შ. პრაქტიკისთვის კი დღეს საქართველოში ჩვენს ინსტიტუტზე კარგი სასწავლო ბაზა ამ მიმართულებით არ არის“, — განაცხადა ბატონმა რევაზ კვატაშიძემ.

* * *

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი უცხო არ ყოფილა, რადგანაც ამ ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები თითქმის 5 წელია აქტიურად თანამშრომლობენ თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტთან. ინსტიტუტი ტრადიციულია და გასული საუკუნის 40-იან წლებში შეიქმნა. მის შექმნას სათავეში ედგა უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი ლექტორი, აკადემიკოსი ალექსანდრე ნათიშვილი, რომელმაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მედიცინის სწავლებას ჩაუყარა საფუძველი და ანატომიაში პირველი ლექცია წაიკითხა. სწორედ მან დაინახა იმის აუცილებლობა, რომ უნდა დაწყებულიყო ორგანიზმის მორფოლოგიური (ანუ სტურუქტურული) შესწავლის ექსპერიმენტული კვლევები. ამან ბიძგი მისცა პათოლოგიური კვლევების განვითარებას, გარკვეული დაავადებების მოდელირებას, კლინიკურის წინა ესქპერიმენტების, ახალი მასალების, ახალი წამლების, ქირურგიული ტექნიკის გამოცდის კვლევებს. ამ ინსტიტუტს 50 წელი ხელმძღვანელობდა სამედიცინო მეცნიერების ერთ-ერთი პატრიარქი, აკადემიკოსი ნინო ჯავახიშვილი, რომელიც დღემდე საპატიო დირექტორია. პროფესორი დიმიტრი კორძაია, რომელსაც ჩვენ გავესაუბრეთ, ინსტიტუტის დაარსებიდან მესამე დირექტორია.

„მეცნიერულ კვლევაში არის სამი საფეხური: 1) გარკვეული იდეით მასალის მოძიება (დაკვირვება, ცდა, ექსპერიმენტი და ა.შ); 2) მოპოვებული მასალის ანალიზი და დასკვნის გამოტანა; 3) მიღებული დასკვნის გადაცემა სხვა მეცნიერის ან სტუდენტისთვის. ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ მესამე ეტაპის განხორციელების გარეშე მეცნიერება არ შედგებოდა. ანუ, მე თუ სხვას არ გავაცანი ჩემი კვლევების შედეგები, იმ სხვამ შეიძლება ჩემ მიერ განვლილი გზა თავიდან გაიაროს. ამ მიზნით გავხდით ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ინტეგრირებული ბაზა (2005 წლიდან ვართ უნივერსიტეტთან). უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის აქ ისწავლებოდა ქირურგიის ანატომია და გაერთიანებული ანატომიის კურსი. ის შტატი, რომელიც მათ უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ამ საგნებს ასწავლის, კონკურსის შედეგად სწორედ ამ ინსტიტუტის თანამშრომლებისაგან დაკომპლექტდა. ეს კარგი სიმბიოზი აღმოჩნდა. ანუ ცოდნის გადაცემის პროცესი დაწყებულია და წარმატებით გრძელდება.

ამავე დროს დავიწყეთ მუშაობა, რომ ჩვენი პუბლიკაციები საზღვარგარეთ დაბეჭდილიყო. საბოლოო ჯამში, ამ ინსტიტუტში ყველა ის ეტაპი, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ წარმატებით გავიარეთ“ — განაცხადა ბატონმა დიმიტრი კორძაიამ.

მანვე მოგვითხრო, რომ ამ ინსტიტუტში წლების განმავლობაში მუშაობდა პათოლოგანატომიური განყოფილება, სადაც პათოლოგიური პროცესების კვლევა ხდებოდა, მაგრამ აქ მომუშავე მეცნიერები კლინიკასთან არ იყვნენ დაკავშირებული. ბოლო წლების მანძილზე ინსტიტუტი კლინიკურ შეკვეთებს იღებს არა მარტო თბილისის სტაციონარებიდან, არამედ რეგიონებიდანაც. „ამით სამი კარგი რამ გავაკეთეთ: ჩავერთეთ კლინიკურ საქმიანობაში (ვჭირდებით პაციენტებსაც და კლინიკებსაც), დამატებითი შემოსავალი გაჩნდა ამ საქმეში ჩართული ადამიანებისთვის და აღარ გვჭირდება შესაბამისი პროფილის კვლევებისთვის მასალის დამატებით მოძიება. ამ მასალებს მეცნიერული კვლევებისთვისაც ვიყენებთ“, — გვითხრა ბატონმა დიმიტრიმ.

რაც შეეხება ინსტიტუტის მიერთებას უნივერსიტეტთან, მათთვის ეს უცხო არ ყოფილა, რადგანაც სასწავლო პროცესშიც და კლინიკური პათოლოგიის კუთხითაც ინტეგრირებული იყვნენ თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტთან.

„უნივერსიტეტს ეძლევა საშუალება ჩვენს ბაზაზე განავითაროს მედიცინის ფაკულტეტი და აქ, სასწავლო პროცესის გარდა, ბიოლოგიური კვლევებიც აწარმოოს. თუ უნივერსიტეტი ფორმალურად კი არ გახდება ჩვენი ხელმძღვანელი, არამედ შემოვა და ამ ბაზას მედიცინის მიმართულების განვითარებისთვის გამოიყენებს, ჩვენ მხოლოდ მივესალმებით. ჩვენი ინტეგრაცია უნივერსიტეტთან კარგია უნივერსიტეტის იმიჯისთვისაც და ინტეგრირებული კვლევების განხორციელების კუთხითაც“, — ბრძანა ბატონმა დიმიტრიმ.

* * *

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი გიორგი ღვედაშვილი სამეცნიერო ინსტიტუტების ინტეგრაციას საუნივერსიტეტო სივრცეში დადებით მოვლენად მიიჩნევს და აცხადებს, რომ ამ გაერთიანებას დიდი პერსპექტივა გააჩნია, როგორც სამეცნიერო, ასევე სასწავლო გარემოს გაუმჯობესების კუთხით: „ეს ინსტიტუტები მაღალი სამეცნიერო პოტენციალის მატარებლები არიან. ბუნებრივია, უნივერსიტეტის როგორც კვლევითი, ისე სასწავლო საქმიანობისათვის კარგია, როდესაც მის შემადგენლობაში შემოდის სამეცნიერო ინსტიტუტი მაღალკვალიფიციური პერსონალით, სამეცნიერო თემატიკით, შესრულებული პროექტებით, გრანტებითა და სახელშეკრულებო თემებით. ამიტომ, მათ მიმართ უნივერსიტეტის ინტერესი, ცხადია, მაღალია. მეორე მხრივ, უნივერსიტეტთან შემოერთება ფართო ასპარეზზე გასვლის შესაძლებლობას აძლევს თვითონ ინსტიტუტების სამეცნიერო კადრებს, რომელთაც აქტუალური სამეცნიერო თემატიკა აქვთ და სტუდენტებთან ურთიერთობა სჭირდებათ. უნივერსიტეტის მხრიდან ინსტიტუტებს მხარდაჭერა ექნებათ სამეცნიერო თემატიკიდან გამომდინარე სამუშაოების განხორციელების, პროექტების მოზიდვის, თემების დამუშავების კუთხით. ჩვენ მათ დავეხმარებით კერძო კომპანიებთან ურთიერთხელსაყრელი ხელშეკრულებების გაფორმებაში, რაც მეცნიერების კომერციალიზაციას შეუწყობს ხელს“, — განაცხადა გიორგი ღვედაშვილმა.

მისი თქმით, ნებისმიერ შემოერთებულ ინსტიტუტს შეუძლია საქმიანობა წარმართოს უნივერსიტეტის ფარგლებშიც და მის ფარგლებს გარეთაც. მათ უნდა გაამდიდრონ თავიანთი პროგრამები, რისი შესაძლებლობაც უნივერსიტეტის წიაღში არსებობს: „ვფიქრობ, მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს უნივერსიტეტისა და ინსტიტუტების ერთმანეთისკენ მოძრაობისა და დაახლოების პროცესი, რაც თავისთავად გამოიწვევს მათ ჩართვას სასწავლო პროგრამებში. ინსტიტუტებმა უნდა მოახერხონ სტუდენტების დაინტერესება და მოზიდვა. ეს იქნება მათი საქმიანობის ლოგიკური შედეგი და ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ინდიკატორი. თუმცა, საუბარი არ არის იმაზე, რომ ვინმე ცალკე დაჯდება და შეიმუშავებს, სასწავლო პროგრამას. ცხადია, ინსტიტუტებთან ერთად შესაძლებელია გარკვეული პროგრამების მოდიფიცირება და ამ პროგრამებში სამეცნიერო ინსტიტუტების როლის გათვალისწინება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ინსტიტუტებისათვის ცალკე უნდა შეიქმნას საბაკალავრო, სამაგისტრო ან სადოქტორო პროგრამები“, — განაცხადა მან.

უნივერსიტეტისა და სამეცნიერო ინსტიტუტების ინტეგრაციის პროცესი წარმატებით მიმდინარეობს, არის რამდენიმე პრობლემური საკითხი, რომლის გადაწყვეტის გზებსაც ადმინისტრაცია უახლოეს მომავალში ინსტიტუტების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე დასახავს. მზადდება ცვლილებები უნივერსიტეტის წესდებაშიც. იგი ხელს შეუწყობს სამეცნიერო ინსტიტუტების უნივერსიტეტის წიაღში სრულფასოვან ფუნქციონირებას.

მთავარია, რომ არსებობს ორმხრივი ნება – გაერთიანება მოხმარდეს სწავლების დონის ამაღლებას და მეცნიერებისა და მომავალი სამეცნიერო კადრების აღზრდას.

ჩვენც გვინდა გვქონდეს თბილი სახლი...

პირველი გვერდიდან

როგორ მიიღეს წყლისა და ნესტისადმი გამძლე და ეკოლოგიურად სუფთა სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალები ბამბუკის, ხის ფოთლების, ბალახების, წიწვებისა და სხვა განახლებადი მცენარეული საფარის დამუშავებით? — ამ პროექტზე მუშაობს მეცნიერთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში არიან ხელმძღვანელი — პროფესორი ომარ მუკბანიანი, პროფესორი ჯიმშერ ანელი და მეცნიერ-მკვლევრები: ელიზა მარქარაშვილი და თამარ თათრიშვილი. მათ მიერ მოდიფიცირებული ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო სილიციუმორგანული შემკვრელის (წებოს) დამატებით იღებენ სწორედ ისეთ სამშენებლო და მოსაპირკეთებელ კომპოზიციურ მასალებს, რომელთა გამოყენებაც სხვადასხვა დანიშნულებით შეიძლება. იგი გამოდგება სახლის ასაშენებლად, ტიხრებად, კედელზე და ჭერზე გასაკრავად და ა.შ. მასალათა შემკვრელების (წებოს) დასამზადებლად მომუშავე მეცნიერთა აზრით, ეს კომპოზიციური მასალები სიმტკიცით, მედეგობით და ხარისხით ბევრად უსწრებს ე.წ „გიფსოკარდონს“ და დაპრესილ ფანერას (ე.წ. „დსპ“, „მდფ”-ს). იგი გამოირჩევა წყლისადმი მდგრადობის (ჰიდროფობური თვისების) მაღალი ხარისხით და ნაკლებად უჩნდება სოკო. ამ მასალას აქვს დამჭერი თვისებები და არის მაღალი თერმომედეგი. როგორც ომარ მუკბანიანმა აღნიშნა, ჩვეულებრივი დაპრესილი ფანერის თერმომედეგობა, „ვიკას“ (თერმული კვლევის მეთოდი) მიხედვით, 80 გრადუსს შეადგენს, ახალი კომპოზიციური მასალა კი 180-190 გრადუსს უძლებს. მისი გამოყენება შეიძლება ნესტიან ადგილებშიც.

კომპოზიციის შემადგენლობაში, ნახერხთან ერთად, შეიძლება სხვა მცენარეული ბოჭკოების გამოყენებაც, მაგალითად, როგორიცაა ქერელი, სელი, კენაფი, ბრინჯის ჩენჩო, სოჭის, ფიჭვის და ნაძვის წიწვები, თხილის ნაჭუჭი, ჩალა (წვრილდისპერსოვანი ფრაქციები) და ფოთოლი.

როგორც მოგეხსენებათ, მსოფლიო პრაქტიკაში სამშენებლო-მოსაპირკეთებელი სამუშაოებისას ფართოდ გამოიყენება მერქნის ბურბუშელოვანი ფილა („დსპ”) და ცელულოზა-პოლიმერული კომპოზიტის — ფიბროლიტის ე.წ. საშუალო სიმკვრივის MDF (Medium Density Fiberboard). თერმორეაქტიული ფისების ბაზაზე ფილების მიღების ტექნოლოგიური პროცესების სიმარტივემ, ამ მასალების ფიზიკურ-ქიმიურმა თვისებებმა მთელი მსოფლიოს მასშტაბით უზარმაზარი რაოდენობის ფილების საწარმოების შექმნა განაპირობა, მაგრამ ბოლო ათწლეულში აღნიშნული ფილები ეკოლოგიური უსაფრთხოების თვალსაზრისით მსოფლიო საზოგადოების ინტერესის საგანია, რადგან მათი უსაფრთხოება მეცნიერებმა ეჭვის ქვეშ დააყენეს.

საქმე ისაა, რომ საოჯახო ავეჯი, რომლებიც მიღებულია ფორმალდეჰიდის შემცველი ფისებიდან, წარმოადგენენ ფორმალდეჰიდის ხანგრძლივი მიგრაციის წყაროს, რომელიც მიეკუთვნება კანცეროგენულ ნივთიერებათა პირველ კლასს და ადამიანის ორგანიზმისათვის მავნეა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტების მიერ დადგენილია, რომ ფორმალდეჰიდის მცირედი კონცენტრაციებიც კი ადამიანის ორგანიზმში იწვევს შემდეგ სიმპტომებს: სიმკრთალე, ძალის დაკარგვა, თავის ტკივილი, გაძნელებული სუნთქვა, დეპრესია, ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე ზემოქმედება და სხვა. ფორმალდეჰიდის გრძელვადიანი ზემოქმედებისას იგი უარყოფითად მოქმედებს ადამიანის გენეტიკურ აქტივობაზე, რეპროდუქტიულობაზე, კანსა და თვალებზე. ხოლო ჩვენს მიერ დასახელებული ქართველ მეცნიერთა ჯგუფის მიერ შემოთავაზებული შემკვრელები (წებო), რომლისგანაც სამშენებლო და მოსაპირკეთებელი კომპოზიციური მასალები იქმნება, ეკოლოგიურად სუფთა, არატოქსიკური ნივთიერებების შემცველია. ეს შემკვრელი კომპოზიციებს ანიჭებს ხანმედეგობას, ზრდის ფიზიკურ-მექანიკურ და თერმულ თვისებებს, მდგრადობას ულტრაიისფერი სხივებისადმი.

ახალი კომპოზიციური მასალების პროექტზე მუშაობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2010 წელს დაიწყო და პირველი შედეგები მაისში უკვე მიიღეს. როგორც ბატონი ომარ მუკბანიანი ამბობს, ამ სამუშაოებს წინ სხვა არანაკლებ საინტერესო სამეცნიერო პროექტები უძღოდა. 2002-2003 წლებში მსოფლიო მეცნიერებათა ფედერაციის (ლოზანა, შვეიცარია) ინდივიდუალური გრანტისა (თემა: „საქართველოს ბუნებრივი ნედლეულის უტილიზაცია ახალი კომპოზიციური მასალების მისაღებად”) და საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული გრანტის ფარგლებში მეცნიერთა ამ ჯგუფმა მნიშვნელოვანი შედეგები მიიღო საქართველოს ბუნებრივი ნედლეულის (ანდეზიტის, დიატომიტის, ბენტონიტის და სხვ.) მოდიფიცირებით აქტიური შემავსებლის და მათ ბაზაზე ახალი კომპოზიციების მიღების მიმართულებით.

რაც შეეხება ახალ პროექტს, რომელზეც ვსაუბრობთ, გაირკვა, რომ ქართული ფირმა bambo.ge ამ პროექტის მეცნიერთა ჯგუფთან თანამშრომლობს და სურს, სილიციუმორგანული შემკვრელის გამოყენებით ბამბუკის მერქნისგან ახალი პროდუქცია შექმნას (პარკეტი, სხვა მოსაპირკეთებელი სამშენებლო მასალა,). „ამ თანამშრომლობის შედეგად დავიწყეთ ბამბუკისაგან და მისი ნახერხისაგან ახალი კომპოზიციური მასალების წარმოება, თუმცა ეს ტექნოლოგია ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია. ამ ფირმას სურს, რომ ბამბუკისაგან მივიღოთ სხვადასხვა სამშენებლო მასალა. აქამდე ისინი ფენოლფორმადეჰიდური ფისის ბაზაზე მიღებულ ნედლეულს იყენებდნენ (ჩინეთიდან), რაც თანამედროვე მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებს“, — განაცხადა ომარ მუკბანიანმა.

ახალი კომპოზიციური მასალების შექმნით, ასევე, დაინტერესებულია ბელგიური კომპანია, რომლის ერთ-ერთი მესაკუთრე კოენ ნოელი და ლაბორატორიის ხელმძღვანელი ჯიმი ბაიერტი უკვე სტუმრობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ამ ჯგუფს, რომელიც სამშენებლო და მოსაპირკეთებელ მასალებს აწარმოებს, ევროპის ბაზრის 30 და ბელგიის ბაზრის 70 % უკავია. ქართველ მეცნიერებს მათ საინტერესო წინადადებით მიმართეს — თუ თანამშრომლობა შედგება, სწორედ ისინი გადაიხდიან პარიზის კონვენციასთან მიერთებული ქვეყნების გამოგონების სისტემაში დასარეგისტრირებელ თანხას.

„დღეისათვის მსოფლიოში არსებობს ტენდენცია, რომ ფენოლფორმალდეჰიდური ფისი, რომლისგანაც ჩვენს გარშემო ბევრი ავეჯია დამზადებული („დსპ“-ს, „მდფ”-ის და სხვ. გამოყენებით), ხმარებიდან ამოვიღოთ. ამის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბარაკ ობამას სპეციალური განცხადებაც არსებობს, რომელიც 2013 წლიდან კრძალავს ამერიკის შეერთებულ შტატებში ფენოლფორმალდეჰიდის ბაზაზე კომპოზიციური მასალების მიღებას. ამიტომაც, ჩვენს მიერ შემუშავებული და მოდიფიცირებული სილიციუმორგანული შემკვრელის მიმართ უცხოური ორგანიზაციები აქტიურად დაინტერესდნენ. არის ასეთი საერთაშორისო საშუამავლო ორგანიზაცია „NineSigma”, რომელმაც მაისის თვეში გამოაგზავნა წერილი, რომელშიც დაინტერესება გამოხატა ჩვენი პროექტით. ჩვენ არ აგვიხსნია მათთვის ჩვენი ტექნოლოგიებს არსი, რადგანაც ისინი მოითხოვენ, დაწვრილებით აღვწეროთ, რისგან შედგება ის ნივთიერება, რომლისგანაც ჩვენ ამ მასალებს ვაწებებთ. ჩვენ არა ვართ დაცული იდეის წართმევისგან, ამიტომ გვირჩევნია თავად ჩავერთოთ მასალების წარმოებაში,“ — გვითხრა ბატონმა ომარმა.

ახალი კომპოზიციური მასალების შექმნით, ასევე, დაინტერესებულია ბელგიური კომპანია, რომლის ერთ-ერთი მესაკუთრე კოენ ნოელი და ლაბორატორიის ხელმძღვანელი ჯიმი ბაიერტი უკვე სტუმრობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ამ ჯგუფს, რომელიც სამშენებლო და მოსაპირკეთებელ მასალებს აწარმოებს, ევროპის ბაზრის 30 და ბელგიის ბაზრის 70 % უკავია. ქართველ მეცნიერებს მათ საინტერესო წინადადებით მიმართეს — თუ თანამშრომლობა შედგება, სწორედ ისინი გადაიხდიან პარიზის კონვენციასთან მიერთებული ქვეყნების გამოგონების სისტემაში დასარეგისტრირებელ თანხას. ამისთვის კი საჭიროა ტექნოლოგია კიდევ მეტად დაიხვეწოს. კერძოდ, შემცირდეს მისი დაწნეხვის დრო და იგი 20 წუთიდან 4-5 წუთამდე დავიდეს. მოლაპარაკებები ბელგიურ კომპანიასთან ამ ეტაპზეც მიმდინარეობს. პროფესორი ომარ მუკბანიანი მიწვეულია ბელგიაში, რათა ადგილზე გამოსცადონ ტექნოლოგია, რომლითაც ქართველი მეცნიერები ახალ კომპოზიციურ სამშენებლო და მოსაპირკეთებელ მასალებს ქმნიან.

პროექტის ავტორების აზრით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელშეწყობით და სათანადო გრანტის მიღების შემთხვევაში, შესაძლებელია უნივერსიტეტის ბაზაზე გაიხსნას მცირე საწარმო, რომელიც ეკოლოგიურად უსაფრთხო მასალის დამზადებას შეუდგება. მისი წარმოება საკმაოდ იაფი დაჯდება, რადგანაც ტექნოლოგიურად მხოლოდ ბუნებრივად განახლებადი მცენარეული საფარის (ფოთლები, წიწვები, ბალახი) დაქუცმაცება იქნება საჭირო. აღნიშნული წარმოება უნივერსიტეტს შემოსავალს მოუტანს. ეს თანხა კი უნივერსიტეტის მეცნიერების და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის განვითარებას მოხმარდება. ასეთი წარმოებების პრეცედენტი მსოფლიოში ბევრია. გავიხსენოთ ცნობილი ბრენდი Nokia, რომელიც სწორედ საუნივერსიტეტო წარმოების პროდუქტია.

„ამ სამუშაოებისა და მიღწეული შედეგების პოპულარიზაციაში დიდ დახმარებას გვიწევს სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსი ბატონი გიორგი ღვედაშვილი. ვფიქრობ, დეპარტამენტი გააგრძელებს ტრადიციას და წელიწადში ერთხელ ბიზნესმენებთან ერთად საუნივერსიტეტო მეცნიერების მიღწევების გამოფენას მოაწყობს. ეს კარგი საშუალება იქნება ამ ორი სექტორის ურთიერთდაახლოებისთვის. ჩემი აზრით, კომერციალიზაციის თვალსაზრისით აქტუალურ კვლევებს და მასზე მომუშავე სამეცნიერო ჯგუფებს კიდევ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს დაფინანსების თვალსაზრისით, რადგანაც ასეთი სამუშაოების სამართლებრივი დაცვა საგრანტო კონკურსებში მონაწილეობისას და პატენტის მიღების დროსაც კი შეუძლებელია“, — განაცხადა ჩვენთან საუბარში ბატონმა ომარ მუკბანიანმა.

ასე რომ,

არის სამეცნიერო პროექტი...

არის სამეცნიერო მიგნება...

უკვე არსებობს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პროდუქტიც.

ახლა საჭიროა მხოლოდ ამ პროდუქციის შეფუთვა, ბიზნეს-სექტორისთვის მიწოდება და სრულიად შესაძლებელია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მეცნიერების კომერციალიზაციის პირველი სერიოზული მაგალითი აჩვენოს.

მოამზადა: **მაია ტორაძემ**

თსუ – სწორი არჩევანი

რატომ თსუ და არა სხვა უმაღლესი სასწავლებელი? — ამ არგუმენტის დასაბუთებას ცდილობდნენ რეგიონებში (ქუთაისი, ზუგდიდი, ოზურგეთი, ბათუმი, თელავი, გორი, ახალციხე, რუსთავი) ჩასული უნივერსიტეტის წარმომადგენლები აბიტურიენტებთან შეხვედრაზე, რომელიც 4, 5 და 7 მარტს „ღია კარის დღეების“ ფარგლებში გაიმართა. უნივერსიტეტის ფაკულტეტების პროფესორებმა და ადმინისტრაციის თანამშრომლებმა, რომლებიც ამ შეხვედრებში მონაწილეობდნენ, სასწავლო პროგრამების პრეზენტაციების გზითა და სიახლეების შეთავაზებით აბიტურიენტებს უნივერსიტეტის შესახებ, შეძლებისდაგვარად, სრული წარმოდგენა შეუქმნეს და ინტერესი გაუღვივეს, თუ რითია უმჯობესი უმაღლესი განათლების მიღება სწორედ რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მართალია, მე-12 კლასის მოსწავლეებს გადაწყვეტილება, ხშირ შემთხვევაში, უკვე მიღებული აქვთ — თუ სად ჩააბარონ, მაგრამ მათთვის, როგორც გავარკვიეთ, მეტად მნიშვნელოვანი იყო საუნივერსიტეტო გარემოს უშუალოდ გაცნობა. რეგიონებში აბიტურიენტებთან გასაუბრებით და სკოლებში არსებული სიტუაციის გაანალიზებით კი უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა სათანადო დასკვნები გამოიტანეს – რა ღონისძიებების გატარებაა საჭირო მომავალში აბიტურიენტთა უკეთ მოზიდვის მიზნით. ახლად შეძენილი შთაბეჭდილებებისა და იდეების გაზიარება ჩვენ „ღია კარის დღეების“ მონაწილეებს ვთხოვეთ.

განათლების ხარისხი თსუ-ის ყურადღების ცენტრში

მარინე ლომოური, თსუ-ის რექტორის მრჩეველი:

— რატომ არის სწორი არჩევანი თსუ და არა სხვა რომელიმე უმაღლესი სასწავლებელი?

— პირველ რიგში თსუ კლასიკური უნივერსიტეტია, რომელიც აბიტურიენტს სთავაზობს საბაკალავრო პროგრამების დიდ არჩევანს, ფუნდამენტური მეცნიერებების ფართო სპექტრს, სოლიდურ კვლევით პოტენციალს, სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებს და საზღვარგარეთის მოწინავე უნივერსიტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობას, გაცვლით და ერთობლივ პროგრამებს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაარსების დღიდან საზოგადოებაში დიდი ნდობით სარგებლობს. უნივერსიტეტი მხოლოდ სასწავლო დაწესებულება არასდროს ყოფილა – იგი თავის თავში სამეცნიერო, საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ ფუნქციებს აერთიანებს, დიდ როლს თამაშობს ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებასა და საზოგადოების ფორმირებაში.

თსუ-ის უპირველესი საზრუნავი განათლების ხარისხის ამაღლებაა, იგი სტუდენტზე ორიენტირებული უნივერსიტეტია, რომლის პრიორიტეტულ ამოცანას კომპეტენტური ახალგაზრდა სპეციალისტის მომზადება წარმოადგენს. მაგრამ საუნივერსიტეტო განათლების სრულფასოვანი შეთვისება მაღალი სტანდარტის ბაზისური, სასკოლო განათლების გარეშე შეუძლებელია. ამიტომ უნივერსიტეტი დიდად არის დაინტერესებული სასკოლო განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებით, აბიტურიენტების მომზადების ხარისხით. თსუ-ის და განათლების სფეროს სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული ახალგაზრდობის მომზადების დონის მკვეთრი გაუმჯობესება. სკოლიდან მოსულ კონტინგენტს აუცილებლად უნდა გააჩნდეს საბაკალავრო პროგრამების დაძლევის პოტენციალი.

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ თსუ-ს უპირატესობას ანიჭებს ქვეყნის აბიტურიენტების საუკეთესო და უდიდესი ნაწილი, რაც 2010 წლის მონაცემებით აბიტურიენტების 32%-ს შეადგენს. ვფიქრობ, წელსაც ასეთივე შედეგი გვექნება. საზოგადოების ეს ნდობა ძალიან დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. უნივერსიტეტის შერჩევისას მომავალი დასაქმების გარანტია უაღრესად სერიოზული, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი არგუმენტია აბიტურიენტისთვის. თსუ ზრუნავს შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი ახალგაზრდა სპეციალისტის გამოშვებაზე. ეს ურთულესი, კომპლექსური პრობლემაა. მკაფიოდ უნდა გვქონდეს წარმოდგენილი ქვეყნის შრომის ბაზარი, მისი ცვლილებების ტენდენციები, პერსპექტიული პროფესიების სავარაუდო სპექტრი. ამგვარი ინფორმაციის მოპოვება რთულია, რადგან, სამწუხაროდ, სპეციალური სამსახურები ნაკლებად ფლობენ ინფორმაციას დასაქმების არსებული სფეროების და/ან მათი პერსპექტივების შესახებ. ამიტომ საჭირო ხდება უშუალო ურთიერთობა მსხვილ დამსაქმებლებთან. ჩვენ უნდა ვიცნობდეთ მათ მოთხოვნებს, რათა გავითვალისწინოთ ისინი ჩვენი საგანმანათლებლო პროგრამების, მოდულების, ცალკეული სილაბუსების შედგენისას. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ თითქმის ყველა დამსაქმებელი ფირმა ცდილობს განათლების არმქონე ახალგაზრდებს თვითონ შესთავაზოს სპეციალისტის მომზადების პროგრამები, რაც ნიშნავს, რომ ნახევარი ან ერთი წლის მანძილზე მიღებული კვალიფიკაციის საფუძველზე ყველა მსურველს შეუძლია დასაქმდეს პრაქტიკულად იგივე ხელფასით, რისი მიღების შანსიც აქვს, მაგალითად, უმაღლესი სასწავლებლის ბაკალავრიატდამთავრებულს, რომელმაც 4 წელი ისწავლა და რომელსაც ცოდნის მიღება საკმაოდ ძვირიც დაუჯდა. ასე რომ, სკოლადამთავრებული ახალგაზრდა ორიენტირებული აღარ არის მაინცდამაინც უმაღლეს სასწავლებელზე, რადგან უფრო იოლად და ნაკლები დანახარჯებით შეუძლია დასაქმება. ეს ეხება განსაკუთრებით სოციალურად დაუცველ ფენებს და მათ, ვისაც ოჯახური ტრადიცია უმაღლესი განათლების მიღებისკენ არ უბიძგებს. თუმცა, გასაგებია, რომ ასეთი პროფესიული მომზადების გავლით დასაქმებული ახალგაზრდის კარიერული ზრდის შანსები შეუდარებლად დაბალია, ვიდრე საბაკალავრო განათლების მიღების შემთხვევაში. პროფესიული განათლება ახლა იკიდებს ფეხს საქართველოში და, როგორც ამას სხვა ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, სავარაუდოდ, თანდათან მეტ კონკურენციას გაუწევს საუნივერსიტეტო განათლებას. ამავე დროს, თანამედროვე ხედვით, ზუსტი და საბუნებისმეტყველო, ფუნდამენტური და საინჟინრო-გამოყენებითი უმაღლესი განათლების მქონე სოციალური ფენა სახელმწიფოს სტრატეგიულ რესურსად და განვითარების მძლავრ ფაქტორად განიხილება. ამიტომ არის სახელმწიფოს პრიორიტეტულ ამოცანად ამ განათლების ხელშეწყობა გამოცხადებული. რეალობიდან გამომდინარე, თსუ-ისა და სკოლის თანამშრომლობა უნდა გააქტიურდეს, არა გვაქვს უფლება დავკარგოთ მაღალი ინტელექტუალური პოტენციალის მქონე არც ერთი მოზარდი.

ჩვენი მუშაობის გამოცდილება გვიჩვენებს და ეს „ღია კარის დღის“ ფარგლებში ჩატარებულმა ამ ორმა ვოიაჟმაც დაადასტურა, რომ იმ რეგიონებში, სადაც ჩვენი პროფესორები თსუ-ის პროექტ „საბავშვო უნივერსიტეტის“ ფარგლებში ადრეც ყოფილან და ლექციები წაუკითხავთ, მოსწავლეებსაც და მათ პედაგოგებსაც თსუ-ის მიმართ დიდი ნდობა, ინტერესი, ცოცხალი კონტაქტის სურვილი აშკარად ჰქონდათ.

ვფიქრობ, მეტად სასარგებლო იქნება მოსწავლეებთან მუშაობის დაწყება მე-7, მე-8 ან მე-9 კლასიდან მაინც, რათა დავეხმაროთ მათ მაქსიმალურად ეფექტურად გამოიყენონ სკოლაში სწავლის წლები. აქვე აღვნიშნავ, რომ თსუ-ის დახმარებას საბედნიეროდ არსებობს დიდი სია პროფესორებისა, რომლებსაც სურთ ამ საქმეში მონაწილეობის მიღება. რომ არა თსუ-ის ერთგული, თავდადებული, ენთუზიასტი პროფესორები, ასეთი უსასყიდლო მუშაობა სკოლასთან შეუძლებელი იქნებოდა. მადლობა მათ. დიდი იმედი მაქვს, რომ სკოლასთან ურთიერთობის ეს ახალი პროგრამები კიდევ უფრო მეტად წარმოაჩენს უნივერსიტეტის რესურსს, რაც თბილისში და რეგიონებში მცხოვრები მომავალი აბიტურიენტებისთვის თსუ-ს მეტად მიმზიდველსა და სასურველს გახდის.

სტაჟირება უნივერსიტეტში

გიორგი გაფრინდაშვილი, თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანაშემწე:

— აბიტურიენტების უმრავლესობა ვერ ახერხებს დედაქალაქში ჩამოსვლას რომ უნივერსიტეტში გამოცხადებული ღია კარის დღეების ღონისძიებაში მიიღოს მონაწილეობა, ამიტომ გაჩნდა რეგიონებში გასვლის იდეა, ჩვენ გადავწყვიტეთ, მივსულიყავით მათთან და წარგვედგინა უნივერსიტეტის თითოეული ფაკულტეტი, გაგვეცნო — რა სიახლეებია და რა კეთდება უნივერსიტეტში, ამასთან ერთად გაგვეგო — თუ საიდან, როგორი გარემო პირობებიდან მოდის თსუ-ში ჩვენი კონტინგენტი. როგორც გავარკვიეთ, აბიტურიენტთა უმრავლესობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უკვე არჩეული ჰქონდა და ჩამოყალიბებულნიც იყვნენ — თუ რა მიმართულებით და როგორ გააგრძელებენ სწავლას. ამიტომ რეგიონებში ჩვენი ვიზიტის მთავარი მიზანი მათთვის იმ პერსპექტივების გაცნობა იყო, რაც უნივერსიტეტის მიმართ მათ მოლოდინს პასუხს სცემდა.

ამ გასვლითი პრეზენტაციების ხიბლი უნივერსიტეტისთვის გახლდათ ის, რომ ღონისძიება გათვლილი არ იყო მხოლოდ მე-12 კლასელებისთვის, ანუ მათთვის, ვინც წელს აბარებს და ვისაც უკვე გადაწყვეტილება მიღებული აქვს. ეს შეხვედრები გაცილებით საინტერესო და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა უფროსი კლასების მოსწავლეებისთვის, რადგან მათ გარკვეული წარმოდგენა შეექმნათ უნივერსიტეტის შესახებ.

ვმუშაობთ თსუ-ში შიდასტაჟირების პროგრამაზე, რის საფუძველზეც ადმინისტრაციულ დეპარტამენტებსა და ფაკულტეტებს ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისა და მაგისტრანტების დასაქმების საშუალება ექნებათ. ამ პროგრამის თანახმად სტუდენტები კონკურსის გზით შეირჩევიან და თავისივე უნივერსიტეტში ლექციების პარალელურად გაივლიან სტაჟირებას, რაც სპეციალობის მიხედვით პროფესიული ზრდის შანსს ზრდის. სტუდენტთა შესარჩევი კონკურსების ჩატარება უახლოეს პერიოდში იგეგმება.

უნდა გითხრათ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს განსაკუთრებული რეკლამა და პიარი არ სჭირდება. ის ბრენდი, რაც უნივერსიტეტის ისტორიას მოიცავს და რაც მის კედლებში იქმნება, ისედაც მიმზიდველია აბიტურიენტებისთვის. უბრალოდ ჩვენ მათ ვაჩვენეთ, როგორი სიტუაცია იყო 5 წლის წინ და რა მდგომარეობაა დღესდღეობით, თუნდაც აუდიტორიების და რესურს-ცენტრების მხრივ, გაცვლითი პროგრამების რაოდენობის კუთხით და ა.შ, ანუ მათი ყურადღება გავამახვილეთ უნივერსიტეტის განვითარების დონეზე, რათა გაეცნობიერებინათ, რა შესაძლებლობები ექნებათ მათ თსუ-ში.

კიდევ რა დასკვნების გამოტანის საშუალება მოგვცა ამ შეხვედრებმა? კვლავ მაღალია ინტერესი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, იურიდიული, ჰუმანიტარული თუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტების მიმართ, როგორც ეს ბოლო წლებში შეინიშნებოდა, რაც შეეხება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს და მედიცინის მიმართულებას, წელს მედიცინის მიმართულების მიმართ ინტერესი შედარებით ნაკლები გახლდათ, ხოლო ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, სხვა წლებთან შედარებით, უფრო ინტერესით ეკიდებიან, რაც, შესაძლოა, იმანაც განაპირობა, რომ იგი საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ ქვეყანაში პრიორიტეტულ დარგად არის გამოცხადებული. აქედან გამომდინარე, ამ დარგების მიმართ მოსწავლეების ხედვაც შეცვლილია.

სიახლეებს რაც შეეხება, უნივერსიტეტის რეალობაში გაჩნდა ტურიზმის მიმართულება, რომელზეც სტუდენტების მიღება ცხადდება. მოგეხსენებათ, ქვეყნისთვის ტურიზმის განვითარება ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია და ამ მიმართულებით დაინტერესება საკმაოდ დიდია.

ვაპირებთ დასაქმების მხრივაც დავეხმაროთ წარჩინებულ სტუდენტებს. ამ მიზნით ვმუშაობთ თსუ-ში შიდასტაჟირების პროგრამაზე, რის საფუძველზეც ადმინისტრაციულ დეპარტამენტებსა და ფაკულტეტებს ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისა და მაგისტრანტების დასაქმების საშუალება ექნებათ. ამ პროგრამის თანახმად სტუდენტები კონკურსის გზით შეირჩევიან და თავისივე უნივერსიტეტში ლექციების პარალელურად გაივლიან სტაჟირებას, რაც სპეციალობის მიხედვით პროფესიული ზრდის შანსს ზრდის. სტუდენტთა შესარჩევი კონკურსების ჩატარება უახლოეს პერიოდში იგეგმება. ვფიქრობ, უფრო მომგებიან პოზიციაში იქნებიან ისინი, ვინც პრაქტიკებს უნივერსიტეტში და არა სხვა დაწესებულებებში გაივლიან, რადგან თსუ-ში კვალიფიციური კადრები მუშაობენ და მათ მიერ ნასწავლი მთელი ცხოვრების მანძილზე გამოადგებათ.

მოამზადა: ნინო კაკულია

ორი სამაგისტრო ხარისხის ერთად მოპოვების შესაძლებლობა

„დერეფანში წავაწყდი ორ ატირებულ სტუდენტს, რომელთაც მითხრეს, რომ სურდათ სწავლა გაეგრძელებინათ სოციალური მუშაობის სპეციალობით, მაგრამ მათ მობილობის წესით ვერ შეძლეს გადასვლა ამ მიმართულებაზე არასაკმარისი ვაკანტური ადგილების გამო. თუ ასე ტირიან სტუდენტები და ითხოვენ ამ სპეციალობის დაუფლებას, ვისურვებდი, რომ მომავალში მეტი ადგილი გამოგვეყო მათთვის“ — აღნიშნა სოციალურ მუშაკთა დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა, რომლის გამოსვლაც სოციალური მუშაობის სპეციალობის კარგ რეკლამადაც შეიძლება ჩაითვალოს.

ნინო კაკულია

რატომ არის საინტერესო სოციალური მუშაობის სპეციალობის დაუფლება და რით მიიპყრო ამ სპეციალობამ სტუდენტთა ყურადღება? როგორც გავარკვიეთ, გარდა იმისა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამ პროფესიის დაუფლებას სტუდენტებს სწავლების სამსაფეხურიანი ეტაპით (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სთავაზობს, 2011 წლის გაზაფხულიდან ამოქმედდა პარალელური სამაგისტრო პროგრამა ინგლისის შეფილდ-ჰალამის უნივერსიტეტთან ერთად. ეს სიახლე საშუალებას მისცემს თსუ-ის სოციალური მუშაობის მაგისტრატურის სტუდენტებს პარალელურად მოიპოვონ სოციალური ზრუნვის მაგისტრის ხარისხი შეფილდ-ჰალამის უნივერსიტეტში. ეს ამ ტიპის თანამშრომლობის პირველი პრეცედენტია საქართველოში სოციალურ მეცნიერებათა სფეროში.

მოგეხსენებათ, რომ ჩვენს რეალობაში პრაგმატულად მოაზროვნე სტუდენტები იმდენად მომრავლდნენ, რომ თუ დასაქმების პერსპექტივას არ დაანახებ, მხოლოდ საინტერესო სასწავლო პროგრამის შეთავაზებით მათ ვერ მოხიბლავ. ამდენად, აღსანიშნავია ისიც, რომ სოციალური მუშაობის სასწავლო პროგრამის წარმატებით დასრულების მერე კურსდამთავრებულებს ექნებათ ისეთ სოციალურ პრობლემებზე მუშაობისთვის საჭირო თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები, როგორიცაა: ბავშვების, ქალებისა და ოჯახების კეთილდღეობა; ხანდაზმულობა; ადამიანის უფლებების დარღვევა; არასრულწლოვანთა დამნაშავეობა; ტრეფიკინგი; ფსიქიკური და ფიზიკური შესაძლებლობების შეზღუდულობა; უსახლკარობა; ეკონომიკური არასტაბილურობა; უმუშევრობა; ნარკომანია, ტოქსიკომანია, ალკოჰოლიზმი და სხვ. სოციალურ მუშაკთა დასაქმების პერსპექტივები უკავშირდება ამ პრობლემებზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს — ყველა ამ დადებით ნიუანსზე და სიახლეზე, რაც სოციალური მუშაობის მიმართულების განვითარების ეტაპებს მოიცავს, სოციალურ მუშაკთა დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე თსუ-ის სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულების ხელმძღვანელმა იაგო კაჭკაჭიშვილმა ვრცლად ისაუბრა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი, საქართველოს პირველი ლედი სანდრა ელისაბედ რულოვსი, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელი პირები, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის, გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლები, უნივერსიტეტის „სოციალური მუშაობის“ მიმართულების პროფესორები, ბაკალავრიატის კურსდამთავრებულები და მაგისტრანტები. აუდიტორიის წინაშე იაგო კაჭკაჭიშვილმა ისაუბრა იმ უპირატესობებზეც, რითაც შეიძლება ამ სპეციალობის სტუდენტებმა ისარგებლონ, თუ, რა თქმა უნდა, სახელმწიფო სოციალურ მუშაკთა პოტენციალს სათანადოდ გამოიყენებს. სწორედ ამ უპირატესობების თაობაზე გააკეთეს კომენტარები ჩვენთან საუბრისას ღონისძიების მონაწილეებმა.

სანდრა რულოვსი, საქართველოს პირველი ლედი:

— სოციალურ მუშაკთა პროფესიული მომზადება (საბაკალავრო, სამაგისტრო და ახლა უკვე სადოქტორო პროგრამების გავლით) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 5 წლის წინ დაიწყო. სამაგისტრო პროგრამა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტშიც გვაქვს. ქვეყნის მასშტაბით ამ პროფესიის პოპულარიზაცია თანდათან ხდება. ჩემი აზრით, სოციალური მუშაობა ერთ-ერთი წამყვანი პროფესია უნდა იყოს მომავალში, რადგან ქვეყანას კვლავაც რთული კონტინგენტი ჰყავს – უამრავ გაჭირვებულ და ღარიბ ადამიანს სჭირდება ხან იურიდიული, ხან ფსიქოლოგიური, ხან სამედიცინო დახმარება, რასაც სოცმუშაკი უზრუნველყოფს. სწორედ იგი აძლევს რჩევებს მათ, თუ როგორ გამოიყენონ სახელმწიფო სერვისები მაქსიმალურად. იმედი მაქვს, რომ სექტემბრიდან სოციალურ მუშაობას, როგორც მომავალ პროფესიას, კიდევ უფრო მეტი სტუდენტი აირჩევს.

იაგო კაჭკაჭიშვილი, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი:

— 2011 წლის გაზაფხულიდან ამოქმედდა პარალელური სამაგისტრო პროგრამა ინგლისის შეფილდ-ჰალამის უნივერსიტეტთან ერთად, რომელიც საშუალებას მისცემს თსუ-ის სოციალური მუშაობის მაგისტრატურის სტუდენტებს პარალელურად მოიპოვონ სოციალური ზრუნვის მაგისტრის ხარისხი შეფილდ-ჰალამის უნივერსიტეტში. ანუ ეს გახლავთ ორი სამაგისტრო ხარისხის ერთად მოპოვების შესაძლებლობა.

შეფილდ-ჰალამის უნივერსიტეტში თსუ-ის სტუდენტის ჩარიცხვის წინაპირობაა უცხო ენის კარგი ცოდნა და ინტერვიუს გავლა შეფილდ-ჰალამის უნივერსიტეტის პროფესორებთან. ევროპული სამაგისტრო ხარისხის მოპოვების დაცვის ძირითადი პირობაა სამაგისტრო ნაშრომის ინგლისურად დაწერა შეფილდ-ჰალამის უნივერსიტეტის პროფესორის ხელმძღვანელობის ქვეშ. შეფილდ-ჰალამის უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას, აღიაროს თსუ-ის სოციალური მუშაობის მაგისტრანტის მიერ დაგროვილი სასწავლო კრედიტები და მოითხოვს, რომ მაგისტრანტმა დაფაროს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისათვის აუცილებელი 30 კრედიტი. ეს თანამშრომლობა დისტანციური სწავლების ფარგლებში ხდება (თუმცა მაგისტრანტების ხელმძღვანელები თსუ-ს რამდენჯერმე ეწვევიან და სტუდენტებს უშუალოდ შეხვდებიან). საერთოდ შეფილდ-ჰალამის უნივერსიტეტისთვის უცხო ქვეყნის სტუდენტის გადასახადი მაგისტრატურაში არის 7000 ფუნტი, მაგრამ ჩვენთვის ეს თანხა ჩამოწერეს და თსუ-ის სტუდენტი თუ წარმატებით შეასრულებს სამაგისტრო ნაშრომს, მაგისტრის დიპლომს უფასოდ მიიღებს.

სოციალური მუშაობის მაგისტრატურის 6 სტუდენტთან ინტერვიუები (გასაუბრება) შეფილდ-ჰალამის უნივერსიტეტის წარმომადგენელთა მონაწილეობით 20-დან 25 მარტამდე უკვე გაიმართა — ეს იქნება პირველი კოჰორტა, ხოლო მეორე ნაკადი გვეყოლება შემოდგომაზე, ანუ ოქტომბრის დასაწყისში კიდევ 5 სტუდენტი აპირებს მოიპოვოს შეფილდ-ჰალამის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი.

ვფიქრობ, მომავალში, ეს ადამიანები არა მარტო სოციალურ მუშაკებად დასაქმდებიან, არამედ ქვეყნის სოციალური პოლიტიკის განსაზღვრასა და დაგეგმვაშიც მიიღებენ სერიოზულ მონაწილეობას. მათ ამ დონის კვალიფიკაცია ნამდვილად ექნებათ. როგორც ეს დღესდღეობით იკვეთება, სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან თანამშრომლობისთვის მზაობა მაღალია და ისინი ოპტიმისტურად უყურებენ ამ სპეციალობის განვითარებას უნივერსიტეტში, რაც სოციალური მუშაობის ხაზით უნივერსიტეტსა და სახელმწიფოს შორის ნაყოფიერი თანამშრომლობის შანსს ზრდის.

ეთერ ჩუბინიძე, მაგისტრანტი:

— ვაპირებ შეფილდ-ჰალამის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხის მოპოვებას და ვიმედოვნებ, რომ მექნება არა მარტო ქართული უნივერსიტეტის, არამედ ბრიტანული უნივერსიტეტის დიპლომიც.

სოციალური მუშაობა, ჯერჯერობით, საქართველოში არ არის პოპულარული პროფესია, რაც ძირითად პრობლემად იკვეთება. ადამიანებმა ხშირად არც კი იციან, რას ნიშნავს სოციალური მუშაკი. ჩემი ყველა ვიზიტი თითოეულ ოჯახში თუ პიროვნებასთან იწყება იმით, რომ განვუმარტო თუ რაში გამოიხატება მათდამი ჩემი დახმარება.

სოციალური მუშაკისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია პრაქტიკა. იმდენს ვერ შეიძენ თეორიით და მხოლოდ წაკითხული წიგნებით, რასაც პრაქტიკა მოგცემს. ამავე დროს, ეს სწორედ ის პროფესიაა, რომელიც სოციალურ სფეროში შემოქმედებითობის გამოვლენის შანსს გაძლევს. როცა შენ გინდა საზოგადოების გააქტიურება, სოციალური ცვლილება და გსურს ადამიანს სერვისი მიაწოდო, შენ აუცილებლად უნდა იცოდე — რა ხდება ველზე, ანუ სწორედ პრაქტიკა გაძლევს იმის საშუალებას, რომ, პირველ რიგში, გაეცნო სიტუაციას და შემდეგ უკვე იმოქმედო იმის მიხედვით, რა მოთხოვნაც საზოგადოებიდან მოდის.

— დასაქმების რა პერსპექტივა გაქვთ?

— იმედი მაქვს, რომ სოციალურ მუშაკზე მოთხოვნა უფრო გაიზრდება, რადგან ძალიან ბევრი სფეროა, სადაც საჭიროა სოციალური მუშაკი. მაგალითად, საჯარო სკოლის სოციალური მუშაკი მოსწავლეების მობილიზებას მოახდენდა. სკოლის მოსწავლეების სოციალური წარსულის შესწავლა მას საშუალებას მისცემდა მასწავლებელთან ერთად შეედგინა პასიურ და ინდიფერენტულ ბავშვთან ინდივიდუალურად მუშაობის გეგმა. იგი მასწავლებელს მისცემდა რჩევას, ფსიქოლოგთან ერთად ტანდემში ემუშავა. სასკოლო ცხოვრების პროცესში სოციალური მუშაკის ჩართვით ბევრი მოსწავლე შეიძლება აქტიურიც გამხდარიყო.

— ხომ არ გეხამუშებათ სახელი — „სოციალური მუშაკი“, ცოტა კომუნისტურად ხომ არ ჟღერს?

— საერთაშორისო გამოცდილებით უკვე დიდი ხანია ასე ჰქვია მას, ვინც სოციალურ სამუშაოს ასრულებს. მე, პირადად, ეს სახელწოდება არ მეხამუშება. მართალია წარსულში „მუშა“ სხვა ფენომენი იყო, მაგრამ ჩვენ თაობაში არ შემხვედრია ისეთი სტუდენტი, რომელიც იტყვის, რომ მოდი, სოციალური მუშაკი არ გვერქვას.

* * *

ინფორმაციისთვის:

სოციალური მუშაობის საუნივერსიტეტო განათლების ინსტიტუციონალიზაცია საქართველოში 2005 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყო. სოციალური მუშაობის სპეციალობის დაფუძნება საქართველოში შესაძლებელი გახდა ევროკომისიის ტემპუს/ტასისის პროგრამის ფინანსური დახმარებით. ამ პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულებამ მოიპოვა ორი 3 წლიანი გრანტი. მიმართულება აქტიურად თანამშრომლობს პარტნიორ უნივერსიტეტებთან ბრიტანეთში, სლოვენიაში, უკრაინაში, ესტონეთსა და ლიტვაში. სოციალური მუშაობის მიმართულებით მიღწევები რამდენიმე ეტაპს მოიცავს:

2006 წელს თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გაიხსნა სოციალური მუშაკის საბაკალავრო პროგრამა (BSW); 2010 წელს სოციალური მუშაობის ბაკალავრის ხარისხი მოიპოვა 23-მა კურსდამთავრებულმა (ყოველწლიურად სოციალურ მუშაობას, როგორც ძირითად სპეციალობას, ირჩევს საშუალოდ 35 სტუდენტი); 2009 წელს ფაკულტეტზე გაიხსნა სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამა (MSW); 2009-2010 სასწავლო წელს სოციალური მუშაობის მაგისტრატურაში ჩააბარა 8 სტუდენტმა, ხოლო 2010-2011 სასწავლო წელს — 19 სტუდენტმა; 2011 წლის თებერვლიდან განხორციელდა სოციალური მუშაობის პარალელური სამაგისტრო ხარისხის ვალიდაცია შეფილდ-ჰალამის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით; 2010 წელს ამოქმედდა სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამა; 2010 წელს სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამაში 6 სტუდენტი ჩაირიცხა.

სააუდიტორიო სწავლების გარდა, სოციალური მუშაობის კურიკულუმის უმნიშვნელოვანესი ნაწილია სასწავლო პრაქტიკა. სტუდენტები პრაქტიკას გადიან სოციალური მუშაობის სერვისის გამომყენებელ ორგანიზაციებში — როგორც სახელმწიფო, ისე არასამთავრობო სააგენტოებში.

გარდა ამისა, 2007 წლიდან თსუ-ში ფუნქციონირებს სოციალურ მუშაკთა სერტიფიცირების სასწავლო პროგრამა, რომლის მიზანია მოქმედ სოციალურ მუშაკთა გადამზადება. 2011 წელს უკვე მეხუთედ ხორციელდება სერტიფიცირების პროგრამა. სულ გადამზადდა 180-მდე მოქმედი სოციალური მუშაკი, რომელთაც მოიპოვეს თსუ-ის სერტიფიკატები.

ექვსმა პარტნიორმა უნივერსიტეტმა დააფუძნა ინგლისურენოვანი ჟურნალი „სოციალური პოლიტიკა და სოციალური მუშაობა გარდამავალ პერიოდში“ (“Social Policy and Social Work in Transition“). ეს არის ე.წ. კოლეგათა შეფასებაზე დაფუძნებული (peer-reviewed) ჟურნალი. ჟურნალი იბეჭდება საქართველოში. უკვე დაიბეჭდა 2 ნომერი; მესამე ნომერი 2011 წლის გაზაფხულზე გამოვა. აღსანიშნავია, რომ ბრიტანულმა გამომცემლობამ “Whiting and Birch“ გამოთქვა ინტერესი 2012 წლიდან გახდეს ამ ჟურნალის თანამფლობელი თსუ-თან ერთად და გააგრძელოს ჟურნალის გამოცემა და დისტრიბუცია მსოფლიოში.

ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐᲡ ᲗᲡᲣ-ᲨᲘᲪ ᲐᲡ�წᲐᲕᲚᲘᲐᲜ

ამ აუდიტორიებში ყოველთვის არეულობაა. მერხების გარდა ოთახი სავსეა დაზგებით, თაბაშირის ფიგურებით, საკერავი მანქანებით, ფერადი ქსოვილებით. არც ადგილზე საათობით ჯდომა და კონსპექტების ჩაწერა არ არის საჭირო. თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის — სახვითი ხელოვნება; ტანსაცმლისა და დეკორატიული ქსოვილების დიზაინის მიმართულებაზე სწავლა მესამე წელია მიმდინარეობს და მათთვის, ვინც შემოქმედებითი ნიჭით არის დაჯილდოებული, უჩვეულო და იდეალური გარემოა შექმნილი.

ᲨᲣᲠᲗᲮᲘᲐ ᲑᲔᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ

ოსტატისა და შეგირდის ერთობლივი შემოქმედებითი თანამშრომლობა — ამ მარტივ სქემას ემყარება სწავლების პროცესი, რომელიც, ძირითადად, პრაქტიკულ საქმიანობასა და სტუდენტთა დაოსტატებაზეა ორიენტირებული. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ მიმართულებაზე სწავლა სამივე საფეხურზე მიმდინარეობს. სახვითი ხელოვნება; ტანსაცმლისა და დეკორატიული ქსოვილების დიზაინის მიმართულების ხელმძღვანელის ლევან სილაგაძის ინფორმაციით, ამ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, სტუდენტს საბაკალავრო პროგრამებთან შედარებით მოკლე დროში მისცეს ზოგადი ცოდნა, პრაქტიკული გამოცდილება და ტექნიკური უნარ-ჩვევები, რომელიც მას რეალურად გამოადგება ამ სფეროში წარმატებული მუშაობისთვის.

„უნდა გავითვალისწინოთ, რომ კარგი მხატვრის, დიზაინერის ჩამოყალიბებისთვის სწავლების პროცესში, ძირითადად, ინდივიდუალური მიდგომაა საჭირო. პროგრამის სტრუქტურის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია მხატვრული ხედვისა და აზროვნების ჩამოყალიბება, ოსტატობისა და ტექნიკური უნარ-ჩვევების სწავლების ტრადიციული მეთოდების შერწყმა თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებასთან, რაც გარკვეული გარანტიაა იმისა, რომ მომავალ სპეციალისტებს საშუალება ექნებათ თავის სფეროში რეალური სამუშაო ადგილი მოიპოვონ.

სტუდენტებს შეუძლიათ ისწავლონ თსუ-ში არსებულ სახვითი ხელოვნების სტუდია-ლაბორატორიაში, რომელიც აღჭურვილია დაზგური ფერწერისა და გრაფიკისთვის აუცილებელი ინვენტარით (მოლბერტები, დაზგები, ტუმბოები, თაბაშირის მოდელები, ოფორტის დაზგა, ქანდაკების დაზგა), ტანსაცმლის დიზაინის სტუდია-ლაბორატორია აღჭურვილია საჭირო მანქანა-დანადგარებით, მაგიდებითა და სხვა ინვენტარით. აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ექნება საკმარისი ცოდნა, კვალიფიკაცია და პრაქტიკული უნარ-ჩვევები დაზგური მხატვრობის (ფერწერა, გრაფიკა) დარგებში ინდივიდუალური შემოქმედებითი მუშაობისა, მას ასევე შეუძლია ინდივიდუალურად იმუშაოს სამოდელო სახლებთან და მსუბუქი მრეწველობის საწარმოებთან, დასაქმდეს კინოს, თეატრის, ტელევიზიის მხატვრად და სხვა. მოქმედი პროგრამა 120 კრედიტიანია, თუმცა, ძირითადად, პრაქტიკაზეა ორიენტირებული, ამიტომ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ პროფესიონალიზმის თვალსაზრისით, ისინი არ ჩამოუვარდებიან ბაკალავრიატდამთავრებულ სტუდენტებს“, — აღნიშნავს ლევან სილაგაძე. მისი ინფორმაციით, ამჟამად სახვითი ხელოვნების, ტანსაცმლისა და დეკორატიული ქსოვილების დიზანის მიმართულებაზე 37 სტუდენტი დიზაინს და დეკორატიულ ხელოვნებას ეუფლება, 15 სტუდენტი კი — სახვით ხელოვნებას. მოთხოვნა მართალია დიდია, მაგრამ საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე, სასწავლებელი მეტ სტუდენტს ვერ მიიღებს.

„ჩემი ინფორმაციით, ჩვენი კურსდამთავრებულები აქტიურად თანამშრომლობენ სამოდელო სახლებთან როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ, მონაწილეობენ სხვადასხვა გამოფენებზე და წარმატებებსაც აღწევენ. ახლახან გაიმართა კონკურსი სახელწოდებით: „მე ვხატავ თბილისს“ და ჩვენმა ორმა სტუდენტმა: გიორგი შაყულაშვილმა და გვანცა არსენიშვილმა პირველი და მეორე ადგილები გაინაწილეს. სტუდენტების გამოფენა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც მოეწყო. მათი წარმატება პედაგოგებსაც გვახარებს“, — ამბობს ლევან სილაგაძე.

როგორც მიმართულების ხელმძღვანელი აღნიშნავს, ამ ეტაპზე უნივერსიტეტში სწავლებისთვის ნორმალური პირობებია შექმნილი. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დამაკმაყოფილებელია. პირობების გაუმჯობესებას კი იმ დროისთვის ელოდებიან, როდესაც პირველი კორპუსის რემონტი დამთავრდება და სტუდია „სხვენი“ აღდგება.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲓᲝᲥᲢᲝᲠᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ ᲗᲡᲣ-ᲨᲘ

ᲜᲐᲢᲝ ᲝᲒᲝᲚᲐᲫᲔ

„ევროპული ლიტერატურის“ საერთაშორისო სადოქტორო პროგრამა, რომელიც თსუ-ში 2010 წელს ამოქმედდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპის საგანმანათლებლო სივრცეში გასაწევრიანებლად კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია. სადოქტორო პროგრამის მონაწილე სტუდენტები კურსის დასრულების შემდეგ საერთაშორისოდ აღიარებული დოქტორის ხარისხს მიიღებენ. „ევროპული ლიტერატურის“ სადოქტორო პროგრამაზე ამჟამად 3 დოქტორანტი სწავლობს. მისი ხანგრძლივობა 3 წელია. ამ პერიოდში დოქტორანტები პროგრამის ხელმძღვანელების მიერ შერჩეულ ერთ კონკრეტულ თემაზე მუშაობენ. 2010 წელს სამუშაო თემად შეირჩა „ბიბლია ევროპულ ლიტერატურაში“ .

„ევროპული ლიტერატურის“ სადოქტორო პროგრამის დოქტორანტები მასშტაბური კვლევის პროცესში არიან ჩართულნი. მაგალითად, თემას „ბიბლია ევროპულ ლიტერატურაში“ სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების ამავე პროგრამის დოქტორანტები სხვადასხვა მიმართულებით იკვლევენ. შედეგად კი საფუძვლიანად დამუშავებულ ერთ სერიოზულ ნაშრომს ვიღებთ. მოხარული ვარ, რომ ჩვენი უნივერსიტეტიდან წარდგენილმა დოქტორანტებმა კარგად აუწყვეს ფეხი მუშაობის პროცესს და მათი ნაშრომები პროგრამის უცხოელმა თანახელმძღვანელებმაც მოიწონეს“, — განაცხადა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა დარეჯან თვალთვაძემ.

საქართველოს გარდა „ევროპული ლიტერატურის“ სადოქტორო პროგრამა იტალიის, საფრანგეთის, საბერძნეთის, რუსეთის, ბულგარეთის, გერმანიისა და ესპანეთის წამყვან უნივერსიტეტებში ხორციელდება. თითოეულ უმაღლეს სასწავლებელს პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად მხოლოდ 3 სტუდენტის წარდგენის უფლება აქვს.

„ევროპული ლიტერატურის“ სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი, ბოლონიის უნივერსიტეტის პროფესორი ანა სონჩინი გახლავთ. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს 18 მარტს ეწვია და სადოქტორო პროგრამის პრეზენტაცია გამართა.

„ამ სადოქტორო პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად სტუდენტები კარგად უნდა ფლობდნენ ფრანგულ და ინგლისურ ენებს, შესაძლოა, მოვითხოვოთ 3 ან 4 უცხო ენის ცოდნაც. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ლიტერატურაზე მოუწევთ სტუდენტებს კონკრეტულად მუშაობა. პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სხვადასხვა ეროვნების სტუდენტების დაახლოებაც გახლავთ“, — განაცხადა ანა სონჩინიმ.

„ევროპული ლიტერატურის“ ტიპის სადოქტორო პროგრამა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2010 წლამდე არ ამოქმედებულა. უფრო მეტიც, ეს არის საქართველოში პირველი სადოქტორო პროგრამა, რომლის მონაწილეებსაც მულტიკულტურულ გარემოში, სხვადასხვა ეროვნების სტუდენტებთან ერთად, უწევთ მუშაობა.

„ევროპული ლიტერატურის“ სადოქტორო პროგრამას საფუძველი 15 წლის წინ ჩაეყარა. მის ხელმძღვანელს ანა სონჩინის 5 წელი დასჭირდა, რომ ევროპის უმაღლესი სასწავლებლებისთვის ეს იდეა გაეცნო. თავდაპირველად პროგრამაში ევროპის მხოლოდ 10 უნივერსიტეტი ჩაერთო, ამჟამად მათი რიცხვი 15-მდეა გაზრდილი. უახლოეს მომავალში კი „ევროპული ლიტერატურის“ სადოქტორო პროგრამას დიდი ბრიტანეთის, უნგრეთის, პორტუგალიის, სინეგალისა და ალჟირის უმაღლესი სასწავლებლებიც შეუერთდებიან.

„ევროპული ლიტერატურის“ სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელები დოქტორანტების სტაჟირებაზეც ზრუნავენ. ისინი მუზეუმებთან, საგამომცემლო სახლებთან, ბიბლიოთეკებთან და თარგმანის ცენტრებთან თანამშრომლობენ. ამ დაწესებულებებში დოქტორანტები პრაქტიკულ სამუშაოებს აწარმოებენ.

2010-2011 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲡᲔᲛᲔᲡᲢᲠᲨᲘ ᲓᲐᲪᲣᲚᲘ ᲓᲘᲡᲔᲠᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲜᲣᲡᲮᲐ:

ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲖᲔ:

ეკა სირაძე — „შიდა და საერთაშორისო ნორმათა კოლიზია სანაპირო სახელმწიფოს მიერ ტერიტორიულ წყლებში იურისდიქციის განხორციელების დროს (ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ირინა ქურდაძე);

გულნაზ გალდავა — „უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება“ (ხელმძღვანელი: პროფესორი ლადო ჭანტურია);

ლევან გოთუა — „უმაღლესი განათლება, როგორც საჯაროსამართლებრივი ფუნქცია და მისი განხორციელების საჯაროსამართლებრივი ფორმიდან (სსიპ) კერძო-სამართლებრივ ფორმაზე გადასვლის შესაძლებლობა“ (ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი პაატა ტურავა);

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲖᲔ:

ეკა გეგეშიძე — „მთლიანი შიდა პროდუქტი და ეკონომიკური ზრდა“ (ხელმძღვანელი: სრული პროფესორი ნოდარ ხადური);

ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲖᲔ:

გიორგი მამარდაშვილი — „საზოგადოებრივი და საოჯახო ყოფა ლეჩხუმის მოსახლეობაში“ (ხელმძღვანელი: პროფესორი თ. ღუდუშაური);

რომან ლოლუა — „კავკასიის ალბანური ენის სტრუქტურის საკითხები“ (ხელმძღვანელი: პროფესორი ცირა ბარამიძე);

თამარ იგნატაშვილი — „დანაშაული, როგორც იურიდიული კატეგორია და მისი ასახვა ლ. ტოლსტოის, ფ. დოსტოევსკისა და ა. ჩეხოვის ნაწარმოებებში“ (ხელმძღვანელი: პროფესორი მარია ფილინა);

სოფიო ხუციშვილი — „სლავური საენათშორისო ომონიმები“ (ხელმძღვანელი: ნ. ჭოხონელიძე);

ქეთევან რეხვიაშვილი — „არააქტიური პრედიკაცია თანამედროვე ფრანგულ ენაში“ (ხელმძღვანელი: ია ფხაკაძე);

პაატა ჯაფარიძე — „სადეყ ჰედაიათის მხატვრული პროზის მოდერნისტული ასპექტები“ (ხელმძღვანელი: პროფესორი მზია ბურჯანაძე);

ანა თენიეშვილი — „ლინგვისტური მახასიათებლები, თარგმანის პრობლემები (ელექტროობის, მექანიკისა და გეოლოგიის დარგების მასალაზე დაყრდნობით)“. (ხელმძღვანელი: ც. ხვედელიძე);

ᲖᲣᲡᲢ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲝ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲖᲔ:

ნანა ბარბაქაძე — „2— და 5— არინდოლინების ახალი წარმოებულების სინთეზი და გამოკვლევა“ (ხელმძღვანელები: პროფესორი შოთა სამსონია და ასოცირებული პროფესორი ი. ჩიკვაიძე);

ნინო ნიკოლეიშვილი — „სინთეზური გამოკვლევები იზომერულ დიპიროლონაფთალინების სფეროში“ (ხელმძღვანელები: პროფესორი შოთა სამსონია და ასისტენტ-პროფესორი მარინა ტრაპაიძე);

ნანა წიკლაური — „არაოპიოდური ანალგეტიკებით გამოწვეული ტოლერანტობა“(ხელმძღვანელი: ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მერაბ ცაგარელი);

p.s. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე დისერტაციის დაცვის კრიტერიუმად მიჩნეულია იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში დისერტანტთა სტატიის გამოქვეყნება. როგორც გაირკვა გეოგრაფები და გეოლოგები უკვე 3 წელია დისერტაციებს ვერ იცავენ იმის გამო, რომ მათი შრომები ამ ჟურნალებში გამოქვეყნებული არ არის.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲖᲔ:

ნინო შოშიტაშვილი — „ტელემედიის თავისუფლება და დამოუკიდებლობა პოსტრევოლუციურ (2003-2008 წწ) საქართველოში“ (ხელმძღვანელი: თსუ-ის პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი);

ხათუნა მარწყვიშვილი — ემოციური ინტელექტის დაძლევის სტრატეგიების და პოსტტრავმული სტრესის ურთიერთმიმართება“ (ხელმძღვანელი: თსუ-ის პროფესორი მარინე ჩიტაშვილი).

ნოვატორები დისტანციურ სწავლებაში

მსოფლიოს წარმატებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უკვე დამკვიდრებულია ელექტრონული და დისტანციური სწავლების ფორმები, რაც მაღალი დონის სასწავლო გარემოს შექმნის ერთ-ერთი აუცილებელი ფაქტორია. სასწავლო პროცესში ელექტრონული სწავლების ჩართვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2009 წლიდან დაიწყო. აკადემიური პერსონალის დაინტერესებულმა ნაწილმა სათანადო კონსულტაციების გავლის შედეგად შექმნა რამდენიმე ათეული ელექტრონული კურსი, რომლის წარმატებით დანერგვის პირველი შედეგები უკვე არსებობს. სწორედ ამ შედეგების აუდიტორიისთვის გაცნობასა და გამოცდილების გაზიარებას მიეძღვნა ელექტრონული სწავლების პირველი საუნივერსიტეტო კონფერენცია, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 11 მარტს გაიმართა.

მაია ტორაძე

კონფერენციაზე გამომსვლელი ყველა მომხსენებელი უშუალოდაა ჩართული ელექტრონული სწავლების პროცესში. დამსწრეთათვის საინტერესო აღმოჩნდა მათი პრეზენტაციები და ანალიზი, თუ რა დადებითი შედეგები გამოიღო სწავლების ამ ფორმამ, რა წინააღმდეგობები შეხვდათ სწავლების პროცესში და რომელი სეგმენტი საჭიროებს დახვეწას.

თსუ-ის ელექტრონული სწავლების კოორდინატორმა მაკა ერაძემ თავის გამოსვლაში „ნოვატორები“ უწოდა იმ პროფესორ-მასწავლებლებსა და დოქტორანტებს, რომლებმაც უნივერსიტეტში ამ სიახლის დანერგვას შეუწყვეს ხელი. „ჩვენთან შექმნილია 62 ვირტუალური სასწავლო პროგრამა. მათგან უმრავლესობა აქტიურია. გვაქვს ახალი კურსებიც და ვნახოთ, როგორ შეძლებენ პედაგოგები ამ კურსების სასწავლო პროცესში ინტეგრაციას“, — განაცხადა მან.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ელექტრონულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებისას ძირითადად 3 ტერმინი დომინირებს — ელექტრონული სწავლება, დისტანციური სწავლება და on-line სწავლება. მაკა ერაძის თქმით, ეს დეფინიციები ხშირად ერთმანეთში ირევა, რადგან მათ შორის, ჯერჯერობით, ზღვარი არაა გავლებული. არადა, ეს სრულიად განსხვავებული სამი ტიპის სწავლებაა და თუ ვინმე გადაწყვეტს მათგან რომელიმეს არჩევას, კარგად უნდა განსაზღვროს, როგორი სწავლება სჭირდება და რას ელის ამ ტიპის სწავლებიდან.

„ჩვენი საბოლოო მიზანია, მოხდეს ელექტრონული სწავლების განვითარება. მან უნდა აამაღლოს სწავლების ხარისხი, რაშიც ინტერაქტიული სწავლების სისტემა Moodle გაგვიწევს დახმარებას“, — განაცხადა მაკა ერაძემ.

საინტერესო აღმოჩნდა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის ამირან ბერძენიშვილის მოხსენება თემაზე: „ინტერაქტიული სწავლების სისტემა Moodle — დაგროვილი გამოცდილება და გამოწვევები“. მან აღნიშნა, რომ სწავლების ელექტრონული საშუალებების გამოყენება ხელს უწყობს ინტერაქციის პროცესს და გამორიცხავს პასიურ მონაწილეობას. სტუდენტს შეუძლია მუდმივი ონლაინ-კავშირი ჰქონდეს ლექტორთან და დამატებითი კითხვები დაუსვას მას. ელექტრონული სწავლება ხელსაყრელია უცხოეთში გამგზავრებული სტუდენტებისთვისაც, რომელთაც კარგად დაგეგმარებული და მოწესრიგებული სისტემა ლექციაზე დასწრების განცდას შეუქმნის.

„რაც შეეხება პირად გამოცდილებას, მინდა აღვნიშნო, რომ მრავალი ახალი ასპექტი აღმოვაჩინე სტუდენტებისთვის სასწავლო მასალისა და დავალებების მიწოდებაში. თუმცა პრობლემებიც შემექმნა, რაც დაკავშირებული იყო საიტის ბიუროკრატიული ტიპის ფუნქციებთან, რომელთაგან ბევრის დანიშნულება ჩემთვის უცხოა. მართალია, შეიძლებოდა მიმემართა პროგრამის კოორდინატორებისთვის, რომლებიც მუდამ მზად იყვნენ დასახმარებლად, მაგრამ მიმაჩნია, რომ საიტი თვითონ უნდა იძლეოდეს მასზე ადვილი მუშაობის საშუალებას“, — აღნიშნა ამირან ბერძენიშვილმა და კონკრეტულად ჩამოთვალა ყველა ის ნაკლოვანება, რასაც მუშაობის პროცესში წააწყდა. კერძოდ: 1. ლექტორებს არ აქვთ სალექციო კურსების დამატების თავისუფლება; 2. ტერმინები და მნიშვნელობები არ არის ადეკვატურად თარგმნილი (მაგალითად, „ვებ-გვერდის შედგენა“, „book“, „ეტიკეტის ჩასმა“ და ა.შ); 3. გაცილებით უკეთესია, თუ ეს სისტემა ინტეგრირებული იქნება უნივერსიტეტის სასწავლო ბაზებთან, რათა სტუდენტები ავტომატურად დაემატნონ არჩეულ კურსებს; 4. ვებ-გვერდის ვიზუალური მხარე არ არის მიმზიდველი; 5. არ ხდება აღნიშნული სისტემის პოპულარიზაცია; 6. მასალის განთავსება გართულებულია, არ არის ტექსტის რედაქტირების და ფორმატირების მარტივი საშუალებები; 7. საჭიროა ხშირად დასმული კითხვების რესურსის შექმნა, სადაც ახსნილი იქნება ინტერაქტიული სწავლების პროგრამის მოხმარების სპეციფიკური ასპექტები. — ამ საკითხებზე კონფერენციის მონაწილეებმა საინტერესო დისკუსია გამართეს.

ელექტრონული სწავლების საკუთარ გამოცდილებაზე ისაუბრა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების ასოცირებულმა პროფესორმა დალი ოსეფაშვილმა, რომელიც 4 საპილოტე ჟურნალისტური კურსის ავტორია. მან აღნიშნა, რომ სწავლებისთვის წლების განმავლობაში იყენებდა ელექტრონულ ფოსტას, შემდეგ საკუთარ ვებ-გვერდს, სადაც ათავსებდა სასწავლო ლიტერატურას, დამატებით საკითხავ მასალებსა და პრაქტიკულ სავარჯიშოებს. აქვე აქვეყნებდა შუალედური გამოცდებისას წარმოდგენილ საუკეთესო პრეზენტაციებს და გამოცდების შედეგებს, თუმცა ეს გვერდი ყველა სტუდენტისთვის არ იყო ხელმისაწვდომი. „რაც შეეხება Moodle-ს, იგი ინტერაქციული საშუალებების გამოყენების მხრივ გაცილებით მრავალფეროვანია. გარდა მოდულისა, ამ სისტემით არანაკლებ ეფექტურია ინტერაქტიული გამოკითხვების და ფორუმების გამოყენებაც. ის კარგი საშუალებაა სწავლების პროცესის ორგანიზებისათვის, ამიტომ ახლა უკვე ერთიან სასწავლო სივრცეში, ერთ პორტალში ვახერხებ დავალებათა მიღება-შეფასებას და ჩემი სასწავლო კურსისთვის საჭირო ყველა რესურსის თავმოყრას“, — აღნიშნა დალი ოსეფაშვილმა.

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პედაგოგიკის ინსტიტუტის წარმომადგენელმა ქეთევან ჭკუასელმა მოხსენებაში „დისტანციური და ელექტრონული სწავლება – პედაგოგიური ასპექტები“ ყურადღება გაამახვილა აღნიშნული სწავლების მეთოდის დადებით და უარყოფით მხარეებზე.

„ვფიქრობ, აუცილებელია ელექტრონული სწავლება დაინერგოს სასწავლო პროცესში, რადგან ჩვენი ცხოვრების რიტმი და რეჟიმი ისეთია, რომ ხშირად გვიწევს დისტანციაზე სწავლება და სწავლა. ახლა, როცა სახელმწიფომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შემოვიდეს დისტანციური სწავლების ფორმა, უნივერსიტეტი ამ სიახლესაც უნდა მოერგოს. ამ ტიპის სწავლებას თავისი დადებითი მხარეები აქვს, კერძოდ: ეფექტური თვალსაჩინოებების განთავსების საშუალება, სასწავლო მასალის მრავალფეროვნება, სამსახურთან პარალელურ რეჟიმში სწავლა, ინდივიდუალური სასწავლო რეჟიმი, დავალებების ინდივიდუალური შერჩევა, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება, ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის შექმნა, სოციალური ნიშნით განსაზღვრული საჭიროებების მქონე ადამიანთა (მცირეწლოვანთა დედები, პატიმრები და სხვ.) ჩართვა სასწავლო პროცესში“, — აღნიშნა ქეთევან ჭკუასელმა, რომელმაც გაუსვა ხაზი ელექტრონული და დისტანციური სწავლების ნაკლოვანებებს, რაც ჯერ კიდევ დასახვეწი და მოსაწესრიგებელია. მისი აზრით, დისტანციური სწავლების დროს შემცირებულია პედაგოგსა და მოსწავლეს შორის სოციალური ინტერაქცია და ნაკლებია სტუდენტთა მოტივაციის ამაღლების საშუალებები. რაც შეეხება დეფინიციებს, მისი თქმით, აქ ჯერ კიდევ ბევრი რამ საჭიროებს დაზუსტებას.

„ელექტრონული სწავლება, რომელზეც ჩვენ ახლა ვსაუბრობთ, დისტანციურია და დისტანციური სწავლებაც, თავის მხრივ, ელექტრონული. ანუ არსებობს სხვადასხვა ტერმინი, რომელთა შინაარსი ერთმანეთთან იკვეთება. თუ მე მხოლოდ ელექტრონული ფორმით მასალის მიწოდებას დავარქმევ ელექტრონულ სწავლებას, ეს არ არის ელექტრონული სწავლება. ამიტომ, ჩვენ უნდა შევჯერდეთ ამ ტიპის სწავლების სახელწოდებაზეც, ტერმინებზეც და შეფასებაზეც. ისიც დასაზუსტებელია, ამ მეთოდით სწავლება მთლიანად განხორციელდება თუ ნაწილობრივ. არსებობს უნივერსიტეტები, რომლებიც სრულად იყენებენ ელექტრონულ სწავლების მეთოდს, მაგრამ არის შერეული ტიპის სწავლებაც და, ვფიქრობ, უფრო მისაღებია სწორედ ეს მეთოდი გამოვიყენოთ. სწავლების შერეული ფორმა პროფესორსა და სტუდენტს შორის კონტაქტის დამყარების საშუალებასაც იძლევა და ელექტრონული სწავლების სიკეთეების გამოყენებაც თავისუფლად შეიძლება“, — განაცხადა ქეთევან ჭკუასელმა.

კონფერენციაზე საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს, ასევე, ლაშა ჩახვაძემ („ინგლისური ლიტერატურის ელექტრონული სწავლება“), შოთა ბარბაქაძემ („თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“), იზაბელა პეტრიაშვილმა („Case Stady: ელექტრონული კურსი ინგლისური ენის მასწავლებლის სპეციალობის მაგისტრატურის სტუდენტებისთვის“), თეა მუნჯიშვილმა („კიბერ!“) და სხვებმა.

კონფერენციაზე ტალინის უნივერსიტეტიდან ჩაერთვნენ პროფესორები მარკ ლაასპერე და ვერონიკა როგალევიჩი, რომლებმაც ქართველ კოლეგებს საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები მიუთითებს, რამდენად დიდ დაინტერესებას იწვევს იგი ახალგაზრდებში. მისი თქმით, რაც მეტი იქნება სასწავლო პორტალი, რაც უფრო მრავალრიცხოვანი პედაგოგი და სტუდენტი ჩაერთვება სწავლების ამ ფორმაში, მით უფრო სწრაფად დაიხვეწება ელექტრონული სწავლების მეთოდები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

„ჯერ კიდევ გვაქვს ცოტა დრო ექსპერიმენტებისთვის, თუმცა ერთ-ორ წელიწადში ეს ჩვენთანაც უკვე მიღებული სწავლების ფორმა გახდება, ისევე, როგორც ეს თანამედროვე უნივერსიტეტებშია. მსგავსი პროექტები უცებ არ კეთდება და ბევრი რამ გამოჩნდება დასახვეწი, მაგრამ ეს ხელს შეგვიწყობს მოვემზადოთ კიდევ ერთი სიახლის — დისტანციური სწავლების შემოღებისთვის, რაც ძალიან დაგვეხმარება მომავლის უნივერსიტეტის შესაქმნელად“, — განაცხადა რექტორმა.

მოკლედ

სომხეთის განათლების მინისტრი თსუ-ის სომეხი ეროვნების სტუდენტებს შეხვდა

სომხეთის განათლების მინისტრი არმენ აშოტიანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სომეხი ეროვნების სტუდენტებსა და თსუ-ის არმენოლოგიის მიმართულების პროფესორ-მასწავლებლებს შეხვდა. მხარეებმა **ქართულ-სომხური ურთიერთობებისა** და განათლებისა და კულტურის სფეროში სამომავლო გეგმების შესახებ ისაუბრეს. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის იმ სომეხი ეროვნების სტუდენტებმაც, რომლებმაც წელს პირველად ჩააბარეს ერთიანი ეროვნული გამოცდები.

„მინდოდა პირადად შევხვედროდი **სტუდენტებს** და მომესმინა მათი მოსაზრებები ამ პროგრამის შესახებ. გამეგო, თუ რამდენად ეფექტურია იგი. გამოიკვეთა პრობლემა, რომელიც მართალია, უმაღლეს განათლებას არ ეხება, მაგრამ მჭიდრო კავშირშია საქართველოში სომეხი ეროვნების მოსახლეობის განათლებასთან. ვიმედოვნებ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად ამ პრობლემების მოგვარებას შევძლებთ“, — განაცხადა სომხეთის განათლების მინისტრმა არმენ აშოტიანმა.

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ განხორციელებულ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ამჟამად 56 სომეხი ეროვნების სტუდენტი სწავლობს, რომელთა უმეტესობამ სახელმწიფო დაფინანსება მოიპოვა. ერთწლიანი პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში ეს სტუდენტები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნებისმიერი ფაკულტეტის ნებისმიერ სპეციალობაზე შეძლებენ სწავლის გაგრძელებას. სახელმწიფო იმ სომეხი ეროვნების სტუდენტების დაფინანსებას, რომლებმაც სახელმწიფო გრანტი მოიპოვეს, მომდევნო 4 წლის განმავლობაშიც უზრუნველყოფს.

„ასეთი პროგრამის არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია. სახელმწიფო ხელს უწყობს საქართველოს სხვა ეროვნების მოქალაქეებს, რომ მათ სწრაფად და ინტენსიურად შეძლონ ქართული ენის დაუფლება. მომავალ წელს ქართულ ენაში მომზადების სპეციალურ პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რიცხვი 192-მდე გაიზრდება. მათ ქართულ ენას სპეციალურად მომზადებული პროფესორ-მასწავლებლები ისე შეასწავლიან, როგორც უცხო ენას“, — გვითხრა **თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა** ფაკულტეტის დეკანმა დარეჯან თვალთვაძემ.

„თსუ-ის სტუდენტებთან შეხვედრამდე სომხეთის განათლების მინისტრმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან ერთად ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერა ხელი. მემორანდუმი მნიშვნელოვანია სომხეთსა და საქართველოს შორის უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავებისთვის. სომხეთის მინისტრი თსუ-ის **სომეხი ეროვნების სტუდენტებს შეხვდა**, რომლებმაც მას თანამშრომლობასთან დაკავშირებით თავისი წინადადებებიც მიაწოდეს“, — აღნიშნა თსუ-ის რექტორის მოადგილემ ავთანდილ ჩუთლაშვილმა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა, რომელიც **თსუ-ის სომეხი ეროვნების სტუ**დენტებმა სომხეთის განათლების მინისტრს გააცნეს, ეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და **ერევნის სახელმწიფო უნივერ**სიტეტს შორის **გაცვლითი პროგრამის ამო**ქმედება გახლდათ. არმენ **აშოტიანმა სტუ**დენტებს მათი მოთხოვნების წერილობით მიწოდება სთხოვა და მათ განხორციელებაზე მუშაობის დაწყებასაც შეჰპირდა.

ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘᲡ ᲞᲘᲜᲐ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔᲡ ᲘᲮᲠᲔᲑᲐ

მეცნიერება ადამიანისთვის მხოლოდ მაშინ ხდება მოღვაწეობის სფერო, როცა ნიჭიერებას შეუპოვრობა, შრომისმოყვარეობა, მუდმივი ძიება და კონკრეტულ ფაქტსა თუ მოვლენაში სიახლის დანახვის უნარი ახლავს თან.

*ერთი შეხვედრით ადამიანში ამ თვისებების აღმოჩენა თითქოს შეუძლებელია, მაგრამ თუ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორს, ტურიზმის კათედრის გამგეს **მაია მარგველაშვილს** შეხვდებით, დიდი ძალისხმევა არ დაგჭირდებათ მასში მიზანდასახული, პრინციპული და გამჭრიახი ბუნება ამოიცნოთ. ასევე ახასიათებენ მას მეგობრები და კოლეგები, რომლებიც არაერთხელ გამხდარან მოწმე, თუ რა შრომის ფასად აღწევდა იგი მიზანს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ტურიზმის სკოლა და სპეციალისტები ჩამოყალიბებულიყვნენ.*

ქალბატონი მაიას პირველი სპეციალობა მუსიკოსობა ყოფილა. ბავშვობაში „მზიურშიც“ მღეროდა, მუსიკალური სასწავლებელიც წარმატებით დაუმთავრებია და რევაზ ლაღიძის გამორჩეული სტუდენტიც ყოფილა. პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯი სწორედ მაშინ გადაუდგამს, როცა კატეგორიული უარი განუცხადებია, გაჰყოლოდა მშობლებისა და ნათესავების ტრადიციას და ექიმის ხალათი ჯერ მუსიკაზე, მერე კი ტურიზმის ფუნდამენტურ შესწავლაზე გაუცვლია. დღეს ის წარმატებული მეცნიერია, რომელიც საქართველოს ეკონომიკაზე ტურიზმის ზეგავლენას და ეროვნული ტურიზმის განვითარების საკითხებს იკვლევს.

მაია ტორაძე

— ქალბატონო მაია, ტურიზმი საქართველოსთვის უცხო არაა, მაგრამ მისადმი თანამედროვე მოთხოვნები იმდენად განსხვავებული და განსაკუთრებულია, რომ სპეციალისტების ნაკლებობა თვალნათლივ შეიმჩნევა. როგორ დაინტერესდით ამ სპეციალობით? რატომ გადაწყვიტეთ, რომ მაინცდამაინც ტურიზმის განვითარება ყოფილიყო თქვენი კვლევის საგანი?

— ამ სფეროში სრულიად შემთხვევით მოვხვდი, როცა 1996 წელს ჩავედი მეუღლესთან ამერიკის შეერთებულ შტატებში და მისი კომპანიის რეკომენდაციით კორპორაცია „საქსესვესტ“-ის ერთ-ერთ ტურისტულ ოფისში დავიწყე მუშაობა. იქ ვიგრძენი, რამდენად საინტერესო და მნიშვნელოვანია ტურიზმის განვითარება ქვეყნისთვის. ეს სფერო კარგად შევისწავლე და ჩამოვედი თუ არა, შევქმენი სამოგზაურო სააგენტო „კონდორი“, რომლის მეპატრონე და დირექტორიც 2000 წლამდე გახლდით.

სწორედ ამ პერიოდში გამიჩნდა შანსი, ცოდნა გამელრმავებინა იტალიის ტურიზმის მეცნიერებათა საერთაშორისო სკოლის მაგისტრატურაში, რომელიც „ტურიზმის მეცნიერებათა მაგისტრის“ დიპლომით დავასრულე. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ეს სპეციალობაც და სამეცნიერო მიმართულებაც უცხო იყო, ჩემმა დიპლომმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განსაკუთრებული შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, რადგანაც აქ „მაგისტრის“ ხარისხი კანონმდებლობით აღიარებული არ იყო. ამიტომ, ჩემი იტალიაში მიღებული განათლება მხოლოდ სტაჟად ჩამეთვალა. მიუხედავად ამისა, ფარხმალი არ დამიყრია. 2002 წელს დავიცავი დისერტაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტზე. სადისერტაციო ნაშრომის თემა იყო: „ტურიზმის განვითარების სტრატეგიული მარკეტინგი საქართველოში“. თეორიულ განათლებას, რაც ამ მიმართულებით მივიღე, ყოველთვის ვამაგრებდი პრაქტიკული გამოცდილებით. 2000-2004 წლებში ვმუშაობდი საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო 2007-2009 წლებში კი, სანამ აკადემიურ საქმიანობასთან ერთად ბიზნესში ყოფნის საშუალებას კანონი მაძლევდა, სასტუმრო კომპლექს „ბაზალეთის ტბის“ გენერალური მენეჯერი ვიყავი. ასე რომ, სრულიად თამამად შემიძლია ვთქვა – ჩემი თეორიული კვლევები პრაქტიკულ გამოცდილებას და იმ ნოვაციებს ეყრდნობა, რაც დღეს მსოფლიო ტურიზმში გამოიყენება.

— საქართველომ ბოლო წლებში უკვე სერიოზული განაცხადი გააკეთა ტურისტულ ქვეყნად ჩამოყალიბების კუთხით. როგორც მკვლევარი, როგორ აფასებთ ჩვენი ქვეყნის პერსპექტივებს, რა არის გასაკეთებელი იმისთვის, რომ საქართველო წარმატებული ტურისტული ქვეყანა გახდეს?

— ტურიზმი არ გულისხმობს მხოლოდ ბუნებრივ რესურსებს, ჩვენი ქვეყნის არაჩვეულებრივ ლანდშაფტს და ტურისტების ჩამოსვლას. ეს ეკონომიკის ურთულესი დარგი და განსაკუთრებული ფენომენია, რომელიც ვირტუალურ პროდუქციას ფლობს. ტურიზმი მომსახურებით ვაჭრობაა და მომსახურების ხარისხზე დიდადაა დამოკიდებული.

ბოლო წლებში, სამოქალაქო და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის უდავოდ დიდი სამუშაო ჩატარდა, რაც რეალურ ფუნდამენტს მოუმზადებს მოგავლის ტურიზმს. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არსებობს რიგი პრობლემებისა, რომელთა გადაჭრაც აუცილებელია წარმატების მისაღწევად.

სხვათა შორის, 2009 წელს, როდესაც საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მრჩეველი გახლდით ტურიზმის საკითხებში, მომეცა საშუალება უფრო სიღრმისეულად ჩავწვდომოდი ეროვნულ ტურიზმში არსებულ ვითარებას. ფაქტია, რომ დღევანდელი ტურიზმის ეკონომიკური პროფილი ოპერატიულ ჩარევას ითხოვს ეკონომიკური მაჩვენებლების დადგენის მეთოდოლოგიის კუთხით, რადგან ამ პარამეტრების გარეშე შეუძლებელია ტურიზმის ეკონომიკური ზეგავლენის განსაზღვრა საქართველოს ეკონომიკაზე, რაც ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

— რას სთავაზობს მეცნიერება საქართველოს ხელისუფლებას ამ ხარვეზის შესავსებად?

— მეცნიერთა საქმიანობა სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შემუშავება და მათი განხორციელებაა. ვარ ავტორი პროექტისა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების, სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტში განხორციელდება „ფულბრაითის პროგრამის“ ფარგლებში. მისი მიზანია, ტურიზმის ეკონომიკური პარამეტრების დადგენის მეთოდოლოგიის შესწავლა და ქვეყნის ეკონომიკაზე ტურიზმის ზეგავლენის გაანალიზება.

— რა პირობებს უქმნის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ტურიზმით დაინტერესებულ ახალგაზრდებს? ვიცით, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მოქმედებს ამ მიმართულების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები. სექტემბრიდან კი ტურიზმის საერთაშორისო სკოლაც გაიხსნა, სადაც ინგლისურენოვანი სწავლება მიმდინარეობს. რამდენად კონკურენტუნარიანი იქნებიან თქვენი კურსდამთავრებულები შრომით ბაზარზე, რამდენად არიან ისინი პრაქტიკასთან დაახლოებულები?

— ჩემი სტუდენტები პრაქტიკასთან ზედმეტად დაახლოებულნიც კი არიან. თვითონ პრაქტიკოსი ვარ და ბიზნესიდან მოვდივარ. ამიტომ მათ ყოველთვის ჰქონდათ პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა ნებისმიერ ტურისტულ ორგანიზაციაში. თუმცა მოგახსენებთ, რომ ეს მაინც პირადი ურთიერთობების ხარჯზე ხდებოდა და არა თსუ-სა და რომელიმე კერძო ტურისტულ ორგანიზაციას შორის ოფიციალური ხელშეკრულების საფუძველზე. ეს პრობლემა დღესაც არსებობს და მგონია, რომ სასწრაფოდ მოსაგვარებელია.

ჩვენ გვაქვს ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა, რომელიც საერთაშორისო სკოლის ბაზაზე გაკეთდა. ამ პროგრამის სტუდენტები პრაქტიკას გაივლიან სასტუმრო „თბილისი მერიოტსა“ და „ქორთიარდ მერიოტში“, რაზედაც ამ სასტუმროების ადმინისტრაციის თანხმობის წერილი გაგვაჩნია.

სამომავლოდ, სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამებში ჩავრთეთ პრაქტიკოსი პროფესიონალები, რომლებიც წაიკითხავენ პრაქტიკულ საგნებს და მეტად დაახლოებენ სტუდენტებს ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებათა მენეჯერების საქმიანობასთან. ისინი კითხულობენ ფრონტ-ოფისის მენეჯმენტს, სასტუმროს ადმინისტრირებას, სასმელისა და საკვების მენეჯმენტს და ა.შ.

— როგორ ფიქრობთ, რა გავლენა მოახდინა განათლების რეფორმამ ისეთი პრაქტიკული სპეციალობის შესწავლაზე, როგორიცაა ტურიზმის მენეჯმენტი? რეალურად მოგცათ თუ არა შესაძლებლობა, სტუდენტებს მისცეთ ცოდნის ის დონე, რაც მათ შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანს გახდის?

— უდავოდ დადებითი შედეგები მოგვცა. მართალია, ამ რეფორმამ ბევრი ჩვენი კოლეგა დატოვა უნივერსიტეტს მიღმა, მაგრამ ეს არის კონკურსები და ერთი კონკურსის გაუვლელობა პრობლემა არ არის. მათ კიდევ ექნებათ შანსი გაიმარჯვონ...

ამ რეფორმის შედეგია ის, რომ საგრძნობლად გაიზარდა პროფესორ-მასწავლებელთა ხელფასები, რაც ძალიან დიდი სტიმულია. თუ გახსოვთ, სულ რამდენიმე წლის საარსებო მინიმუმის გამოსამუშავებლად ყველას სჭირდებოდა რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში წაეკითხა ლექციები. დღეს კი შეგვიძლია ჩვენთვის საინტერესო საქმიანობით და კვლევებით დავკავდეთ. საბოლოო ჯამში, ეს დიდ გავლენას ახდენს ჩვენს პროფესიულ ზრდაზე და სტუდენტებისთვის ცოდნის გადაცემის პროცესზე.

გარდა ამისა, რეფორმის შედეგად მეტი საშუალებაა უცხოეთთან კონტაქტების დამყარებისა და მათი გამოცდილების გაზიარებისა. სწავლების თანამედროვე მეთოდები სრულად არის სტუდენტზე ორიენტირებული და მათი პრაქტიკოსებად გაზრდის საშუალებას გვაძლევს.

ჩემთვის სტუდენტებთან მუშაობა ძალიან საინტერესო საქმიანობაა. ეს არის უკვე ჩვევა და მგონია, რომ რაც მე და ჩემმა თაობამ ვერ გავაკეთეთ, ისინი გააკეთებენ. მე ამის პოტენციალს ვხედავ და ეს არაა მხოლოდ სიტყვები — საქართველოში თითქმის ვერც ერთ სასტუმროში ვერ შედგამთ ფეხს, რომ ჩვენი კურსდამთავრებული არ შეგხვდეთ.

— როგორც ვხედავ, ძალიან დატვირთული დღის რეჟიმი გაქვთ. როგორ ათავსებთ ერთმანეთთან სამეცნიერო საქმიანობას და დიასახლისობას?

— ძნელად, მაგრამ ეს ჩემი ტვირთია და სიამოვნებით ვეწევი... საერთოდ მიყვარს, როცა დატვირთული ვარ. ყველა ჩემი კოლეგა ქალბატონი დამეთანხმება, რომ უნივერსიტეტში საქმიანობა არ არის იოლი ქალისთვის, რომელსაც მეუღლე და 13 წლის გოგონა ჰყავს. მიუხედავად იმისა, რომ ამხელა პასუხისმგებლობა მაქვს, სასწორის პინა ხშირად უნივერსიტეტის მხარეს იხრება... ვაკლებ ყურადღებას ჩემს შვილს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში უნივერსიტეტს და ჩემს საქმიანობას.

— როგორ ფიქრობთ, როგორ გამოიყურება საზოგადოების თვალში მაია მარგველაშვილი და არის თუ არა მათი შეხედულება ახლოს იმ მაიასთან, რომელსაც მხოლოდ თქვენ იცნობთ?

— მე ვერ გეტყვით, როგორ გამოვიყურები საზოგადოების თვალში, თუმცა მგონია, რომ ჩემს გარემოცვაშიც და საერთოდაც, ცოტაა ისეთი ადამიანი, რომელიც მიცნობს ისეთს, როგორიც რეალურად ვარ.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲛᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲒᲠᲐᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲐ

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევებისთვის ახალ, სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსს აცხადებს.

საკონსულტაციო შეხვედრა თსუ-ში 22 მარტს გაიმართა, რომელსაც კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველი პროფესორ-მასწავლებლები დაესწრნენ. შეხვედრაზე ფონდის წევრებმა დაინტერესებულ პირებს გააცნეს გამოყენებითი და ფუნდამენტური კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის პირობები, ასევე, ინფორმაცია მიაწოდეს იმ ცვლილებებისა და სიახლეების შესახებ, რომელიც ფონდში მიმდინარეობს.

„დღეს კონკურსი ორ ნაწილად დაიყო — ერთმანეთს გაემიჯნა გამოყენებითი და ფუნდამენტური კვლევები და კონკურსები განსხვავებული რეჟიმით გამოცხადდა.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ გამოყენებითი ტიპის კვლევებისთვის შემუშავდა თანადაფინანსების მექანიზმი, რაც ნიშნავს, რომ მხოლოდ იურიდიულ სუბიექტებს შეუძლიათ თავისი წვლილი შეიტანონ თანადაფინანსების სახით. თითქმის იგივე თანადაფინანსების პროცედურებია ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსებისთვისაც.

მეცნიერის თითოეული განაცხადის შემოტანა შესაძლებელი იქნება ფონდის ვებ-გვერდის საშუალებით. გამარტივდება მონიტორინგის პროცესიც, რომელიც, ასევე, ელექტრონული გზით მოხდება. გაიზარდა მონიტორინგისა და ანგარიშგების ვადაც. თუ აქამდე სავალდებულო იყო ანგარიშგება კვარტალურად, ეს პერიოდი ექვს თვემდე გაიზარდა. გამარტივდა ბიუჯეტის ფორმატიც. მაქსიმალურად გამსხვილდა მასში მოცემული მუხლები, რაც მეცნიერებს თანხების მართვას გაუმარტივებს“, — განაცხადა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა სულხან სისაურმა.

საკონკურსო პირობების მიხედვით, ფუნდამენტური კვლევებისთვის პროექტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს, ფონდიდან წლიურად მოთხოვნილი თანხა კი 50 000 ლარს, ხოლო გამოყენებითი კვლევების შემთხვევაში პროექტი 2 წლის განმავლობაში უნდა განხორციელდეს და ფონდიდან წლიურად მოთხოვნილი თანხა 100 000 ლარს უნდა შეადგენდეს.

პროექტების ელექტრონული რეგისტრაცია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ვებ-გვერდზე www.rustaveli.org.ge მიმდინარე წლის 18 მარტს დაიწყო და 27 აპრილის 18 სთ-მდე გაგრძელდება.

საკონკურსოდ წარდგენილ პროექტებს უცხოელი მაღალკვალიფიციური ექსპერტები შეაფასებენ.

ორგანოთა ტრანსპლანტაცია მსჯელობის თემად იქცა

თსუ-ის საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების ინიციატივით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია — თბილისის ერთობლივი პროექტის ფარგლებში სოციოლოგიური გამოკითხვა ჩატარდა. გამოკითხვის მთავარი მიზანი იმის გარკვევა გახლდათ, თუ რამდენად არის ინფორმირებული ქართველი საზოგადოება ორგანოთა ტრანსპლანტაციის შესახებ? როგორია მათი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ? საიდან იღებენ ინფორმაციას ორგანოთა გადანერგვის თაობაზე? არიან თუ არა ისინი ინფორმირებულნი იმის შესახებ, რომ საქართველოში ორგანოთა გადანერგვის ქირურგიული ოპერაციები ტარდება? აქვთ თუ არა სურვილი, რომ გარდაცვალების შემდეგ მათი ორგანოები გადასანერგად გამოიყენონ და რომელი ორგანოს გადანერგვაზე იქნებოდნენ თანახმა? — გამოკითხვის შედეგების ანალიზი საფუძვლად დაედო ამავე თემაზე კონფერენციის გამართვას.

ნატო ოგოლაძე

საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების წევრებმა დღემდე 500-ზე მეტი თბილისელი გამოკითხეს. გამოკითხვა მიმდინარეობდა პირადი გასაუბრებისა და ინტერნეტის საშუალებით. როგორც გაირკვა, გამოკითხულთა 46% ორგანოთა ტრანსპლანტაციის შესახებ მეტ-ნაკლებად ინფორმირებული გახლავთ, აქედან 70% ორგანოთა გადანერგვის გზით პაციენტების განკურნების მომხრეა და გარდაცვალების შემდეგ თანახმაა, მისი ყველა ორგანო გადასანერგად გამოიყენონ, 51 %-მა კი მხოლოდ იცის, რომ საქართველოში ტრანსპლანტაციის ოპერაციები ტარდება. სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგების პრეზენტაცია გაიმართა კონფერენციაზე — „ორგანოთა ტრანსპლანტაცია: სამართლებრივი, სამედიცინო და რელიგიური ასპექტები“ და იგი კონფერენციაში მონაწილე მედიკოსების, სასულიერო პირებისა და იურისტების მიერ დადებითად შეფასდა. საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოება გამოკითხვების ჩატარებას პერმანენტულად გეგმავს, რის შედეგადაც ორგანოთა ტრანსპლანტაციის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების სტატისტიკის შემუშავებაც იქნება შესაძლებელი. ახალგაზრდა მეცნიერები ორგანოთა გადანერგვის შესახებ მოქალაქეების უკეთ ინფორმირებასაც გეგმავენ, თუმცა კონკრეტულად რა საშუალებებით განახორციელებენ ამ იდეას, ჯერჯერობით დაზუსტებული არ გახლავთ.

როგორც მოგეხსენებათ, დღეს, უკვე, ტრანსპლანტაციის გზით შესაძლებელია ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივება. ამ დროისთვის ადამიანისთვის უკვე 6 ორგანოს გადანერგვაა შესაძლებელი (მსოფლიოში ყველაზე ხშირად თირკმლის გადანერგვა წარმოებს), თუმცა მას ხშირად თან უარყოფითი, ანუ „გვერდითი მოვლენებიც“ ახლავს — ეს როგორც ეთიკური, ასევე, სამართლებრივი ხასიათისაა.

მსოფლიოში ადამიანის ორგანოთა ვაჭრობის არაერთი შემთხვევაა დაფიქსირებული. სწორედ ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად



შეიქმნა როგორც საერთაშორისო, ასევე, შიდა სახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ტრანსპლანტაციის შესახებ, რომელიც ორგანოთა გადანერგვის პროცედურებს სამართლებრივ ჩარჩოებში აქცევს. 1996 წელს ძალაში შევიდა კონვენცია „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“ და მისი დამატებითი ოქმი „ადამიანის ორგანოებისა და ქსოვილების გადანერგვის შესახებ“, რომელიც საქართველოში 2002 წელს იქნა რატიფიცირებული. 2006 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა ახალი მუხლები, რომელთა მიხედვითაც იკრძალება ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა და ადამიანის ორგანოს, ქსოვილის ან ორგანოს ნაწილის აღების იძულებაც. ჩვენს ქვეყანაში ტრანსპლანტაციის საკითხები, ასევე, რეგულირდება 2000 წელს მიღებული „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის კანონით“. აღსანიშნავია, რომ ადამიანის ორგანოთა ვაჭრობის შემთხვევაში ორივე მხარე ისჯება კანონით — როგორც გამყიდველი, ასევე, მყიდველიც. ამ პრობლემის პრევენციისთვის კანონით ცოცხალი დონორობის გაწევის საკითხიც შეზღუდულია. ცოცხალ ადამიანს თავისი ორგანოს გადანერგვა მხოლოდ გენეტიკური ნათესავისთვის შეუძლია. ორგანოთა ვაჭრობის შემთხვევები ხშირად ფიქსირდება ისეთ ქვეყნებში, სადაც სიღარიბის დონე საკმაოდ მაღალია. უცხოურ ინტერნეტ-სივრცეში მედიკოსებს არაერთხელ შეუნიშნავთ განცხადებები, რომელთა ავტორებიც ადამიანის რომელიმე ორგანოს გამყიდველს, ან პირიქით, მყიდველს ეძებდნენ.

ყოფილა შემთხვევები, როდესაც ორგანოთა გადანერგვის პროცესს რელიგიურ ნიადაგზეც მოჰყოლია გართულებები. როგორც გაირკვა, დღესდღეობით მსოფლიოში მხოლოდ ერთადერთი რელიგიაა სინტოიზმი, რომელიც ორგანოთა გადანერგვას ეწინააღმდეგება. მისი მიმდევრების რიცხვი ცოტაა და ისინი, ძირითადად, იაპონიაში ცხოვრობენ. რაც შეეხება მართლმადიდებელ ეკლესიას, იგი ტრანსპლანტაციას არ კრძალავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დონორისა და ავადმყოფის უფლებები სრულიად დაცულია. სწორედ აღნიშნული საკითხებზე იმსჯელეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ კონფერენციაზე. მედიკოსებმა იურისტებმა და სასულიერო პირებმა ერთობლივად განიხილეს ორგანოთა გადანერგვის საკითხები და საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს ტრანსპლანტაციასთან დაკავშირებით.

„ეს ძალიან ფაქიზი საკითხია და ამიტომ ფრთხილი დამოკიდებულება გვმართებს. ალბათ საჭიროა, რომ შემუშავდეს კრიტერიუმები, რომელშიც სამართლებრივი, რელიგიური და სამედიცინო ასპექტები იქნება გათვალისწინებული. უნდა გამოირიცხოს ერთი ადამიანისთვის სიცოცხლის წართმევა იმ მიზნით, რომ გადარჩეს მეორე“, — განაცხადა ცაგერისა და ლენტეხის მთავარეპისკოპოსმა, მეუფე სტეფანე კალაიჯიშვილმა.

1997 წელს საქართველოში „ტრანსპლანტოლოგთა ასოციაცია“ ჩამოყალიბდა, რომლის წევრებიც ტრანსპლანტაციის საკითხებს პირადად კურირებენ, ამუშავებენ ამ მიმართულებით ჩატარებული ოპერაციების სტატისტიკას და აკონტროლებენ მის სამართლებრივ მხარესაც. მათი ინფორმაციით, საქართველოში პირველად ორგანოთა გადანერგვის ოპერაცია 1977 წელს ჩატარდა, თუმცა ის წარუმატებელი აღმოჩნდა. 2011 წლის დასაწყისიდან ამ დრომდე კი ჩვენს ქვეყანაში 111 ტრანსპლანტაციის ოპერაცია ჩატარდა და აქედან 101 პაციენტს თირკმელი გადაუნერგეს. ორგანოთა გადანერგვა, ძირითადად, უკვე გარდაცვლილი ადამიანებისგან წარმოებს, შედარებით იშვიათია ცოცხალი დონორობის შემთხვევები. მსოფლიოში დონორობის გაწევის ორი სახის კანონმდებლობა არსებობს – ინფორმირებული თანხმობის პრინციპზე დაფუძნებული (რის მიხედვითაც ადამიანმა სიცოცხლეშივე უნდა დაწეროს, რომ სიკვდილის შემდეგ დონორობა სურს ან მისმა ახლობლებმა უნდა განაცხადონ თანხმობა) და ნაგულისხმევის პრინციპზე დაფუძნებული (როდესაც გარდაცვალების შემდეგ ყველა ადამიანი დონორად ითვლება, თუ მას საწინააღმდეგო არაფერი აქვს სიცოცხლეში გაცხადებული). საქართველოში ინფორმირებული თანხმობის პრინციპი მოქმედებს.

„ტრანსპლანტაციის დროს არანაირი შეცდომა არ უნდა დავუშვათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს დარგის განვითარების დაღუპვის ტოლფასი იქნება. სწორედ ამიტომ, ჩვენ თვითონ ვართ დაინტერესებულნი, რომ ყველა სამართლებრივი ნორმა იყოს დაცული. დონორი შეიძლება იყოს როგორც ცოცხალი, ასევე გარდაცვლილი ადამიანი. ცოცხალ დონორთა არეალი შეზღუდულია, რათა ფინანსურ გარიგებებს არ ჰქონდეს ადგილი და თავიდან ავიცილოთ ამ დარგის უარყოფითი კომერციალიზაცია. ცოცხალი დონორი შეიძლება იყოს მხოლოდ პაციენტის დედმამიშვილი ან მეუღლე,“ — აღნიშნა საქართველოს ტრანსპლანტოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტმა გია თომაძემ.

ტრანსპლანტაციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის მიზნით კონფერენცია „ორგანოთა ტრანსპლანტაცია: სამართლებრივი, სამედიცინო და რელიგიური ასპექტები“ საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოებისა და „ელსა-საქართველოს“ ორგანიზებით მოეწყო. კონფერენციას წინ

სტუდენტებისთვის გამართული ერთკვირიანი სემინარი უძღოდა. სემინარში თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის 20 სტუდენტი მონაწილეობდა. ახალგაზრდებმა ტრანსპლანტაციის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია იურისტების, მედიკოსებისა და სასულიერო პირებისგან მიიღეს. კონფერენციის ორგანიზატორებმა ორგანოთა გადანერგვის თემა მისი აქტუალურობიდან გამომდინარე შეარჩიეს.

„ორგანოთა ტრანსპლანტაცია არ უნდა იქცეს ისეთი დანაშაულის წინაპირობად, როგორიცაა ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა. კონფერენციამ საკმაოდ ნაყოფიერად ჩაიარა, სტუდენტებმა დაწერეს ესეები, დააფიქსირეს საკუთარი პოზიცია, ხოლო იურისტებმა, მედიკოსებმა და სასულიერო პირებმა ერთობლივად განიხილეს ტრანსპლანტაციასთან დაკავშირებული ის პრობლემები, რომლებიც ცალკეულ შემთხვევებში არაერთხელ გამხდარა მსჯელობის საგანი. ჩვენ სამომავლოდაც ვგეგმავთ მსგავსი სახის პროექტების განხორციელებას“, — განაცხადა კონფერენციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ლიკა გიორგაძემ.

კონფერენციაში მონაწილე მედიკოსები, იურისტები და სასულიერო პირები ერთხმად შეთანხმდნენ, რომ ტრანსპლანტაცია — ეს არის მედიცინის უმნიშვნელოვანესი დარგი, თუმცა, ამავე დროს, მას შეიძლება უარყოფითი „გვერდითი მოვლენებიც“ ახლდეს, რომელთა პრევენციაც სამართლებრივი ჩარჩოებით უნდა მოხდეს. რაც შეეხება ორგანოთა გადანერგვით გადარჩენილი ადამიანების რაოდენობას, სტატისტიკა ასე გამოიყურება: დღესდღეობით მსოფლიოში 100 000-ზე მეტი ორგანოთა გადანერგვის ოპერაციაა ჩატარებული, მედიკოსებს არც ერთი ცოცხალი დონორის გარდაცვალების ფაქტი არ დაუფიქსირებიათ.

ტრანსპლანტაციასთან დაკავშირებით არსებობს ერთ-ერთი პაციენტის იუმორისტული ნათქვამიც: „ჩემი გადანერგილი გული 29 წლისაა, თირკმელი — 31-ის, ფილტვი — 35-ის, პანკრიასი — 40-ის, ხოლო დანარჩენი — 59 წლის. მაინტერესებს, ჩემს ანკეტაში რა წლოვანება უნდა ჩავწერო?“.

მოკლედ

მინისტრი მომავალ საჯარო მოხელეთა უკეთ მომზადებას ითხოვს

ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება საქართველოს ხელისუფლებისთვის ბოლო წლებში ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება გახდა. საჯარო მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ქვეყნის მასშტაბით არაერთი ტრენინგი და სემინარი ჩატარდა, თუმცა ამ მიმართულებით პროფესიონალი კადრების დეფიციტის პრობლემა მაინც არსებობს. გამოსავალს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში უმაღლესი სასწავლებლების მიერ კადრების უკეთ მომზადებაში ხედავენ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე არსებობს საჯარო მოხელეების მოსამზადებელი 2 წლიანი სამაგისტრო პროგრამა, რომელიც გერმანიის შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტთან ერთად ხორციელდება. „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლა ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს და სტუდენტებს ლექციებს უცხოელი პროფესორ-მასწავლებლებიც უკითხავენ. საჯარო მოხელეების მოსამზადებელი სამაგისტრო პროგრამა მოქმედებს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (gipa) სახელმწიფო მმართველობის სკოლაშიც. „gipa“-ს მაგისტრანტები თეორიული ცოდნის გარდა, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში პრაქტიკულ სამუშაოებსაც აწარმოებენ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობისა“ და „gipa“-ს ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი რამაზ ნიკოლაიშვილი თსუ-ში 11 მარტს შეხვდა. მინისტრმა თვითმმართველ ორგანოებში პროფესიონალი კადრების დასაქმების აუცილებლობაზე ისაუბრა და სტუდენტთა სწავლის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებსაც გაეცნო.

„გასულ წელს საქართველოს რეგიონებში 6 400 პროექტი განხორციელდა და მათზე 1 350 000 000 ლარი დაიხარჯა. ჩვენ მაქსიმალურად ვეცადეთ, რომ თანხების განკარგვის თვალსაზრისით რეგიონებისთვის დამოუკიდებლობა მიგვეცა, მაგრამ არსებობდა საშიშროება, რომ პროექტების არასწორად შერჩევის გამო თანხები არაეფექტურად დახარჯულიყო. ამ გართულების თავიდან ასაცილებლად დავიწყეთ საკრებულოების წევრებისა და გამგეობების თანამშრომელთა გადამზადება. ჩვენ რეგიონების გასაძლიერებლად კვალიფიციური კადრები გვჭირდება“, — განაცხადა სტუდენტებთან შეხვედრისას რამაზ ნიკოლაიშვილმა.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა სტუდენტებს გააცნო საქართველოს 2010-2017 წლების რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის 2011 წლის სამოქმედო გეგმა, რომლის განხორციელებაშიც, შესაძლოა, უახლოეს მომავალში, თსუ-ის „საჯარო მმართველობისა“ და „gipa”-ს ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებიც ჩაერთონ.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუშაობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმების სურვილი თავად თსუ-სა და „gipa”-ს სტუდენტებმაც გამოთქვეს.

„რეგიონული განვითარება და დეცენტრალიზაცია საქართველოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. ჩვენ ვართ მომავალი თაობა, რომელიც აუცილებლად ჩაერთვება ამ პროცესში, ასევე, აუცილებლად მივიღებთ მონაწილეობას იმ საქმიანობაშიც, რომელსაც ამ ეტაპზე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო შემოგვთავაზებს“, — განაცხადა თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა ანა ჯანაშიამ.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი სახის შეხვედრების შედეგად უმაღლესი სასწავლებლების ადმინისტრაციას უფრო კონკრეტულად ეცოდინება, თუ რა მოთხოვნები არსებობს ე.წ. დასაქმების ბაზარზე და საჯარო მოხელეთა უკეთ მომზადების მიზნით რა მიმართულებით უნდა გაუმჯობესონ სასწავლო პროგრამები.

სტუდენტური პარლამენტის კანონშემოქმედება

2010 წლის ნოემბერში შერჩეული თსუ-ის ,,სტუდენტური პარლამენტი" ძალას იკრებს და საქართველოს პარლამენტთან სათანამშრომლოდ ემზადება. 63 დეპუტატისგან შემდგარ სტუდენტურ პარლამენტში მუშაობენ, მსჯელობენ და კამათობენ ისევე, როგორც ეს საქართველოს პარლამენტში ხდება. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ სტუდენტური პარლამენტის ყველა წევრი უპარტიოა და მხოლოდ საკუთარ თავს წარმოადგენენ. ყველა ზე საინტერესო კი ის არის, რომ პირველკურსელი იურისტები, რომლებიც სტუდენტური პარლამენტის დეპუტატები არიან, ისე სერიოზულად არიან ჩაბმულნი კანონშემოქმედებით საქმიანობასა და ერთმანეთთან დებატებში, რომ გიჩნდება სურვილი — უკეთ ჩაწვდე მათ მასტიმულირებელ ფაქტორებს. ალბათ ფსიქოლოგი უკეთ განმარტავს, შეფასების რა კრიტერიუმებით სარგებლობენ ისინი და რამდენად ჭარბობს მათში ემოცია ინიციატივების წამოყენებისას თუ საკითხების განხილვისას. ბევრი ნიუანსი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც, პირველ რიგში, ჩვენ გვჭირდება, შევაფასოთ, რა აქცენტებს სვამენ ქვეყნისთვის მართლაც რომ საჭირბოროტო საკითხებთან მიმართებაში, როგორია მათი ინფორმირებულობისა და განათლების დონე, მათი ხედვა თუ აზროვნების სტილი, აგრესიულობის ხარისხი თუ მათი სამართლიანობის უნარი. ფაქტი ერთია, ისინი საქართველოს კანონმდებლობაზე გავლენის მოხდენას ცდილობენ და ,,საქმიანი თამაშებით" პროფესიულ ზრდას თავადვე უწყობენ ხელს. გთავაზობთ სტუდენტური პარლამენტის მესამე პლენარული სხდომის მიმდინარეობის დეტალებს, რაც გარკვეულ წარმოდგენას შეგიქმნით მათ საქმიანობაზე.

ნინო კაკულია

19 მარტს გამართულ პლენარულ სხდომაზე სტუდენტური პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ მერი კაპანაძემ წარმოადგინა კანონპროექტი — ,,სავალდებულო გამოცდები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში". ეს გახლავთ კომიტეტის საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებს ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ყოველწლიურად, წლის ბოლოს, ჩატარდეს შემაჯამებელი გამოცდები მეშვიდე კლასიდან იმ საგნებში, რომლებსაც მოსწავლეები მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში სწავლობენ; ბ) გამოცდებზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ვერგადალახვის შემთხვევაში მოსწავლეს მიეცეს შანსი — გავიდეს აღდგენით გამოცდაზე, რომელიც უნდა ჩატარდეს აგვისტოს ბოლოს; გ) თუ მოსწავლემ აღდგენით გამოცდაზე ვერ გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, მაშინ მისი გონებრივი შესაძლებლობები უნდა შემოწმდეს სოციალური სამსახურის მიერ და გადაწყვეტილების შესაბამისად უნდა მოხდეს მოსწავლის შესაბამის ჯგუფში დასმა. სტუდენტური პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის ეს ინიციატივა ითვალისწინებს ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლში დამატების შეტანას. ამ ინიციატივასთან დაკავშირებით გავესაუბრეთ კომიტეტის თავმჯდომარეს მერი კაპანაძეს.

— პლენარულ სხდომაზე საკითხის გამოტანისას რა მოსაზრებები გამოითქვა კანონპროექტთან დაკავშირებით?

— კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სავალდებულო გამოცდები ჩავატაროთ მე-7 კლასიდან ყველა საგანში. ამ გადაწყვეტილებამდე მივედით იმ რეალობიდან გამომდინარე, რომ დღეს ბევრ მოსწავლეს უჭირს საატესტატო გამოცდების ჩაბარება, რადგან მთელი 12 წლის განმავლობაში მათთვის საჭირო საგნებს უფრო აქცევდნენ ყურადღებას და ვთქვათ, ფიზიკა-ქიმია ან ბიოლოგია ისე კარგად არ იციან. ჩვენ ვითხოვთ გამოცდების ჩაბარებას ყველა საგანში მე-7 კლასიდან მოყოლებული მე-12 კლასის ჩათვლით, რადგან მოსწავლე თავიდანვე განეწყობა ყველა საგნის შესასწავლად და ყოველ წელს გამოცდების ჩაბარებასაც მიეჩვევა.

პირველი მოსმენით ჩვენმა პარლამენტმა ეს კანონპროექტი არ მიიღო, რადგან მასში ჩადებულ სხვადასხვა ნიუანსზე შენიშვნები გამოითქვა. ჩვენი კომიტეტი აგრძელებს კანონპროექტის დახვეწის კუთხით მუშაობას და მას მომდევნო სხდომაზე კვლავ წარვადგენთ.

— როგორც სტუდენტური პარლამენტის კომიტეტი, ვისთან თანამშრომლობთ? საქართველოს პარლამენტის შესაბამის კომიტეტთან თუ გაქვთ ურთიერთობა?

— ამ ეტაპზე საქართველოს პარლამენტის განათლების კომიტეტთან ურთიერთობა არ გვაქვს. მომავალში გვსურს ვითანამშრომლოთ განათლების სამინისტროსთან, ანალიტიკურ ჯგუფთან, რათა დაგვეხმარონ იმის გარკვევაში, რამდენად სწორად ვიქცევით, რამდენად სწორ გადაწყვეტილებებს ვიღებთ...

— თქვენი გადაწყვეტილებები სად აისახება და რად ღირს თქვენი მუშაობა?

— რეალობაში, შეიძლება ითქვას, რომ ვთამაშობთ. მაგრამ აზრს მოკლებული არ არის ის ინიციატივა, რომ ჩვენს მიერ წამოჭრილი საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველად წარვუდგინოთ.

— როცა ასე სერიოზულად უდგებით საკითხს, საინტერესოა, რა მოლოდინი გაქვთ — თქვენი მუშაობის შედეგად რას მიიღებთ?

— შეიძლება ითქვას, რომ ვთამაშობთ პარლამენტობანას, მაგრამ ეს დიდების თამაშია. ჩვენ მხოლოდ თეორიული ცოდნის დაგროვება არ გვინდა, გვსურს, რომ სტუდენტურ პარლამენტში პრაქტიკა გავიაროთ და ამ გზით დავეუფლოთ უნარ-ჩვევებს, მივიღო დებატებში მონაწილეობა... ვფიქრობ, რომ მომავალი იურისტისთვის ეს ყოველივე საჭიროა.

* * *

დეპუტატმა ლაშა ექიზაშვილმა წარმოადგინა კანონპროექტი „პრეზიდენტის ხელფასის შემცირების შესახებ", რასაც მოჰყვა დებატები სტუდენტურ პარლამენტში. ლაშა ექიზაშვილი იმედოვნებს, რომ კანონპროექტის პირველი მოსმენით ჩავარდნის მიუხედავად, საკუთარ ინიციატივას მაინც გაიტანს.

— საიდან წამოვიდა პრეზიდენტის ხელფასის შემცირების ინიციატივა, რაზეც პარლამენტს კანონპროექტიც კი წარუდგინეთ?

— როდესაც გადავხედე საქართველოს პარლამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე კანონმდებლობას, იქ აღმოვაჩინე კანონპროექტი, სადაც დეტალურად არის გაწერილი პრეზიდენტის ყოველთვიური სარგოს შესახებ ინფორმაცია. ვნახე, რომ 2004 წლიდან, რაც მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებაში მოვიდა, დაახლოებით სამჯერ გაიზარდა პრეზიდენტის ხელფასი, რაც ჩემთვის მიუღებელია. გადავწყვიტე, პრეზიდენტის ხელფასის შემცირების ინიციატივით გამოვსულიყავი, რაც პლენარულ სხდომაზე არგუმენტებით განვამტკიცე კიდეც. ჩემი აზრით, როდესაც ქვეყანაში მძვინვარებს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, ბიუჯეტის ხარჯები უნდა შემცირდეს. კრიზისის დროებით შესაჩერებლად ეს აპრობირებული მეთოდია მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანაში.

— მე არ ვიზიარებ თქვენს მოსაზრებას, რადგან მიმაჩნია, რომ ჩემი ქვეყნის პრეზიდენტს მირჩევნია ჰქონდეს ღირსეული ხელფასი, რაც იქნება ორიენტირი დასაქმებული საქართველოს მოქალაქეთა ხელფასების ზრდის თვალსაზრისით მომავალში მაინც. ასევე, ქვეყნის პირველ პირს, მცირე ხელფასით ჩვენ არ უნდა ვუბიძგოთ არაკანონიერი მოქმედებისკენ – იშოვოს ფული. მას თუ ექნება დიდი ხელფასი, მეც მექნება პერსპექტივა ხელფასის ზრდის. ეს რატომ არის ცუდი?

— ნუ დაგავიწყდებათ, რომ პრეზიდენტი აბსოლუტურად უზრუნველყოფილია ყველა იმ დანახარჯით, რაც ჩვეულებრივ ადამიანს აქვს, ანუ ფინანსდება მისი ყოველდღიური ცხოვრება, მისი მანქანით გადაადგილება, სამუშაო ვიზიტები, გართობა, საცხოვრებელი ადგილი, კომუნალური გადასახადები... ანუ ვთვლი, რომ 4720 ლარი, რასაც მისი ხელფასი შეადგენს, ამ ეტაპზე, უმჯობესი იქნება წაადგეს ქვეყანას. ამასთან დაკავშირებით ჩვენს პარლამენტში დებატები გაიმართა. ყველა სვამდა კითხვას — რას იზამს ერთი კაცის ხელფასი?

ჩემი კანონპროექტი ამჯერად ჩავარდა. დაისვა საკითხი, რომ პროექტში გამეთვალისწინებინა სხვა თანამდებობის პირთა ხელფასების შემცირების საკითხი.

— პარლამენტში შენი ინიციატივა რომ „ჩავარდა", გული დაგწყდა?

— არა, რადგან ჩვენი მუშაობა დაფუძნებულია კოლეგიალობაზე. პლენარული სხდომის დასრულების შემდეგაც კოლეგების უმრავლესობას ვესაუბრე, გავითვალისწინე მათი შენიშვნები, რასაც შემდეგ კანონპროექტში ავსახავ და დარწმუნებული ვარ, რომ შემდეგ სხდომაზე ჩემი პროექტი გავა.

— ამის ამბიცია გაქვს?

— რა თქმა უნდა. ამბიცია ყველა იურისტს უნდა ჰქონდეს. თვითდაჯერებულობისა და ამბიციის გარეშე შეუძლებელია იურისტმა წარმატებას მიაღწიოს, რადგან იურისტის პროფესიული მოვალეობაა სიმართლის დაცვა ან კი როცა არ ხარ მართალი, ამ სიტუაციიდანაც უნდა მოახერხო გამოძრომა.

* * *

სტუდენტური პარლამენტის ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ანი რუხაძემ წარმოადგინა კანონპროექტი ,,სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ".

— რას ითვალისწინებდა ეს კანონპროექტი?

— ჩემს მიერ წარდგენილი პროექტი ითვალისწინებდა ცვლილებებს უკვე არსებულ საქართველოს კანონში „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ". მე მსურს ცვლილებების შეტანა, რომელიც წარმოვადგინე რამდენიმე მუხლით: 1) გენმოდიფიცირებული თესლის იმპორტის აკრძალვა, 2) გენმოდიფიცირებული მზა იმპორტირებული პროდუქციის და ნატურალური პროდუქტის განმასხვავებელი საბაზრო-სასაქონლო ნიშნით მარკირება, ასევე წამოვაყენე სახელმწიფოს ხარჯებით რაიონული ლაბორატორიების შექმნის იდეა. ნებისმიერი პროდუქცია — ფერმერული, კუსტარული თუ გლეხური წარმოებისა გაივლიდა ლაბორატორიულ შემოწმებას მანამ, ვიდრე დახლზე მოხვდებოდა.

ჩვენი, სტუდენტური პარლამენტის მიზანი სწორედ ის არის, რომ საკანონმდებლო სივრცეში შევავსოთ ან გამოვასწოროთ არსებული ხარვეზები. ჩვენ ჩავთვალეთ საჭიროდ, რომ ეს საკითხები აუცილებლად უნდა განხილულიყო.

— თუკი გენმოდიფიცირებული პროდუქტის აკრძალვას უჭერთ მხარს, გამოთვლილი თუ გაქვთ, რას გამოიწვევს ეს?

— ამაზე იყო საკმაოდ დიდი დისკუსია. ზოგი აცხადებდა, რომ მისი აკრძალვა ეკონომიკას ზარალს მიაყენებს, რადგან ცნობილია, რომ გენმოდიფიცირებული პროდუქტის ძირითადი ღირსება არის ის, რომ იგი ყინვაგამძლეა და რთულ ეკოლოგიურ პირობებს უძლებს, ასევე, არის მაღალმოსავლიანი. თუმცა, ჩემი აზრით, იგი იმდენად დიდ ზიანს აყენებს ჯანმრთელობას, რომ რაღაცაზე თვალიც უნდა დავხუჭოთ. რომ გამოვთვალეთ სტატისტიკურად, საქართველოს შეუძლია მოსახლეობის ნატურალური ხორბლით უზრუნველყოფა — ქვეყანაში არსებობს ამის პოტენციალი. და თუ ეს ეკონომიკას დიდად ვერ წაადგება, სამაგიეროდ, მოსახლეობის ჯანმრთელობას დავიცავთ. ჩემს იდეას ჰყავდა მოწინააღმდეგეები, მაგრამ კანონპროექტის პირველი მოსმენით მიღება მაინც შევძელით.

— არ გიცდიათ, რომ თქვენი ინიციატივა წინადადების სახით მაინც მიაწოდოთ საქართველოს პარლამენტის შესაბამის კომიტეტს?

— ეს პროექტი სტუდენტურ პარლამენტში ახლახან გავიდა და ჯერაც განხილვის პროცესშია. თუ მოიწონებენ მას, საკანონმდებლო წინადადების სახით შესაძლოა საქართველოს პარლამენტის შესაბამის კომიტეტს მართლაც წარვუდგინოთ.

— თქვენ სხდომებს ესწრებით როგორც პასუხისმგებლობით აღჭურვილი დეპუტატი თუ ეს არის რაიმე ვალდებულება ვიღაცის წინაშე?

— ეს არის ჩვენი ნებაყოფლობითი გაერთიანება. რეგლამენტით განსაზღვრულია, რომ 3 გაცდენილი სხდომის შემდეგ დეპუტატები პარლამენტიდან გაირიცხებიან. პარლამენტის სხდომებზე დასწრება და აქტიურობა არის ჩვენთვის დიდი გამოცდილების შეძენა. ეს გვეხმარება გავიზარდოთ პროფესიულად, დავეუფლოთ თუნდაც ორატორულ ხელოვნებას, გავაკეთოთ მოხსენება, ვისწავლოთ ჯანსაღ დებატებში ჩართვა... ეს ყოველივე სერიოზულ პასუხისმგებლობებს გვაკისრებს...

* * *

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ თეონა ზაძუტაშვილმა წარადგინა კანონპროექტი ,,კონსტიტუციის ფიცის ტექსტში ცვლილებების შეტანის შესახებ", რომელიც პარლამენტში პირველივე მოსმენით ჩავარდა.

— რას ითვალისწინებდა თქვენი კანონპროექტი?

— ვფიქრობ, რომ საქართველოში ეს თემა ჯერაც ტაბუდადებულია. მაგალითად, კონსტიტუციური სასამართლოს მოსამართლემ სამსახურის დაწყების წინ უნდა დადოს ფიცი და თქვას: ღვთის წინაშე ვფიცავ, რომ ერთგულად ვემსახურები ჩემს ქვეყანას. ჩვენი კანონპროექტი ითვალისწინებდა სიტყვა „ღვთის" ამოღებას. ჩემი აზრით, თუ საჯარო მოხელე ათეისტია, მას უნდა შეეძლოს ამ სიტყვის გარეშეც ფიცის დადება. იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტს უნდა ესმოდეს იმდენი, რომ სახელმწიფოში ყველა ადამიანის ინტერესები თანაბრად იყოს დაცული.

— თქვენ გწამთ ღმერთი?

— რატომღაც ყველას უჩნდება ჩემდამი ეს კითხვა. ძალიან აქტიური მართლმადიდებელი არ ვარ, მაგრამ შინაგანად ისევე მწამს ღმერთის, როგორც სხვა ნებისმიერ ქართველს, მაგრამ როგორც იურისტს, უნდა მესმოდეს იმდენი, რომ დავიცვა უმცირესობის უფლებები.

* * *

სტუდენტური პარლამენტის თავმჯდომარე შოთა თუთბერიძე პლენარულ სხდომაზე განხილული საკითხების გადახარისხების მომხრეა და თვლის, რომ საქართველოს პარლამენტს შეიძლება მიაწოდოს ის საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც სტუდენტურ პარლამენტში სამივე მოსმენით გავა და რომელიც უმრავლესობის მოწონებას დაიმსახურებს. ასე რომ, პროცედურების გავლა ჯერ კიდევ წინ არის...

— საინტერესოა, ვის წინაშე გრძნობთ თავს ანგარიშვალდებულად, როგორც დეპუტატები?

— პროცესებს, ჯერ კიდევ ზედამხედველობს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაცია, თუმცა იგი მაქსიმალურად დიდ დამოუკიდებლობას გვაძლევს, რათა თავად ვისწავლოთ საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობა. რეგლამენტში განერილია, რომ ბიუროს სხდომა არანაკლებ თვეში 2-ჯერ უნდა ჩატარდეს, თუმცა ჩვენ ვცდილობთ, რომ ყოველკვირეულად შევიკრიბოთ. ბიუროში წარმოდგენილია პარლამენტის თავმჯდომარე, ვიცე-სპიკერი და კომიტეტის თავმჯდომარეები. ბიუროზე ვამტკიცებთ დღის წესრიგს და ვნიშნავთ პლენარულ სხდომას, რომელსაც სრული შემადგენლობით ესწრებიან სტუდენტური პარლამენტის წევრები.

— სტუდენტური პარლამენტის პოპულარიზაციის მიზნით რამეს თუ აკეთებთ? რას გეგმავთ ამ მიმართულებით?

— სტუდენტური პარლამენტის პოპულარიზაციას ახორციელებს ის ასოციაცია, რომლის პროექტშიც ვმონაწილეობთ. ვებ-გვერდზე ჩვენი ნიუსები იდება, ვაპირებთ ჩვენი ბლოგის გაკეთებას. რაღაც იდეებიც გვაქვს, მაგრამ რესურსების სიმწირის გამო ჩვენს ჩანაფიქრს ვერ ვახორციელებთ.

— სტუდენტური პარლამენტი ეცდება თუ არა, რომ საქართველოს პარლამენტს მიაწვდინოს ხმა?

— შემდეგ პლენარულ სხდომაზე ამ თემაზე დისკუსიის გამართვას ვგეგმავთ. ვფიქრობ, შეიძლება საქართველოს პარლამენტს მართლაც წარვუდგინოთ ჩვენი პროექტები საკანონმდებლო წინადადების სახით.

— რამდენად სერიოზულად ეკიდებით საკანონმდებლო საქმიანობას თქვენს პარლამენტში? შეიძლება თუ არა თქვენს მუშაობას საქმიანი თამაშები ვუწოდოთ?

— პროექტის დაწყებისას ჩემს საარჩევნო სიტყვაში მთავარი მესიჯი ეხებოდა იმას, რომ ჩვენი ძირითადი რესურსი არის ჩვენივე ენთუზიაზმი. ჩვენ არ გვაქვს იურიდიული ბაზა საიმისოდ, რომ ნამდვილი ნორმატიული აქტები გამოვცეთ, თუმცა თამაშადაც ვერ ჩავთვლით ჩვენს საქმიანობას, რამდენადაც ეს ჩვენს განვითარებას ემსახურება. სწავლა არ შეიძლება იყოს თამაში.

„ბიზნეს ქეისში“ გამარჯვებულნი სტაჟირებას გადიან

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე გამართულ კონკურსში „ბინზეს ქეისი“ გამარჯვებულად ორი გუნდი გამოვლინდა, რომელთა პრეზენტაციებმაც ჟიურის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა. დღეს გამარჯვებული გუნდების წევრები სტაჟირებას გადიან კომპანიებში: „ბარამბოსა“ და „ნატახტარში“, თბილისის მერიის მარკეტინგის სამსახურსა და რადიო „კომერსანტში“.

კომპანია „ნატახტარში“, თბილისის მერიაში და რადიო „კომერსანტში“ გადანაწილებული თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტები იმ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ეუფლებიან, რაც მათ მომავალში, საკუთარი პროფესიით მუშაობის დაწყებაში დაეხმარება. ჯერჯერობით საუბარი არ არის სტაჟიორების აღნიშნულ კომპანიებში დასაქმებაზე, თუმცა, როგორც სტუდენტებმა გვითხრეს, პრაქტიკების დასრულების შემდეგ შესაძლოა, ზოგიერთ მათგანს სამუშაო ადგილიც შესთავაზონ.

კომპანია „ნატახტარის“ მარკეტინგის სამსახური, ამჟამად, ახალი ბრენდის გამოშვებაზე მუშაობს და ამ პროცესში თსუ-დან წარგზავნილი სტაჟიორები — თეიმურაზ ბაბუციძე და ნათია ფურცხვანიძეც აქტიურად არიან ჩართულნი.

„როდესაც „ნატახტარში“ მივედით, მარკეტინგის მენეჯერმა თორნიკე ნიკოლაიშვილმა პირადად აგვიხსნა კომპანიის მუშაობის სტრუქტურა და გვითხრა, რომ ჩვენი სტაჟირების წარმატებით დასრულება მის ინტერესებშიც შედის, რადგან თუ რომელიმე კომპანიაში გადავწყვეტთ მუშაობის დაწყებას, რეკომენდაციის გაწევა მასაც მოუწევს. ჩემი მთავარი მიზანია, რომ კომპანია „ნატახტარში“ სტაჟირების გავლით დიდი პრაქტიკული ცოდნა შევიძინო,“ — გვითხრა თეიმურაზ ბაბუციძემ.

„წინა წელს კომპანია „ნატახტარმა“ მიღებული სტაჟიორებიდან ერთ-ერთი მათგანი დაასაქმა, მაგრამ ჩვენ გვითხრეს, რომ წელს დასაქმების პერსპექტივა ნაკლებია, რადგან ახალი კადრები ამ ეტაპზე არ სჭირდებათ. რაც შეეხება მუშაობის პროცესს, აქ ბევრ რამეს ვსწავლობთ, ეს კი პროფესიული ზრდისთვის აუცილებელია“, — აღნიშნა ნათია ფურცხვანიძემ.

კომპანია „ბარამბოში“ თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 3 სტუდენტი გადის სტაჟირებას. მარიამ ფანკელაშვილმა, გიორგი ტყეშელიაძემ და თამარ შოშიტაშვილმა პრაქტიკული კურსი კომპანიაში მიმდინარე წლის მარტში დაიწყეს. „ბარამბოს“ მარკეტინგის სამსახურის უფროსმა მათ ერთ-ერთ ნაწარმთან „ბატონთან“ დაკავშირებით კითხვარის შემუშავება და სტუდენტების გამოკითხვა დაავალა — თუ რა სიხშირით ყიდულობენ ისინი ამ შოკოლადს და რამდენად მოსწონთ? თუმცა პირველი შეხვედრის შემდეგ სტუდენტები კომპანია „ბარამბოს“ მარკეტინგის სამსახურს ვეღარ დაუკავშირდნენ და, შესაბამისად, მათი სტაჟირების პროცესიც დროებით შეჩერებულია.

„რეალურად ვერ ვიტყვი, რომ უყურადღებოდ მოგვექცნენ, მაგრამ არ ვიცით რა ხდება. შეიძლება არ სცალიათ, რადგან ახალი პროდუქტის — ნაყინის გამოშვებაზე მუშაობენ. ვფიქრობ, მათ ჩვენი ზარი უპასუხოდ არ უნდა დაეტოვებინათ, უნდა აეხსნათ მაინც, თუ როგორ მოვიქცეთ“, — განაცხადა მარიამ ფანკელაშვილმა.

პროექტ „ბიზნეს ქეისში“ გამარჯვების შედეგად თბილისის მერიაში პრაქტიკის გასავლელად 2 სტუდენტი გადანაწილდა. ახალგაზრდები ჩაერთვნენ პროექტში — „ქალაქი, რომელსაც უყვარხარ“. პროექტის ფარგლებში სტუდენტებს ევალებათ სოციალურ ქსელზე www.facebook.com-ზე გახსნილი თბილისის მერიის გვერდის პოპულარიზაცია. გარდა ამისა, ისინი აქტიურად არიან ჩართულნი მერიის მარკეტინგის სამსახურის სამუშაო პროცესშიც. მართალია, დასაქმების საკითხთან დაკავშირებით მათ კონკრეტული წინადადება არ მიუღიათ, თუმცა არ გამორიცხავენ, რომ კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში სამუშაო ადგილებსაც შესთავაზებენ.

„მარკეტინგის განყოფილების უფროსმა, ბატონმა ბაჩომ დაგვინიშნა კოორდინატორი, რომელთან ერთადაც ვმუშაობთ. კმაყოფილები ვართ, რადგან დიდი ყურადღებით გვექცევიან და გვასწავლიან. დასაქმებაზე სერიოზული ლაპარაკი არ ყოფილა, ერთადერთი ის ითქვა, რომ ახალ კადრებს ეძებენ. თბილისის მერიაში დიდ პრაქტიკულ გამოცდილებას ვიძენთ“, — გვითხრა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტმა გიორგი თევდორაშვილმა.

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტები რუსუდან გონგლაძე და აკაკი ქორიძე კი რადიო „კომერსანტში“ გადიან პრაქტიკულ სასწავლო კურსს. მათ „ბიზნეს ქეისის“ კონკურსზე „სურამული ნაზუქების“ ბინზეს-გეგმა გაიტანეს და ჟიურის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურეს. „ჩვენი ბინზეს-გეგმა ასეთი შინაარსისაა: უნდა გაგვეხსნა ვაგზალზე თონე, სადაც გამოცხვებოდა „სურამული ნაზუქნები“. ამასთან დაკავშირებით ერთწუთიანი სახალისო რეკლამა გავაკეთეთ, ჟიურის წარვუდგინეთ ჩვენი ბიზნეს გეგმა, სპეციალურად დამზადებული ფლაერები და ბევრი ვისაუბრეთ ჩვენი თონის უპირატესობაზე. თბილისის სხვადასხვა უბანში ჩავატარეთ გამოკითხვა — იყიდიან თუ არა ჩვენს თონეში გამომცხვარ „სურამულ ნაზუქს“. საკმაოდ დიდი სამუშაო გავწიეთ. პრეზენტაციის დასასრულს კი ჟიურის წევრებს ლამაზ პარკში შეფუთული სურამიდან გამოგზავნილი ნაზუქები ვაჩუქეთ“, — გვითხრა რუსუდან გონგლაძემ.

„რადიო „კომერსანტში“ საკმაოდ დიდ გამოცდილებას ვიძენთ, გვასწავლიან თუ როგორ იღებენ საქართველოში ბანკები შემოსავალს და როგორია მათი მუშაობის სისტემა. ვსწავლობთ ანალიტიკურ აზროვნებას, მსჯელობის უნარს, პროექტების უკეთ წერას. გარდა ამისა, გვასწავლიან, თუ როგორ გადმოვცეთ ბიზნესთან დაკავშირებული ახალი ამბავი და, ფაქტობრივად, ნაწილობრივ მეორე პროფესიასაც ვეუფლებით“, — განაცხადა აკაკი ქორიძემ.

კომპანიებში „ნატახტარსა“ და „ბარამბოში“, ასევე, თბილისის მერიასა და რადიო „კომერსანტში“ თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტები სტაჟირებას 3 თვის განმავლობაში გაივლიან. დასაქმდებიან თუ არა პრაქტიკული კურსის დასრულების შემდეგ, ეს ნაწილობრივ მათზეც არის დამოკიდებული. დამსაქმებელი კომპანიები მხოლოდ იმ შემთხვევაში იტოვებენ ხოლმე სტუდენტებს, თუკი ისინი განსაკუთრებულ უნარ-ჩვევებს გამოავლენენ და დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან თავიანთ საქმეს.

მოამზადა: ნატო ოგოლაძემ

პროკრედიტ ბანკი სტუდენტებს სტაჟირებასა და დასაქმებას სთავაზობს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ,,პროკრედიტბანკმა” სტუდენტებისთვის ,,ახალგაზრდა ბანკირების პროგრამის” პრეზენტაცია მოაწყო. ბანკის წარმომადგენელმა ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის და მაგისტრატურის სტუდენტებს ,,პროკრედიტ-ბანკში” ანაზღაურებადი სტაჟირება შესთავაზა. ექვსთვიანი სტაჟირების განმავლობაში სტუდენტები გაივლიან თეორიულ მეცადინეობას, პრაქტიკულ კურსს. სტაჟირების პერიოდში სტუდენტები მიღებენ ხელფასს თვეში 250 ლარის ოდენობით; სტაჟირების ბოლოს გადაეცემათ სერტიფიკატი, ხოლო ნიჭიერი და მოტივირებული სტაჟიორები ბანკში დასაქმდებიან.

„ახალგაზრდა ბანკირის პროგრამაში“ მონაწილეობის მისაღებად IV კურსის სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს საბუთების შეტანა 20 მარტის ჩათვლით შეეძლოთ. ამჟამად შერჩევის პროცესი მიმდინარეობს, რომელიც 4 ეტაპისგან შედგება — სატელეფონო გასაუბრება, ტესტირება მათემატიკაში, ჯგუფური დისკუსია და პირადი გასაუბრება.

პროგრამაში ჩართვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების გარდა, სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებსაც შეეძლოთ. „პროკრედიტ ბანკი“ პროგრამის იმ მონაწილეებს, რომლებიც რეგიონებიდან იქნებიან, 6 თვის განმავლობაში უფასო საცხოვრებლითაც უზრუნველყოფს. აღსანიშნავია, რომ „ახალგაზრდა ბანკირის პროგრამა“ ერთჯერადი ხასიათის არ არის და მის განმეორებით ჩატარებას „პროკრედიტ ბანკი“ მომავალშიც გეგმავს.

ფიქსირებული პრეტენზიები

უკვე ერთი წელია, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ცხელი ხაზი ამუშავდა. 42-22-20 — ტელეფონის ამ ნომრის საშუალებით სტუდენტებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის მიღება შეუძლიათ. თსუ-ის ცხელ ხაზზე დაკავშირება შეუძლიათ სტუდენტებს იმ შემთხვევაშიც, თუ ვინმე არღვევს მათ კანონიერ უფლებებს, თუ ეპყრობიან უყურადღებოდ და უპასუხისმგებლოდ, თუ უგვიანებენ პასუხებს და ემსახურებიან არაკვალიფიციურად.

რა სიხშირით, რა სახის კითხვებით და პრეტენზიებით მიმართავენ ცხელი ხაზის ოპერატორებს სტუდენტები? რამდენად კარგად ასრულებს ცხელი ხაზი თავის ფუნქციას? — ამ კითხვებით ჩვენ სასწავლო დეპარტამენტის სტუდენტთა მომსახურების მთავარ სპეციალისტს ეკა ენუქიძეს მივმართეთ, რომლის მოვალეობაშიც, ამჟამად, ცხელი ხაზის საშუალებით შემოსულ ზარებზე პასუხის გაცემაც შედის.

ნატო ობოლაძე

როგორც გავარკვიეთ, ცხელ ხაზს განსაკუთრებული სიხშირით უკავშირდებიან მობილობის წესით უმაღლესი სასწავლებლის თუ ფაკულტეტის შეცვლის მსურველი სტუდენტები. ცხელ ხაზზე დარეკვა აქტუალური ხდება, ასევე, გამოცდებსა და, ზოგადად, ორივე სემესტრის დასაწყისში რეგისტრაციის გასავლელად საჭირო ყველანაირი ინფორმაციის გასაგებად. სტუდენტებს, ძირითადად, საგნების არჩევის პროცესთან და გამოცდებში მიღებულ შეფასებებთან დაკავშირებული კითხვები აქვთ. მათ აინტერესებთ ნიშნების გამოქვეყნების ზუსტი დრო, ინფორმაცია სწავლის გადასახადის შეტანის ვადების შესახებ და ა.შ. რაც შეეხება სტუდენტთა უფლებების დარღვევის ,,მაცნე ზარებს", ცხელი ხაზის ამოქმედებიდან დღემდე სულ რამდენიმე ასეთი ზარია დაფიქსირებული. აღნიშნულ შემთხვევებში სასწავლო დეპარტამენტმა სტუდენტთა პრობლემების მოგვარება მათივე ფაკულტეტის ადმინისტრაციას დაავალა.

„სტუდენტები, ძირითადად, სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე რეკავენ. ჩვენ ყველა მათგანს ამომწურავ პასუხს ვცემთ. ცხელი ხაზის მთავარი ფუნქციაც სწორედ ეს გახლავთ, თუმცა თსუ-ის ვებ-გვერდზე ჩვენ მითითებული გვაქვს, რომ დაგვიკავშირდნენ იმ შემთხვევაშიც, თუკი მათი უფლებები დაირღვევა. ამ პრეტენზიით დღემდე მხოლოდ რამდენიმე ზარი დავაფიქსირეთ. სტუდენტებმა, ძირითადად, უწყისში დაშვებული შეცდომების შესახებ მოგვაწოდეს ინფორმაცია, ჩვენ შესაბამის ფაკულტეტს დავუკავშირდით და პრობლემაც მოგვარდა“, — გვითხრა ეკა ენუქიძემ.

ცხელი ხაზის ამუშავებიდან დღემდე, სტატისტიკის მიხედვით, 4500 შემოსული ზარი დაფიქსირდა. სპეციალური პროგრამის საშუალებით ყველა საუბარი ჩაწერილი და შენახულია, თუმცა პროგრამას ხარვეზებიც აქვს. მაგალითად, სანამ სასწავლო დეპარტამენტის თანამშრომელი ერთი სტუდენტის კითხვებს პასუხობს, შესაძლოა, პარალელურად, მეორე სტუდენტიც ცდილობდეს დაკავშირებას. ამ შემთხვევაში არც დაკავებული ნომრის ზუმერი ირთვება და არც ავტომოპასუხე „სთხოვს“ აბონენტს, რომ ოპერატორი დაკავებულია და ცოტა ხნით დაელოდოს. ამის ნაცვლად ზარი ჩვეულებრივად გადის და სტუდენტებს ჰგონიათ, რომ სასწავლო დეპარტამენტში ცხელ ხაზზე შემოსულ ზარებს ყურადღებას არ აქცევენ. ასეთი შინაარსის პრეტენზიებით სტუდენტებს სასწავლო დეპარტამენტისთვის არაერთხელ მიუმართავთ. პრობლემის მოგვარება ჯერჯერობით მაინც ვერ ხერხდება. მიზეზის დასადგენად ჩვენ მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს მივმართეთ.

„ამ ეტაპზე გვაქვს ე.წ. „აიტი ტელეფონი“, ცხელი ხაზის მომსახურების პროგრამა კი ჩაწერილია „ლეპტოპში“. ხოლო უკეთესი პროგრამის დამონტაჟება იმ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი, თუკი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა „ატეესი“ მთლიანად შეიცვლება და თანამედროვე სტანდარტების მიხედვით დამონტაჟდება“, — გვითხრა მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის კავშირგაბმულობის სპეციალისტმა დავით ალადაშვილმა.

თსუ-ში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ცხელი ხაზის პროგრამის ამოქმედება ფინანსურ სირთულეებთან არის დაკავშირებული, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ ერთი წლის წინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ცხელი ხაზი საერთოდ არ არსებობდა. სტუდენტები სხვადასხვა შინაარსის კითხვებითა თუ პრეტენზიებით სასწავლო დეპარტამენტს ჩვეულებრივ ტელეფონზე უკავშირდებოდნენ. ვერ ხერხდებოდა შემოსული ზარების დაფიქსირება და საუბრების ჩაწერა. შესაბამისად, თსუ-ის მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტში ფიქრობენ, რომ ცხელი ხაზის მომსახურების გაუმჯობესებასაც მალე შეძლებენ და დარეკვის დროს თუკი ოპერატორი დაკავებული იქნება, სტუდენტებს ამის თაობაზე ავტომოპასუხე ავტომატურ რეჟიმში აცნობებს.

მოკლედ

ტემპუსის პროექტი თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტზე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი ევროგაერთიანების პროგრამის TEMPUS-ის ფარგლებში ჩართულია პროექტის - „საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის სამაგისტრო პროგრამა“ (511303-JPCR) განხორციელებაში.

პროექტი მიზნად ისახავს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის სფეროში თანამშრომლობას პარტნიორი ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებთან, გამოცდილების გაზიარებას, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას, პროგრამის სტუდენტებისთვის ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვას და განვითარებას, უახლესი სასწავლო ლიტერატურით მომარაგებას.

პროექტმა სტარტი აიღო 2010 წლის 15 ოქტომბერს. მისი ხანგრძლივობაა 3 წელი.

ევროპის ქვეყნებიდან პროექტში ჩართულნი არიან შემდეგი პარტნიორი უნივერსიტეტები: კუმბრიის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი), ბაიბის-ბოლიაის სოციალური კვლევის უნივერსიტეტი (რუმინეთი), ტექნოლოგიების სამეფო ინსტიტუტი KTH (შვედეთი); პოსტსაბჭოთა სივრციდან პროექტში მონაწილეობას იღებენ ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (სომხეთი), კიშინოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სახელმწიფო სამედიცინო და ფარმაცევტული უნივერსიტეტი(მოლდავეთი), ხოლო საქართველოს მხრიდან ჩვენი პარტნიორია საქართველოს უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა.

2011 წლის 31 იანვრიდან 4 თებერვლის ჩათვლით პირველი სამუშაო ვიზიტი განხორციელდა ერევანში (სომხეთი). თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტიდან სამუშაო ვიზიტში მონაწილეობა მიიღეს: საზოგადოებრივი ჯანდაცვის ასოცირებულმა პროფესორებმა ნინო ჩიხლაძემ, ნატა ყაზახაშვილმა და ლაშა ლორიამ. ვიზიტის მიზანი იყო კონსორციუმის წარმომადგენელებთან შეხვედრა და მათი გაცნობა, პარტნიორ ქვეყნებში საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურების სფეროში არსებული მდგომარეობის შეფასება, ამ მიმართულებით თითოეულ ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო და საკვალიფიკაციო ჩარჩოების, საგანმანათლებლო პროგრამების განხილვა, საჭიროებების იდენტიფიკაცია, სამომავლო ნაბიჯებისა და სამოქმედო გეგმის შეთანხმება.

სამუშაო კვირის განმავლობაში გაიმართა საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელშიც კონსორციუმის წევრი უნივერსიტეტების წარმომადგენლების გარდა მონაწილეობა მიიღეს სომხეთის ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სამინისტროების წარმომადგენლებმა.

სიმპოზიუმზე განიხილეს მონაწილე ქვეყნების საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის სისტემები, სათანადო კანონმდებლობა, არსებული პრობლემები და პერსპექტივები. საერთაშორისო სიმპოზიუმზე თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის სახელით გაიმართა პრეზენტაციები საქართველოში საზოგადოებრივ ჯანდაცვაში არსებული მდგომარეობის, საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის თანამედროვე და პროგნოზირებადი ტრენდების, ფაკულტეტზე მიმდინარე სამაგისტრო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ შესახებ.

ყოველდღე ევროპელ პარტნიორებთან ერთად მიმდინარეობდა მცირე ჯგუფებში მუშაობა, რომლის დროსაც განიხილეს კონსორციუმის წევრ უნივერსიტეტებში ამჟამად არსებული საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების სამაგისტრო პროგრამების სუსტი და ძლიერი მხარეები, დაისახა განვითარების პერსპექტივები.

პროექტში მონაწილე თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის წარმომადგენლები ამჟამად მუშაობენ პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის დისემინაციაზე.

შემდეგი შეხვედრა შედგება 7 -14 მაისს კუმბრიის უნივერსიტეტში (დიდი ბრიტანეთი).

მსოფლიო ბანკის სემინარი თსუ–ში

10 მარტს თსუ-ს მსოფლიო ბანკის რეგიონული დეპარტამენტის დირექტორი სამხრეთ კავკასიაში ასად ალამი ეწვია. დოქტორმა გამართა მსოფლიო ბანკის სემინარი თემაზე: „სახელმწიფოს ზრდადი როლი პოსტკრიზისულ მსოფლიოში“. საუბარი შეეხო სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებს, კრიზის შემდგომ წონასწორობის აღდგენის და ფინანსური რეგულირების მექანიზმებს. ასად ალამმა რამდენიმე ქვეყნის მაგალითზე სტუდენტებს ფისკალური პოლიტიკის როლის ახლებური ხედვა გააცნო და ტოტალურ ეკონომიკაში ინტეგრაციის გზებზე ისაუბრა.

„მოხარული ვარ, რომ კვლავ მაქვს საშუალება შევხვდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს, რომლებიც ყოველთვის კარგად ინფორმირებულნი არიან და საინტერესო კითხვებს სვამენ. მსგავსი შეხვედრები ურთიერთკავშირის საშუალებას იძლევა, ყოველთვის მაინტერესებს რას ფიქრობენ ახალგაზრდები და როგორია მათი ხედვა აღნიშნულ საკითხებზე“, – აღნიშნა ასად ალამმა.

ასად ალამი ნიუ-იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტის ეკონომიკის დოქტორის ხარისხის მფლობელია. მსოფლიო ბანკის რეგიონალური დეპარტამენტის დირექტორი სხვადასხვა დროს ლათინურ ამერიკაში, აღმოსავლეთ აზიაში, აფრიკასა და ევროპაში მუშაობდა; 2009 წლის იანვრიდან კი, ასად ალამი სომხეთში, საქართველოსა და აზერბაიჯანში სამხრეთ კავკასიის რეგიონულ დირექტორად დაინიშნა.

ლექციების ციკლის ფარგლებში, გაზაფხულის ბოლომდე, ასად ალამი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს კიდევ ორჯერ ესტუმრება.

თსუ-ის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 2011 წლის პირველი სამუშაოები დაასრულა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დაასრულა 2011 წლის პირველი არქეოლოგიური სამუშაოები გორის მიმდებარე ტერიტორიაზე. არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელსაც პროფესორი ვახტანგ ლიჩელი ხელმძღვანელობდა, ძველი წელთაღრიცხვის XIII-XII საუკუნეების სამარხები და ნამოსახლარების გათხრითი სამუშაოები აწარმოაა. მოპოვებული მასალა ამჟამად ლაბორატორიულ დამუშავებას და შესწავლას გადის. აღნიშნული არქეოლოგიური სამუშაოები საქართველოს საგზაო დეპარტამენტის მიერ დაფინანსდა.

104 წლის შემდეგ გახსნილი ილიას მკვლელობის საიდუმლო

1907 წლის 27 აგვისტოს ილია ჭავჭავაძე საქმეებზე მიემგზავრება თბილისში. მოურავმა დიმიტრი ჯაშმა ფრთხილად და მორიდებულად შეჰკადრა: — „ილია გრეგორიჩ! საჭიროა მცხეთამდე ჩვენმა სამმა „სტრაჟნიკმა“ გაგაცილოთ“. ილიამ ერთგვარ დამცირებად მიიღო ჯაშის წინადადება და უთხრა: — „ილია ჭავჭავაძეს სამშობლოში დამცველები არ ესაჭიროება!“ ...

მერე რაც მოხდა, ყველასთვის ცნობილია: საუკუნეზე მეტი გავიდა, რაც წიწამურში საბედისწერო გასროლამ ეპოქა დაასრულა. ილია ყველაზე კარგად თავად ხვდებოდა, რომ მისი ხვედრი მძიმე იყო და თითქოს მოწამეობრივ აღსასრულსაც მოელოდა. „დიდი წამება იგივ დიდი გამარჯვებაა, რომელიც წილად ხვდება ხოლმე დიდბუნოვანს კაცსა, ხოლო გამარჯვებული ბედნიერია იმიტომ, რომ თვითონაც სტკბება იმით, რაც გამარჯვებას მოაქვს და წამებული კი თვით იწვის სანთელსავით და სხვას კი გზას უნათებს“ — წერდა იგი.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ მაშინვე იგრძნო ვინ დაკარგა, კითხვები: ვინ მოკლა ილია? რატომ დარჩა მისი მკვლელობა დღემდე იდუმალებით მოცული? როგორ წარიმართა მოვლენები მისი მკვლელობის შემდეგ? ვის ინტერესებში შედიოდა ილიას მკვლელობა და ვინ იყო „ვინმე იმერელი?“ — კვლავაც ვერ მოიშორა ქართველმა საზოგადოებამ.

მკვლევარი ნოდარ გრიგალაშვილი ერთ-ერთი მათგანია, ვინც შეეცადა, ილიას მკვლელობის დეტალური სურათი არქივში აღმოჩენილი ახალი, აქამდე უცნობი დოკუმენტებით აღედგინა. „ილია უკვდავია, წმინდანია, ამიტომ მკვლელობისთვის ხანდაზმულობის ვადა არ არსებობს. ეს ცოდვა დღემდე აწევს ქართულ საზოგადოებას“, — მიმართა მკვლევარმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეკრებილ საზოგადოებას. მან საჯარო ლექცია წაიკითხა თემაზე: „104 წლის შემდეგ გახსნილი ილიას მკვლელობის საიდუმლო“. ლექციაზე ნოდარ გრიგალაშვილმა თავისი ახალგამოცემული წიგნის — „თანამდევი სულის“ იმ ნაწილზე ისაუბრა, სადაც ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დეტალებზე დასკვნა არქივებში აღმოჩენილი უცნობი დოკუმენტების საფუძველზე აქვს გაკეთებული. მკვლევარი ილიას მკვლელობის მოტივებზე, დამკვეთებისა და ორგანიზატორების შესახებ ახალ ვერსიებს სთავაზობს საზოგადოებას. „ვფიქრობ, ამ წიგნმა ლიტერატორების „ექსპერტიზა“ სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უნდა გაიაროს. ამიტომ ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს თქვენს წინაშე მის წარმოდგენას“, — მიმართა ნოდარ გრიგალაშვილმა დამსწრე საზოგადოებას.

ნოდარ გრიგალაშვილის აზრით, ზოგადად, XIX საუკუნე გამოუკვლეველი და სრულიად ყამირი ნიადაგია ქართული ისტორიოგრაფიისთვის, რასაც თავისი სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორები ჰქონდა. საბჭოთა ეპოქაში ამ წლებზე ობიექტური სიმართლის თქმა არ შეიძლებოდა. 90-იანი წლების შემდეგ ბევრმა ისტორიკოსმა ვერ მოიცალა, ზოგიერთი კი ძველი, საბჭოური კლიშეებიდან ვერ გამოვიდა.

„ვინ მოჰკლა ყველა დროის უპირველესი ქართველი?“ — სვამს კითხვას ნოდარ გრიგალაშვილი, რასაც ასე პასუხობს: იგი მოჰკლეს ბოლშევიკებმა და მათ მიერ დაქირავებულმა კერძო პირებმა ბოლშევიკური საკავშირო კომიტეტის დაკვეთით. მისი ინფორმაციით, ამ საკითხზე საქართველოს სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობა შეთანხმებული იყო რუსეთის იმპერიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობასთან. „იმ ვერსიათა ნაწილი, რაც დღემდე არსებობდა, პოლიტიკური მიზნით იყო გამოგონილი და ცრუ, ნაწილი კი ნახევრად სიმართლეა. ყველაზე სწორი ვერსია გავრცელდა ილიას მკვლელობის შემდეგ. 1907-1921 წლებში ცნობილი გახდა, რომ ილია სოციალ-დემოკრატებმა მოჰკლეს. თუმცა, მაშინ ვერ დაკონკრეტდა ვერც ფრაქცია, ვერც შემკვეთი და ვერც შემსრულებელი. სოციალ-დემოკრატებს იმ დროისთვის 2 ფრაქცია ჰქონდათ. 1921-1930 წლის მეორე ნახევრამდე გავრცელდა ახალი ვერსია, თითქოს ილია მოჰკლეს გლეხებმა აგრარულ ნიადაგზე. 1930 წლების მეორე ნახევრიდან კი ხელისუფლებამ სრულიად ახალი მოსაზრება შესთავაზა საზოგადოებას: თითქოს ილია მოკლა მეფის მთავრობამ ჟანდარმერიის დახმარებით. ამ ვერსიამ დიდხანს იარსება, ასე ისწავლებოდა სკოლებშიც. დღესაც წიწამურში ილიას ობელისკზე ასე სწერია: „აქ მოჰკლეს ილია ჭავჭავაძე მეფის მთავრობის მიერ დაქირავებულმა აგენტებმა“.

როგორც ნოდარ გრიგალაშვილმა განაცხადა, აკაკი ბაქრაძე იყო პირველი მკვლევარი, რომელმაც 90-იან წლებში დაწერა წიგნი, სადაც ობიექტურად შეაფასა მოვლენები, რეალობაში დაბრუნდა და ილიას მკვლელობაში სოციალ-დემოკრატები დაადანაშაულა. თუმცა, მაშინაც ძნელი იყო დაკონკრეტება ფრაქციისა. ამ წიგნს საზღვარგარეთაც მოჰყვა გამოხმაურება და აკაკი ბაქრაძეს უსაყვედურეს, თუ რატომ საუბრობდა იგი ზოგადად სოციალ-დემოკრატებზე.

„ბატონმა აკაკიმ ისტორიულ რეალობას არ უღალატა — რაც ბოლომდე არ იცოდა, ის არც დაწერა, მაგრამ მან პირველმა დასვა საკითხი, რომ შესაძლოა, სერგო ორჯონიკიძე არ იყო ის „იმერელი ბიჭი“, რომელმაც ილიას ესროლა.

საჯარო ლექციაზე ნოდარ გრიგალაშვილმა ილიას მკვლელობის მთავარ დეტალებზე გაამახვილა ყურადღება. „თუ ჩვენ აღვადგენთ ილიას სიცოცხლის ბოლო დღეებს, საკამათო არაფერი დაგვრჩება. ამისთვის კი საჭიროა იმ ეპოქის ქერქიდან ამოვიდეთ და იმ დღეების რეკონსტრუქცია მოვახდინოთ. ჩემი დამსახურება, შესაძლოა, სწორედ ის არის, რომ შევეცადე დეტალურად აღმედგინა ის დღეები, რომელიც იმდროინდელი ჩანაწერების, მოგონებების, მემუარების მიხედვით მისმა თანამედროვეებმა დაგვიტოვეს და არქივში აღმოჩენილ ახალ, საზოგადოებისთვის უცნობ დოკუმენტებთან შემეჯერებინა“, — აღნიშნა ნოდარ გრიგალაშვილმა.

„როგორც ცნობილია, პირველი და მეორე სასამართლოს მასალების შედეგად გაირკვა, ვინ იყვნენ ილიას უშუალო მკვლელები: ივანე ინაშვილი, გიორგი (ლომა) ხიზანიშვილი, გიგოლა მოძღვრიშვილი, გიგლა ბერბიჭაშვილი, თედო ლაბაური, პავლე ფშავლიაშვილი (აფციაური) და „ვინმე იმერელი“. თუმცა ვერც ერთმა სასამართლომ ვერ დაადგინა ვინ იყო ეს „იმერელი“, ასევე, ვერ დაადგინა შემკვეთი და ვერც ორგანიზატორი. ჩვენს მიერ აღმოჩენილი საბუთი სწორედ იმის გაგებაში გვეხმარება, რაც არ იცოდა მაშინდელმა ძიებამ. კვლევისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: ილიას მკვლელობის შემდეგ პირველად ლაბაური დააპატიმრეს. იგი მხოლოდ იმიტომ გადარჩა ცოცხალი, რომ ეთქვა: ილია სომხებმა მოკლესო, თუმცა მესამე დაკითხვაზე მან მკვლელობის ყველა მონაწილე დაასახელა გარდა იმისა, რომ არ იცოდა ვინ იყო „იმერელი“. ,,ვინმე იმერელი” კი პირველად პავლე ფშავლიშვილმა დაასახელა, რის შემდეგაც „იმერელის“ ბრალდებით დაიწყო „დაჭერები“. პირველად სოფელ ახატანში ვინმე ოძიაშვილი დაიჭირეს, თუმცა მალე გამოუშვეს, შემდეგ ამავე ბრალდებით მოძღვრიშვილი დააკავეს, შემდეგ კი ფეიქრიშვილი. მკვლელობის ვერსიების მაძიებელნი ფიქრობდნენ, რომ შესაძლოა ,,იმერელი” მკვლელის მეტსახელი ყოფილიყო. სწორედ ამ კონტექსტში გაჟღერდა სერგო ორჯონიკიძის სახელიც. მართალია, საქართველოს იშვიათად ჰყოლია მასზე უფრო დიდი ბოროტმოქმედი და მოღალატე, მაგრამ ამ შემთხვევაში ობიექტურობას გვერდს ვერ ავუვლით.

90-იან წლებში, როდესაც იგი ილიას მკვლელობაში დაადანაშაულეს, ეს ამბავი ძიებამ არ დაადასტურა. 30-იანი წლების მოგონებები, როგორც აღვნიშნეთ, სიცრუეზეა დამყარებული. მაშ ვინ არის ეს იმერელი? — კითხვა დასვა ნოდარ გრიგალაშვილმა და თავადვე უპასუხა: „არქივში აღმოჩნდა ცნობა დოკუმენტის შესახებ, რომელიც გვიამბობს შემდეგს: ილია ჭავჭავაძე მოკლულ იქნა დუშეთის სამაზრო კომიტეტის პარტიული დადგენილებით. პარტიამ დაადგინა რა ილიას მკვლელობა, მისი პრაქტიკულად აღსრულება „ტყის ძმების“ უფროსს დაავალა. იმ დროს „ტყის ძმების“ საძმო ბოლშევიკებს ემსახურებოდა და პარტიის დავალებებს ასრულებდა. მისი უფროსი კი იყო ვინმე ილიკო იმერლიშვილი — მოუხელთებელი ყაჩაღი, რომელსაც მრავალი ადამიანი ჰყავდა მოკლული.

ამის შემდეგ, რაც ეს დოკუმენტი აღმოჩნდა, რომ ილია მოჰკლეს დუშეთის პარტიული ორგანიზაციის დადგენილების საფუძველზე და ამის აღსრულება დაევალა „ტყის ძმების“ უფროსს, ჩვენთვის ლოკალური გახდა იმ წრის მოძებნა, რომელიც ილიას მკვლელობაში იყო გარეული. დადგენილებას უნდა მივყვეთ და მკვლელი ვეძებოთ „ტყის ძმებს“ შორის. როგორც მოძიებული მასალების მიხედვით ირკვევა, ამ დროისთვის დუშეთის მაზრაში სამი საძმო მოქმედებდა, „ტყის ძმების საძმო“ კი ბოლშევიკებს ემსახურებოდა. სწორედ მათი წევრები ასრულებდნენ ბოლშევიკური პარტიის სხვადასხვა დავალებებს“, — აცხადებს ნოდარ გრიგალაშვილი.

ამ ფაქტებზე დაყრდნობით, მკვლევარი მიდის საინტერესო მოსაზრებამდე: იმ დროს ძნელი იყო, ეძებათ მკვლელი, რადგან ილიკო იმერლიშვილი უკვე ყველას მკვდარი ეგონა. მან სამჯერ გაავრცელა ცნობა თავისი მკვლელობის შესახებ, რადგან უამრავი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი. იმერლიშვილი თან ატარებდა ქამარს, რომელზეც თავისი სახელი და გვარი ეწერა და რომელსაც მორიგ მსხვერპლს უკეთებდა. ეს კაცი, გამოცხადებული იყო რევოლუციის რაინდად. იგი „ტყის ძმების“ მეთაური იყო. როგორც კვლევის საფუძველზე აღმოჩნდა, 1907 წლის 27 აგვისტოს ილია იმერლიშვილი ცოცხალი იყო და პარტიის მორიგ დავალებას ასრულებდა. მისი ნასროლი ტყვია მიზანს არ ასცდა...

ნოდარ გრიგალაშვილის წიგნის „თანამდევი სულის“ ბოლოთქმაში ვკითხულობთ: „როცა დიდი ილიას სულიერ მემკვიდრეს — ივანე ჯავახიშვილს კრძალავდნენ, შემთხვევით, ტბილისს ხევსურნიც ყოფილან. დამწუხრებული ზღვა ხალხის დანახვაზე გაოცებულებს უკითხავთ, ვის გლოვობს ქართველი ერიო? როცა ყოველივე აუხსნეს, მაშ, ჩვენი მეფე მომკვდარაო, — თქვეს ხევსურებმა და თავით დაუდგნენ ცხედარს. შინსახკომელებს უთქვამთ, აქ გაჩერება არ შეიძლებაო. არც გაჩერებულან.... იქიდან რომ არ დაეთხოვათ ხევსურები, გაუჩერებლივ გარს უვლიდნენ ძვირფას ნეშტს.

ერთი ემიგრანტი პოეტისა არ იყოს, მთის ჯვაროსნებივით მუდმივად უნდა ვიაროთ ილიას გარშემო. აწ უკვე დედა ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული მგოსნის ირგვლივ. ვიღაც მადლიანს ერთ ფოტოსურათზე ილია ასე აღუბეჭდავს: სულიერი მამა განმარტოებით დგას, მარცხენა ხელი შეუმართავს და საჩვენებელი თითით ვიღაცას უხმობს. ის გვიხმობს ჩვენ!”

მოამზადა:
შურთხია გეროშვილმა

ნიჭდაუღლელი მეცნიერი

სიტყვა, წარმოთქმული ვაჟა ოკუჯავას დაკრძალვის დღეს დიდუბის პანთეონში გამართულ სამგლოვიარო მიტინგზე

მგლოვიარე ქართული მეცნიერება, განათლებული ქართველი საზოგადოება გულისტკივილით დაემშვიდობა აკადემიური აზროვნების მოჭირნახულე ვაჟა ოკუჯავას, რომლის მაღალ ზნეობას, რაფინირებულ განსწავლულობას, მძლავრ ინტელექტს, უშურველ მსახურებას მომავალი მიაგებს სიყვარულსა და მადლიერებას — შორს გაწვდომილს მრავალ თაობაში.

ყველა დიდი საქმე თითქოსდა ადვილად და ხელმარჯვედ გამოსდიოდა — უამრავი კონგრესის წაძღოლა თუ მოხსენებით მოჯადოება, უპირველესი ქართული უნივერსიტეტის რექტორობა, აკადემიკოს-მდივნობა, სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო დარგის ხელმძღვანელობა, სახელგანთქმული ფართომასშტაბიანი კვლევების მართვა, საზოგადოებრივი მოღვაწეობა... მას საკუთარ ლაბორატორიაში ექსპერიმენტებზე უწევდა ოფლის დაღვრა, უძილოდ ღამის თევა, უწყვეტლივ კოლოსალური გონების დაძაბვა ფაქტების ძიებაში, მოპოვებაში, ახსნაში...

უსაზღვრო შრომისუნარით, გონებამახვილი მეცნიერული მიგნებებით აოცებდა შინაურსაც და უცხოელსაც, გამოირჩეოდა მოქალაქეობრივი სიმამაცით. 60-იანი წლების დასაწყისში ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო პავლოვიზმის ინერცია, როდესაც თარგმნა და მოსკოვში გამოსცა ნეიროფიზიოლოგიის სახარება-როსისა და ცანკეტის მონოგრაფია „რეტიკულური ფორმაცია“, რომელმაც შეურყია იმდროინდელ საბჭოურ ფიზიოლოგიას რეტროგრადული აზროვნების საფუძველი და საზოგადოებაში ლამის პასტერნაკის “Доктор Живаго”-ს ეფექტი გამოიწვია.

ცნობილ ნეიროქირურგისგან, პეტრე სარაჯიშვილის ახლო მეგობარ დავით შეფერისგან მაქვს მოსმენილი, რა დღე დააწია 30 წლის ვაჟა ოკუჯავამ საბჭოური ფიზიოლოგიის ერთერთ ბუმბერაზ ველმოჟას პეტრე ანოხინს სამეცნიერო დისპუტისას, ისე რომ ოდნავაც არ გასცდენია ეთიკისა და ტაქტის ჩარჩოებს. შეფასებებში ძუნწმა შეფერმა უმალვე დააყოლა “С такими как Окуджава, на медведя можно ходить с голыми руками. Молодец Петре (იგულისხმა პეტრე სარაჯიშვილი), он срезал белый гриб под чужими ногами”.

არაორდინარული პიროვნული თვისებების გამო არაერთგზის განუცდია გარემოსგან ეჭვიანობის ალმაცერი დამოკიდებულება, რაც, ბუნებრივია, გულს სტკენდა, მაგრამ ყოველთვის პოულობდა ემპათიკური რეაგირების უნარს. საპასუხოდ სულგრძელად თავაზობდა თანამშრომლობას მის მიერ მიწოდებული სადისკუსიო იდეის ირგვლივ ინტერესების გაერთიანებით, ოპონენტის სასარგებლოდ პრიორიტეტის დათმობას, რაც უმეტეს შემთხვევაში განმუხტავდა კონფლიქტის სიმწვავეს და ამყარებდა შემოქმედებით თანხმობას.

სამეცნიერო მემკვიდრეობაც უზარმაზარი დატოვა. შარშან, თავის 80 წლის იუბილეს დღეებში ნიუ-იორკში გამოაქვეყნა, როგორც აღმოჩნდა, თავის გედის სიმღერა — მონოგრაფია ცნობის მეხსიერებაზე, მაგრამ ვინ მოთვლის რამდენი დარჩა დაუსრულებელი, რამდენი ვერ მოასწრო. ამიტომ მხოლოდ თავის ვეებერთელა შემოქმედებითი პოტენციალის წინაშე აღმოჩნდა ვალმოუხდელი.

ჩვენ ვუსამძიმრებთ ძვირფას ქალბატონ ზიზის, ვაჟას ბედნიერებისა და დიდების უერთგულეს თანამგზავრს, მათ შესანიშნავ ოჯახს, ყველა ნევროლოგს, ყველა ფიზიოლოგს, ფიზიოლოგიის არისტოკრატებს, რომლებთან მხარდამხარ აშენებდა დიდ ივანეს დანატოვარს — ქართულ ნეირომეცნიერებას.

ღვთაებრივი ანა კალანდაძე ერთერთ მშვენიერ პროზაულ მინიატურაში ფიროსმანს მიაწერს ექსპრესიულობის ხარისხით განუმეორებელ ნათქვამს: ,,ნიჭი დამეღალაო”. შესაძლოა, ამის შთაგონებით დღეს პირველად გაიჟღერს სიტყვა, რომელიც ძალზე ზუსტად მიესადაგება მარადისობაში გარდასახულ გოლიათს: მშვიდობით ,,ნიჭდაუღლელო “ ვაჟა.

რომან შაქარიშვილი
პროფესორი

ცხოვრებიდან მხოლოდ კარგი დაიმახსოვრა...

ჩვენ მასთან ხშირად მივდიოდით... ვთხოვდით კომენტარს სამეცნიერო და სასწავლო საკითხებზე, ვთხოვდით, გაეხსენებინა მეცნიერების ქართველი კორიფეები, უნივერსიტეტის ისტორიული წარსული და ის წლები, როცა თავად უნივერსიტეტის რექტორის სავარძელში იჯდა...

ბატონ ვაჟა ოკუჯავას ჩვენთვის არასოდეს უთქვამს უარი... იმდენჯერ შევაწუხეთ, რომ ბოლოს თითქოს შევეჩვიეთ მის სამუშაო ოთახს, უამრავ წიგნს, ნაშრომსა და ფოტოს, რომელიც მისი წიგნების კარადაში ჩანდა... შევეჩვიეთ კლასიკურ საწერ მაგიდას და სიჩუმეს, რომელიც მეცნიერისთვის მყუდრო გარემოს დასადგურებისთვის შექმნილიყო...

ბატონი ვაჟა საკუთარ თავს „იღბლიანს უწოდებდა“: „იღბალი იყო, რომ ოცდაჩვიდმეტი წლის მოვლენებს გადავურჩი... იღბალი იყო, რომ საოცრად მაღალი ინტელექტის მქონე დეიდამ გამზარდა... იღბალი იყო, რომ მეცნიერებაში კორიფეების გვერდით მოვხვდი... იღბალი იყო, რომ ბრწყინვალე მეუღლე შემხვდა“... ჯიუტად გვიმეორებდა და ამ გულწრფელობით მხოლოდ დიდი ადამიანებისთვის დამახასიათებელ თავმდაბლობას უსვამდა ხაზს, თუმცა ჩვენ ვიცით, რომ მხოლოდ იღბალი ვერ წაადგება ადამიანს, თუ იგი მეცნიერების ურთულეს ლაბირინთებში ნიჭს, ფართო ერუდიციას, შრომისმოყვარეობასა და მიზანდასახულობას არ გაიყოლებს თან.

ვაჟა ოკუჯავა უნივერსიტეტის იდეას სცემდა თაყვანს.

თხემით ტერფამდე ინტელიგენტი შეუჩერებლად საუბრობდა სხვათა გამორჩეულ ნიჭზე, სხვათა სიკეთეზე, მადლიერებაზე...

სვენებ-სვენებით ნათქვამი ყველა წინადადება კი ამ ადამიანის გამორჩეულ ინტელექტზე მიუთითებდა და პატივისცემისაკენ თავისთავად განგაწყობდა...

ბოლო ინტერვიუში, როცა მეცნიერის მთელი ცხოვრება ხელის გულზე გადაიშალა, ვიკითხეთ – ამ გადასახედიდან როგორ აფასებდა თავის ცხოვრებას, ბედნიერი იყო თუ არა ვაჟა ოკუჯავა?

მაშინ ბატონმა ვაჟამ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ გვიპასუხა: „მე ვცდილობ და მინდა, რომ ცხოვრებიდან მხოლოდ კარგი დავიმახსოვრო და ეს შეგრძნება ბედნიერების შეგრძნებას მიტოვებს.“

ეს გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე იყო...

დღეს ბატონი ვაჟა ჩვენს შორის აღარ არის... თუმცა მისი სამეცნიერო მოღვაწეობის კვალი კიდევ დიდხანს შეგვახსენებს, რომ დიდი მეცნიერი გვყავდა...

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია

აღიარებული სპეციალისტი

„სამეცნიერო მუშაობა ეს ისეთი ბედნიერებაა, რომელიც ყველას ხვედრს არ წარმოადგენს და ვინც ისეთი ბედნიერია, რომ ბუნებისგან დაჯილდოებულია ნიჭით, რომ მას აქვს ნებისყოფა, აქვს აგრეთვე გატაცება, ის უნდა გრძნობდეს, რომ ვალდებულია სამაგიერო გადაუხადოს იმ ერს, რომლისგანაც ის წარმოშობილა“, — ივანე ჯავახიშვილის ეს სიტყვები ზუსტად შეესაბამება პროფესორ ვალერი სილოგავას მოღვაწეობას.

მიხეილ ქავთარია მის შესახებ ამბობდა: „თანამედროვე ისტორიკოსთა შორის აღიარებული სპეციალისტი, იგი, უპირველეს ყოვლისა, არის ეპიგრაფიკოსი, წყაროთმცოდნე და არქეოგრაფი. მან ეს სკოლა აწ გარდაცვლილი ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილის ხელმძღვანელობით გაიარა და დღესაც წარმატებით აგრძელებს ხელმძღვანელის ნაანდერძევ საქმეს“. მართლაც, შესანიშნავი მკვლევარი უდიდესი პასუხისმგებლობით, შემოქმედებითი მიდგომითა და დიდი ხალისით უკანასკნელ ამოსუნთქვამდე თავისი საქმის ერთგულ მსახურად დარჩა.

არცთუ ხანგრძლივი, მაგრამ შთამბეჭდავი და გამორჩეული შემოქმედებითი გზა განვლო პროფესორმა ვალერი სილოგავამ:

იგი დაიბადა 1945 წლის 20 აპრილს ქ. ფოთში. 1963 წელს დაამთავრა ფოთის V საშუალო სკოლა. 1964 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, სადაც სტუდენტობის წლებშივე გამოავლინა დიდი ინტერესი მეცნიერული კვლევისადმი.

1969 წელს ჩაირიცხა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც გაიარა წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის კურსი პროფესორ ნოდარ შოშიაშვილის ხელმძღვანელობით. 1970 წელს, ჯერ კიდევ ასპირანტურაში სწავლის პერიოდში, ვალერი სილოგავამ მუშაობა დაიწყო ხელნაწერთა ინსტიტუტში, სადაც ჩამოყალიბდა როგორც მკვლევარი. 1991-2005 წლებში მუშაობდა ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში წამყვან მეცნიერ თანამშრომლად. ამავე წლებში გამოიკვეთა მისი სამეცნიერო ინტერესების სფერო. ამის შესახებ ავტობიოგრაფიაში თავადვე მიუთითებდა: საქართველოს ისტორია, შუა საუკუნეების ქართული წერილობითი ძეგლები (წარწერები, ისტორიული საბუთები, ხელნაწერები), პალეოგრაფია.

ვალერი სილოგავამ 1972 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე — „დასავლეთ საქართველოს IX-XIII საუკუნეების ლაპიდარული წარწერები როგორც საისტორიო წყარო“, ხოლო 1989 წელს სადოქტორო დისერტაცია თემაზე — „სვანეთის წერილობითი ძეგლები“.

პროფესორ ვალერი სილოგავას სამეცნიერო მემკვიდრეობა ერთობ შთამბეჭდავია: 200-ზე მეტი ნაშრომი; აქედან 20-ზე მეტი მონოგრაფია და სახელმძღვანელოა. მისივე კალამს ეკუთვნის რამდენიმე ასეული სამეცნიერო-პოპულარული სტატია.

სამეცნიერო მუშაობის გარდა, პროფესორი ვალერი სილოგავა ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც. იგი გახლდათ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. სხვადასხვა დროს თანამშრომლობდა თსუ-ის სოხუმის ფილიალთან, იყო საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ ღვაწლმოსილი პიროვნების საქმიანობა მესხეთში: ბოლო 20 წელია მისი ცხოვრება და მოღვაწეობა მჭიდროდ დაუკავშირდა ახალციხისა და ახალქალაქის უმაღლეს სასწავლებლებს, სადაც იგი იყო საქართველოს ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, იმ მხარეში წარმოებული ქართველოლოგიური კვლევების მთავარი სულისჩამდგმელი და არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდის დამრიგებელი.

პროფესორ ვალერი სილოგავას სამეცნიერო თუ პედაგოგიური ღვაწლი არა ერთხელ აღინიშნა სამთავრობო ჯილდოებითა თუ სამეცნიერო პრემიებით. მიენიჭა ღირსების ორდენი (2001 წ), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის პრემია (2009 წ).

ამ მცირე მოცულობის წერილში ძნელი იქნება მისი სამეცნიერო შემოქმედების ძირითადი ასპექტების წარმოჩენაც კი.

„დასასრულ, ბოდიშს ვიხდი ცოცხლების წინაშე და მაპატიონ გარდაცვლილთა სულებმა...“ — ამ სიტყვებით ასრულებს თავის ერთ-ერთ ნარკვევს პროფესორი ვალერი სილოგავა, რადგან მეტის გაკეთება ვერ შეძლო, მეტი ვერ მოახერხა. მისი შემოქმედების, სამეცნიერო წვლილის სათანადო და სრულყოფილი გააზრება-გაანალიზება მომავლის საქმეა.

გიორგი ჟუჟუნაშვილი
თსუ ასისტენტ-პროფესორი

ღვაწლმოსილი ბიბლიოთეკარი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მძიმე დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა თსუ–ის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ყოფილი თანამშრომელი, ღვაწლმოსილი ბიბლიოთეკარი თინა რუხაძე.

იგი დაიბადა ქ. ხონში 1920 წელს. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო თსუ-ის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, სადაც ნახევარ საუკუნეზე მეტი ერთგულად ემსახურა საყვარელ საქმეს.

ქ-ნი თინა რუხაძე წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სამეცნიერო ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზებს. იყო გამორჩეული ქალბატონი თავისი ნიჭიერებით, შრომისმოყვარეობით, პასუხისმგებლობის გრძნობით და პროფესიონალიზმით, ამავე დროს პრინციპულობით, სარგებლობდა მთელი უნივერსიტეტის სიყვარულით და პატივისცემით.

დიდია ქ-ნი თინას ღვაწლი ახალგაზრდა თაობის აღზრდაში.

მისი მოღვაწეობის პერიოდში ქ-ნ თინა რუხაძეს მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები: საქართველოს სსრ კავშირის საპატიო წოდება (1965 წ), დამსახურებული ბიბლიოთეკარის წოდება (1971 წ).

წავიდა ჩვენგან სასიქადულო პიროვნება, რომელმაც მთელი შეგნებული ცხოვრება გაატარა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. მისი ნათელი სახე დარჩება კოლეგებისა და სტუდენტების ხსოვნაში.

კონკურსში გამარჯვებული

რატომ იბრძოდა რუსი ეროვნების ნიკოლოზ დურნოვო საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისთვის? როგორ დაუპირისპირდა იგი რუსეთის რეაქციულ ძალებს XIX-XX საუკუნის მიჯნაზე? რა ბედი ეწია ამ ღირსეულ პიროვნებას და როგორ დაასრულა სიცოცხლე? — ამაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტის მარიამ გოჩელაშვილის ნაშრომი მოგვითხრობს, რომელიც მან საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდული და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის — „დავითიანის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსზე წარადგინა. კონკურსი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის მიღება-დაკარგვა-აღდგენას მიეძღვნა და მასში საქართველოს უმაღლესის სასწავლებლების 90-ზე მეტმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა. სტუდენტების დაჯილდოების ცერემონია ქართულ უნივერსიტეტში გაიმართა. ჟიურის გადაწყვეტილებით, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე და ქართული უნივერსიტეტის რექტორი სერგო ვარდოსანიძე, მარიამ გოჩელაშვილმა პირველი ადგილი დაიმსახურა.

„რამდენიმე შტრიხი ნიკოლოზ დურნოვოს შემოქმედებიდან“ — ასე ერქვა თემას, რომელიც კონკურსზე წარვადგინე. ჩემი თემის არჩევანი იმანაც განაპირობა, რომ ქართული საზოგადოებისთვის ნაკლებად არის ცნობილი ცხოვრება რუსი ისტორიკოსისა და ფილოლოგის, საკავშირო აკადემიკოს ნიკოლოზ დურნოვოსი, რომელიც თავგამოდებით იცავდა საქართველოს ეკლესიის ინტერესებს. როგორც ცნობილია, 1811 წელს საქართველოს ავტოკეფალია გაუქმდა. რუსმა საერო და სასულიერო პირებმა დაიწყეს ეკლესიის ქონების მიტაცება, ქართული ენა ნელ-ნელა იდევნებოდა ეკლესია-მონასტრებიდან და სკოლებიდან. 1906 წელს კვლავ დაიწყო საუბარი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაზე. მას დამცველად მოევლინა რუსი ეროვნების პიროვნება ნიკოლოზ დურნოვო, რომელიც საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს კირიონ საძაგლიშვილს ედგა მხარში. დურნოვო მკაცრად აკრიტიკებდა რუსულ პოლიტიკას საქართველოსთან მიმართებაში.

1905-1907 წლებში რუსეთის მთავრობა იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. სინოდის სპეციალურმა კომისიამ რამდენჯერმე განიხილა ქართული ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი. დურნოვოს მიერ გამოქვეყნებულ შრომებს შორის, რომელიც საქართველოს ეხება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ბედი ქართული ეკლესიისა“, სადაც დეტალურად არის აღწერილი ის მძიმე ვითარება, რომელიც წარმოიშვა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ. წიგნში ნიკოლოზ დურნოვო ვრცლად მიმოიხილავს ყველა იმ საკითხს, რომელიც აწუხებდა იმდროინდელ ქართულ საზოგადოებას. დურნოვოს ნაშრომმა ქართველების დიდი მოწონება დაიმსახურა. მისი ღვაწლი ავტოკეფალიის საქმეში მით უფრო დასაფასებელია, რამდენადაც თვით საქართველოშიც კი ბევრს ეპარებოდა ეჭვი, რომ ავტოკეფალიის აღდგენა რეალურად განხორციელდებოდა. იგი დაუღალავად იბრძოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის და ამის გამო რუს მემამულეებსაც კი დაუპირისპირდა. წიგნში ავტორი დაუფარავად ამხელდა რუსი საერო და სასულიერო მოღვაწეების ანტიქართულ ქმედებებს. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ იმ დროს, როდესაც სასწორზე იდო მრავალსაუკუნოვანი საქართველოს ეკლესიის აღდგენის საკითხი და ფეხქვეშ იყო გათელილი ქართველების უფლებები, სწორედ მაშინ გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც ირწმუნა ქართველების სიმართლე და წლების მანძილზე უანგაროდ ეხმარებოდა ქართველ ერს. ჩემს მიერ მოძიებული მასალების მიხედვით მსურდა ობიექტურად წარმომეჩინა დურნოვოს პიროვნება და მისი დამსახურება საქართველოს ეკლესიის წინაშე“, — გვითხრა საუბრისას მარიამ გოჩელაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტმა მუშაობის პროცესში მოიძია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული რამდენიმე წერილიც, რომელიც დღემდე უცნობი იყო ქართული საზოგადოებისთვის. როგორც მარიამმა აღნიშნა, ნაშრომის დაწერაში მას უნივერსიტეტის პროფესორი ვაჟა კიკნაძე დაეხმარა.

მომავალში მარიამ გოჩელაშვილი მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელებას ძველი ისტორიის მიმართულებით აპირებს. იგი არის პრეზიდენტის სტიპენდიატი და აქტიურად მონაწილეობს სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში. თავისუფალი დრო თუ აქვს, ურჩევნია მუზეუმები და გამოფენები მოინახულოს. მიზანდასახულობა მისი ერთ-ერთი საუკეთესო თვისებაა. ალბათ, ეს გვაძლევს იმის იმედს, რომ მას წინ მრავალი წარმატება ელოდება.

მარიამ ლორთქიფანიძის ახალი ჯილდო

1953 წლის 23 თებერვლის სამგლოვიარო პროცესია, რომელსაც ორი პატარა ავტობუსით 50-მდე ადამიანი მისდევდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეჩერდა. პირველი ავტობუსის მძღოლმა მეორეს გადასძახა: რაღაც გაუფუჭდა ავტობუსს და მალე წავალთო. ყველა მიხვდა, რომ ავტობუსი „შემთხვევით გაფუჭდა“, რათა პირველი ქართული უნივერსიტეტის დამაარსებლის ექვთიმე თაყაიშვილის ნეშტი, რომლის უნივერსიტეტში დასვენების უფლებაც ჭირუსუფალთ არ მისცეს, უნივერსიტეტის მახლობლად „შეეჩერებინათ“ მაინც. მხოლოდ ამ ხერხით მოახერხეს მათ უკანასკნელი პატივი მიეგოთ ექვთიმე თაყაიშვილისთვის. გასვენებაში აკაკი შანიძეც მობრძანდა, რომელსაც ხელში მისი წიგნი ეჭირა და მიცვალებულს მიმართა: ძმაო ექვთიმე! შენ არც მიტინგი გჭირდება, არც ძეგლი. შენი ძეგლი შენი წიგნები და შენი მოღვაწეობაა. ძალიან მწყინს, რომ ამ წიგნის რედაქტორი ვარ და ვერ მოვასწარი, სასიგნალო გამოცემა მაინც მეჩვენებინაო. ყველას ეგონა, რომ ასეთ სითამამეს აკაკი შანიძეს არ აპატიებდნენ, მაგრამ იმ პერიოდში სტალინი გარდაიცვალა და ეს ამბავი დავიწყებას მიეცა.

პროცესიას თავის თანაკურსელ ბიჭებთან ერთად ჯიუტად მისდევდა გოგონა, რომელმაც მაშინ უკვე იცოდა, რა გზას აირჩევდა და რომ ეს გზა ია-ვარდით მოფენილი არ იქნებოდა. მოგვიანებით, როდესაც ცნობილი მეცნიერის ნეშტი დიდუბეში, შემდეგ კი მთაწმინდაზე გადაასვენეს, მას ორი-ვეჯერ სიტყვითაც მიმართა, თუმცა, მაშინ, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ დიდი ხნის შემდეგ, ეკლესიის მიერ „ექვთიმე ღვთისკაცად“ შერაცხული საზოგადო მოღვაწის მედალს ჯილდოდ მიიღებდა.

აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძეს ექვთიმე თაყაიშვილის მედალი მერაბ ბერძენიშვილის კულტურის ცენტრში გადასცეს. დაჯილდოების ცერემონიალს მეცნიერები, მისი მოწაფეები და ოჯახის წევრები დაესწრნენ.

„ქალბატონმა მარიამ ლორთქიფანიძემ თავისი ცხოვრებით ეს ჯილდო სრულიად დამსახურებულად მიიღო. ეს პრემია მნიშვნელოვანია თავისი არსით, რომელსაც სიხარული და სევდა თანაბრად ახლავს. სევდა კი იმითაც არის გამოწვეული, რომ ექვთიმეს, რომელმაც ამხელა სიკეთე გაუკეთა ქვეყანას, ქართველმა ხალხმა სათანადო პატივი ვერ მიაგო. მის მეცნიერულ მოღვაწეობაზე რომ არაფერი ვთქვათ, მან ისეთი განძი დაუბრუნა ქვეყანას, რომლითაც დღეს ვამაყობთ. მისი თავგანწირვა სამშობლოსადმი დიდი სიყვარულის გარეშე შეუძლებელი იყო. ეს სიყვარული თაობებმა გაიზიარეს, მათ შორის, ქალბატონმა მარიამმაც. ალბათ, არც ის არის შემთხვევითი, რომ ექვთიმე თაყაიშვილის მცირერიცხოვან ჭირისუფალთა შორის ქალბატონი მარიამიც იმყოფებოდა. მას შემდეგ, ყოველთვის, როდესაც ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ეროვნული საკითხი დგება, მარიამ ლორთქიფანიძე თავის სიტყვას ამბობს. მისი პიროვნება ბევრი ეპითეტით შეუმკიათ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესის და უნეტარესის ილია მეორეს სიტყვები, რომელმაც მას „საქართველოს დედა“ უწოდა და წმინდა გიორგის ორდენი უბოძა. მარიამ ლორთქიფანიძეს წლები ვერაფერს აკლებს... იგი დღესაც ჩვეული შემართებით მოღვაწეობს. ამიტომ საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი ქველმოქმედებისა და ეროვნული კულტურის გადარჩენა-ლობირების საქმეში გაწეული ღვაწლისთვის ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძეს ანიჭებს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის პრემიას და აჯილდოვებს ბრინჯაოს მედლით“, — განაცხადა შეხვედრაზე მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილმა.

მარიამ ლორთქიფანიძის მოღვაწეობაზე ისაუბრეს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა თამაზ გამყრელიძემ, პროფესორებმა როინ მეტრეველმა, ნანა ხაზარაძემ, ზაზა აბაშიძემ, პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა და სხვებმა.

მარიამ ლორთქიფანიძემ საზეიმო ცერემონიალზე აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ჯილდოსა და წოდების მფლობელია, ექვთიმე თაყაიშვილის მედალი განსაკუთრებით საამაყოა მისთვის. მან კიდევ ერთხელ გაიხსენა ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრების ბოლო წლები, რომელიც საქართველოში გაატარა.

„მახსოვს, როდესაც ექვთიმე თაყაიშვილი საქართველოში პირველად ჩამოვიდა და განძი ჩამოიტანა, მას ხელისუფლებაც და ხალხიც დიდი პატივით შეხვდა. უნივერსიტეტში ლექცია დაინიშნა, მაგრამ იმდენი ხალხი მოვიდა, შეუძლებელი გახდა ლექციის ჩატარება. მახსოვს, კორიდორები და ეზოც კი ხალხით იყო სავსე. იგი აღადგინეს უნივერსიტეტის პროფესორად, ასევე, აკადემიკოსად, შემდეგ კი რა მოხდა, ვეღარ გავიგეთ. ბოლო დროს იგი, ფაქტობრივად, შიდა პატიმრობაში იმყოფებოდა. ექვთიმე უკვე მწოლიარე ავადმყოფი იყო, როცა დასაკითხად ორგანოში წაიყვანეს და, როგორც ამბობენ, მას ხელითაც შეეხნენ. მეორე ღამეს კი გარდაიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ უშიშროების თანამშრომლებისგან სასტიკი გაფრთხილება მივიღეთ, მე და ჩემი მეგობრები: ოთარ ჯაფარიძე, ტარიელ ჩუბინაშვილი და ნიკო ქანთარია პანაშვიდზე მაინც წავედით და ჩვენი ვალი მოვიხადეთ. საზიზღარი დღე იყო. ვიდექით თოვლჭყაპში, ქარში, სიცივეში და უკანასკნელ გზაზე ვაცილებდით ამ დიდ ადამიანს. ასეთი პიროვნებები საქართველოს თითზე ჩამოსათვლელი ჰყავს. ამიტომ ჩემთვის უდიდესი პატივია ამ ჯილდოს მიღება“, — მიმართა მარიამ ლორთქიფანიძემ მერაბ ბერძენიშვილის კულტურის ცენტრში შეკრებილ საზოგადოებას.

გვერდი მოამზადა: შურთხია ბეროშვილმა

მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია	
მთავარი სპეციალისტი	მაია ტორაძე	
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე	
ფოტოკორესპონდენტი	ლიკა პეტრიაშვილი	
კომპიუტ. უზრუნველყოფა	გიორგი წიქარიშვილი	

რედკოლეგიის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი, ნოდარ ბელქანია, იაგო კაჭკაჭიშვილი, ლადო მინაშვილი, ნინო ჩიხლაძე, თემურ ნადარეიშვილი, ნოდარ ხადური, მარინე ჩიტაშვილი, ვაჟა კიკნაძე, დიანა ძიძიგური, ნანა ჭიღლაძე, თეა ჯუღელი

მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზ. 11ª (თსუ-ის მე-3 კორპუსი)
22 36 62